პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი [illegible]

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე,
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგის 13—30.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპ., № 34, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი:
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხებს, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები:
საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განცხადებებს გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ძვირდება 30%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

დღიური

— ამხ. ტროიანოვსკის დაბრუნება ტოკიოში.
— ბელგია წინააღმდეგია რეპარაციების შემცირების.
— გარდაიცვალა საფრანგეთის რევოლუციის ცნობილი ისტორიკოსი ოლარი.
— გერმანიის პრესა რუსეთის ომის წინა ხანების ვალის შესახებ.
— ფეიქრების გაფიცვა მიუნხენ-გლადბახში (გერმანია)
— 20 ოქტომბრისათვის მთელ ს. ს. რ. კ. გასაღებულია ინდუსტრ. მეორე სესხის 402.700,000 მან. ობლიგაციები.

ხუთშაბათი, 25 ოქტომბერი 1928 წ.
ყოველდღიური გაზეთი
ფასი 5 კაპ. № 248 (2291)

კომუნისტი

მიიღება ხელისმოწერა
ნოემბრისათვის

კანტორა—რუსთაველის პრ. № 34. ტელეფ. 8—81

სასამართლოს მუშაობის დეფექტები

პარტიისა და ხელისუფლების პოლიტიკის უშუალოდ გამტარებელ ორგანოთა შორის სასამართლოს ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი უკავია. სასამართლო და მისი ორგანოები მოწოდებულია დაიცვას საზოგადოებრივი წესრიგი, საბჭოთა კანონების მტკიცედ და სწორად გატარების გზით ხელი შეუწყოს მშრომელთა ინტერესების დაცვას და სოციალისტური აღმშენებლობის განვითარებას. ასეთია ჩვენი იუსტიციის ორგანოების დანიშნულება. სინამდვილეში კი, სასამართლოს მუშაობა ბევრ შემთხვევაში ვერ აკმაყოფილებს ამ მოთხოვნილებას. ეს განსაკუთრებით უნდა ითქვას სასამართლოს აპარატის ქვედა საფეხურებზე. საკმაოდ ბევრი მასალა მოიპოვება იმის დასახასიათებლად, რომ ჩვენი სასამართლოს ორგანოები ზოგჯერ არა თუ ვერ იცავენ მტკიცედ პროლეტარულ კლასიურ ხაზს, არამედ შეგნებულად ამრუდებენ მას. ყველაზე მეტად ამას ადგილი აქვს სოფლად, თუმცა უნდა ითქვას, რომ არც ქალაქებში არის ამ მხრივ ყველაფერი რიგზე.

ჩვენი აპარატის საყოველთაოდ ცნობილ სენს—ბიუროკრატიზმს მაგრად აქვს გადგმული ფესვები სასამართლოს ორგანოებში. არის მაგალითები, როცა დავა მშრომელ მომჩივანსა და მოპასუხე არამშრომელს შორის მთელი თვეობით და ზოგჯერ წლობითაც კი გრძელდება. საქმე დაუსრულებლივ გადადის ერთი ინსტანციიდან მეორე ინსტანციაში, ერთი რაიონიდან მეორეში, რამდენჯერმე ხდება კვლევა-ძიება და სხვა ასეთი მდგომარეობა ფაქტიურად საშუალებას უსპობს მშრომელ ელემენტებს დახმარებისათვის მიმართონ სასამართლო ორგანოებს. საქმის გაჭიანურება სასამართლოში ხელსაყრელია არა მშრომელ ელემენტებისათვის. ბიუროკრატიზმი ისე, როგორც ხშირად სხვა შემთხვევაშიაც, აქაც მშრომელი მასების მოწინააღმდეგე ელემენტების მოკავშირეს როლში გამოდის.

არის მთელი რიგი საკითხები, რომელიც პარტიისა და ხელისუფლების მორიგ მთავარ ამოცანებთან დაკავშირებით, სასამართლოს ორგანოებმა განსაკუთრებულ ყურადღებას უნდა იპყრობდნენ. ესაა ქონებრივი დავა და შრომის კონფლიქტები სოფლის ღარიბ და კულაკურ ელემენტებს შორის, ესაა დაუნდობელი ბრძოლა მიწის ყიდვა-გაყიდვის წინააღმდეგ. არ შეიძლება ითქვას, რომ სასამართლოს ორგანოები და პროკურატურა ყველგან ერთნაირი თავგამოდებით ებრძვიან ამ ბოროტებას, რომელიც წარმოადგენს კულაკურ შეტევას ჩვენი მიწის რეფორმის წინააღმდეგ. არის იმის მრავალი მაგალითი, რომ ბევრ შემთხვევაში მიწის მყიდველი და გამყიდველი გამოაშკარავებულია, მაგრამ სასამართლოს ორგანოები მათ არ სჯიან, ერთგვარ „ნეიტრალურ“ დამოკიდებულებას იჩენენ ბოროტმოქმედების ამა თუ იმ კონკრეტულ შემთხვევის მიმართ.

საიდან ღებულობს სათავეს სასამართლოს ორგანოების მუშაობაში შემჩნეული ეს დეფექტები? ჩვენი აპარატის საერთო ტკივილებთან ერთად, აქ უსათუოდ მნიშვნელოვან როლს თამაშობს სასამართლოს ორგანოების მუშაკთა შერჩევის საქმეც. უნდა ითქვას, რომ პარტიის, საბჭოების და პროფესიონალური კავშირების ადგილობრივი ორგანოები ვერ იჩენენ სათანადო ყურადღებას სასამართლოს მუშაობისადმი. არ ხდებოდა და დღესაც არ ხდება შესაფერისად შერჩეულ მუშაკების გაგზავნა ამ დარგში. ამასთან ერთად ნაკლები ყურადღება ექცევა სასამართლოს მუშაკების კვალიფიკაციის ამაღლებას, გადამზადებას, მათ მიერ საბჭოთა კანონების სათანადოთ შესწავლას და ქართლმსაჯულების სწორი პრაქტიკის შეთვისებას.

მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სასამართლოს მუშაობაში დამცველთა კოლეგიის ინსტიტუტს. არ შეიძლება ამ კოლეგიების მუშაობა დამაკმაყოფილებლად ჩაითვალოს. მიუხედავად იმისა, რომ არაერთხელ მოხდა დამცველთა კორპორაციის შემადგენლობის შემოწმება-გადახალისება, დღეს აქა-იქ მაინც აქვს ადგილი „აბლაკატურ“ გამოსვლებს, საბჭოთა სასამართლოში ძველი სასამართლოების ტრადიციების შემოპარების ცდებს. საჭიროა მეტი ყურადღება მიექცეს დამცველთა კოლეგიების მუშაობას, საჭიროა გაძლიერებულ იქნას ამ გაერთიანებებში საბჭოთა საზოგადოებრიობა. სასამართლოს მუშაობის ეს მხარე, დაცვის როლი და მნიშვნელობა, ნაკლებ ყურადღებას იპყრობს. ამიტომ ხდება, რომ ზოგჯერ მომჩივან-მოპასუხის რწმუნებული შეგნებულად თუ შეუგნებლად, ხელს უწყობს პროლეტარული კლასიური ხაზის დამახინჯებას სასამართლოს მუშაობაში.

დღემდე ძალიან ცოტა არის აგრეთვე გაკეთებული საბჭოთა კანონმდებლობის პოპულარიზაციისათვის. ეს კი ხელსაყრელია სოფლის ექსპლოატატორულ ელემენტებისათვის. კულაკი უმეტეს შემთხვევაში გაცილებით უკეთესად ერკვევა ჩვენს კანონებში, ვიდრე ის, ვისთვისაც იწერება ეს კანონები, ე. ი. მშრომელი მასები და ამ შემთხვევაში ღარიბი გლეხობა. პოლიტგანათლების ორგანოები და ადგილობრივი კედლის გაზეთები, სხვადასხვა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების კულტურულ-განმანათლებელი განყოფილებანი მეტ ყურადღებას უნდა უთმობდნენ საბჭოთა კანონების პოპულარიზაციის საქმეს.

სასამართლოს ორგანოების მუშაობა არ შეიძლება დიდ ხანს დარჩეს იმ მდგომარეობაში, რომელშიაც ის დღეს არის. სასამართლოში აღნიშნულ მთავარ დეფექტების აღმოფხვრის გარეშე ძნელია პარტიის ხაზის მტკიცედ გატარებაზე ლაპარაკი. სასამართლოს მუშაობა უნდა გაჯანსაღდეს და გაცხოველდეს.

სასოფლო-მეურნეობის განვითარების ტემპი უნდა გაძლიერდეს

ჩვენი სამეურნეო მშენებლობის ერთ-ერთ ძირითად ამოცანას წარმოადგენს საკითხი სწორი ურთიერთობის შესახებ მრეწველობასა და სოფლის მეურნეობის შორის. ეს ამოცანა ფრიად აქტუალურად იდგა პარტიის მე-15 ყრილობის წინ. ამ ყრილობაზე სავსებით გარკვეულად იყო აღნიშნული სოფლის დაქსაქსული ინდივიდუალური მეურნეობის ზრდის უდიდესი ჩამორჩენა ჩვენი მსხვილი სოციალისტური მრეწველობის სწრაფი ზრდისაგან.

სოფლის მეურნეობის განვითარების ტემპის უდრესი ჩამორჩენა ინდუსტრიის ზრდის ტემპთან შედარებით პირდაპირ საკითხებს უმზადებს ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ამოცანის შესრულებას. მას შეუძლიან გამოიწვიოს „გათიშვა სოციალისტურ ქალაქსა და წვრილ-გლეხურ სოფელს შორის და, მაშასადამე დაარღვიოს ძირითადი პირობა, აუცილებელი მთელი სახალხო მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნისათვის“. (ივლისის პლენუმი). ამასთან დაკავშირებით, ჩვენს წინაშე სდგას ამოცანა ყოველი ძალ-ღონე ვიხმაროთ ჩვენი სოფლის მეურნეობის განვითარების ტემპის დასაჩქარებლად,— იმ სოციალისტური მეურნეობის, რომელიც წარმოადგენს „ბაზას მრეწველობის განვითარებისათვის, ერთის მხრივ, როგორც ბაზარი რომელიც ახალიბს მრეწველობის პროდუქციას, ხოლო მეორეს მხრივ, როგორც ნედლეულობა და სურსათის მიმწოდებელი“ (ივლისის პლენუმი).

პარტია გადაჭრით სვამს საკითხს ინდივიდუალური გლეხური მეურნეობის შემდგომი გაძლიერების შესახებ, მისი გარდაქმნის შესახებ კოლექტივიზაციის საფუძველზე და საბჭოთა და კოლექტიური მეურნეობის ზრდის გაძლიერების საკითხს. პარტია მთელი სიგრძე-სიგანით სვამს საკითხს სოფლის ინდუსტრიალიზაციის შესახებ. ეს არის ერთად-ერთი გზა მთელი სახალხო მეურნეობის შემდგომი სოციალისტური მშენებლობის საკითხის სწორი გადაჭრისათვის, იგი უზრუნველმყოფს სისტემატიურ შეტევას კერძო სამეურნეო სექტორზე და წარმოშობს სწორ პერსპექტივებს ქვეყნის ყოველმხრივი სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისათვის

ქალაქისა და სოფლის სწორ ურთიერთობის საკითხს დიდი განსაზღვრული მნიშვნელობა აქვს მიმდინარე 1928—29 წლის საკონტროლო ციფრების გამომუშავების საქმეში. ამ საკითხის სწორი გადაჭრა დაკავშირებულია მიმდინარე წლის სიძნელეთა უფრო მეტი წარმატებით დაძლევასთან (ამასთან ერთად საჭიროა ანგარიში გაეწიოს პურის დამზადების წარსულ კამპანიებში მიღებულ გამოცდილებას). და მთელი მეურნეობის სწრაფ განვითარებასთან.

მაგრამ იმ ფაქტიდან, რომ სოფლის მეურნეობის განვითარება დაბალ დონეზე სდგას, რომ მისი ტემპი უაღრესად ჩამორჩენილია მრეწველობის საერთო, განვითარების მძლავრი ტემპისაგან სწორი არ იქნება გამოვიყვანოთ ისეთი დასკვნა, ვითომ სოფლის მეურნეობა საზოგადოდ დეგრადაციას განიცდის, ვითომ იგი არ იზრდება და ერთ წერტილზეა გაყინული ჩვენი სინამდვილის მინიმალისტები დიდი ხალისით იხვევენ ხელზე ამ დებულებას, ცდილობენ აქედან გამოიყვანონ მრავალი შემცდარი დასკვნა. ეჭვს გარეშეა, რომ სოფლის მეურნეობამ საგრძნობლად წაიწია წინ ამ უკანასკნელი სამი-ოთხი წლის განმავლობაში, გაიზარდა ნათესების სივრცე, იმატა საბაზრო პროდუქციამ და აიწია შრომის ნაყოფიერებამ. მაგრამ სრულებით სწორი რჩება ის დებულება, რომ სოფლის მეურნეობის განვითარების ტემპი ამჟამად მეტად სუსტია და აშკარად ვერ არის დამაკმაყოფილებელი. ამრიგად მთელი საქმე იმაშია, რომ უწინარეს ყოვლისა, მოხდეს სოფლის მეურნეობის ზრდის ტემპის გაძლიერება, მისი რაც შეიძლება სწრაფი რეკონსტრუქცია და უფრო მაღალ სამეურნეო ბაზაზე გადაყვანა. ხოლო მიმდინარე წლის მოთხოვნილებათა თვალსაზრისით, უწინარეს ყოვლისა, საჭიროა შევქმნათ წინასწარი პირობები ამ ზრდისათვის, მივიღოთ სასწრაფო ზომები ამა თუ იმ დარგების განვითარების დასაჩქარებლად.

სოფლის მეურნეობის უფრო მაღალ საფეხურზე გადაყვანის საკითხი არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება გადაიჭრას მთელი სახალხო მეურნეობის საერთო განვითარებისა და სოციალისტური ინდუსტრიის მშენებლობისაგან განცალკევებით.

მარცვლეულის პრობლემისა და სხვა მტკივნეული საკითხების გადაჭრა უწინარეს ყოვლისა მოითხოვს ჩვენი მრეწველობის განვითარებას და პირველ რიგში იგი უაღრესად მჭიდროდ არის დაკავშირებული იმ დარგებთან, რომელნიც საწარმოო საშუალებებს იძლევიან. საჭიროა გადაჭრით დაისვას საკითხი იმის შესახებ, თუ რას მოითხოვს ამჟამად სოფელი, რას საჭიროებს იგი პირველ რიგში? უაღრესად არსებითი მნიშვნელობა აქვს სოფლის საჭიროებათა დაკმაყოფილებას სამომხმარებლო მოთხოვნილების ხაზით, მაგრამ ერთი წუთითაც არ უნდა დავივიწყოთ, და არ უნდა ჩავთვალოთ მეორე ხარისხოვან ამოცანად სოფლის საწარმოო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების საქმე სოფლის სამეურნეო რეკონსტრუქციის მხრივ ძირითადი და მეტად არსებითია მოთხოვნილება საწარმოო საქონელზე და სხვ.. აი რატომ არის, რომ სოფლის მოთხოვნილების საკითხის გადაწყვეტის დროს ჩვენ გადაჭრით უნდა დავსვათ ამკამად საკითხი სახალხო მეურნეობის ისეთი ვიწრო დარგების შესახებ, როგორიცაა ლითონის და სხვა დარგები.

თუ ჩვენ არ მივაქცევთ მაქსიმალურ ყურადღებას ჩვენს მძიმე მრეწველობას, ჩვენ ვერ შევძლებთ სოფლის განვითარებისა და რეკონსტრუქციის უფრო მაღალ საფეხურზე დაყენებას. ჩვენ სავსებით უნდა შევიგნოთ ეს დებულება, იგი ნათლად უნდა იყოს გამოხატული მიმდინარე წლის საკონტროლო ციფრებში. ჩვენი მძიმე ინდუსტრიის განვითარება ისეთ ფარგლებში, რომ მან შესძლოს დააკმაყოფილოს სოფლის ახალი, ნაწილობრივ ჯერ კიდევ გამოურკვეველი მოთხოვნილება საწარმოო მნიშვნელობის საქონელზე, მოითხოვს სათანადო მიდგომას წლიური გეგმის შედგენის დროს, მოითხოვს მრეწველობაში კაპიტალური თანხების დაბანდების უფრო დიდი გეგმის გატარებას.

ეს ხაზი აუცილებლად დაკავშირებულია დიდ სიძნელეთა დაძლევასთან. მაგრამ ჩვენ არ უნდა დავიხიოთ იმ სიძნელეთა წინაშე, რომლებიც გველობებიან ამ გზაზე. ამ სიძნელეთა თავიდან აშორების ცდა მარტო ჩითის პრობლემის გადაჭრით წარმოადგენს ცდას აშკარად უვარგისი საშუალებით. ორი-სამი წლის შემდეგ იგი მიგვიყვანს ახალ სიძნელეებთან, გაამწვავებს საქონლის კრიზისს, წარმოშობს კავშირის გაწყვეტის საფრთხეს მრეწველობის და სოფლის მეურნეობის შორის.

ამგვარად, სოფლის მეურნეობის განვითარების ტემპის დაჩქარების პირველ უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს მრეწველობის გაძლიერება, უწინარეს ყოვლისა, გაძლიერება მძიმე ინდუსტრიისა, რომლის ხელმძღვანელი როლი მთელ სახალხო მეურნეობაში სწორედ ეხლა იხატება მკაფიოდ და თვალსაჩინოდ.

სოფლის მეურნეობა ამჟამად საჭიროებს ისეთ გარდაქმნას, რომელიც მაქსიმალურად უზრუნველმყოფს დამუშავების ახალი ფორმების შეჭრას სოფლად და ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობის უფრო სწრაფ მექანიზაციას. დიდი მნიშვნელობა აქვს სოფლის ჩაბმის შემდგომ გაძლიერებას საწარმოო კოოპერაციაში, საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობათა, როგორც მიწათმოქმედების მსხვილ და უფრო რენტაბელურ ფორმათა, მშენებლობას. საბჭოთა მეურნეობის ფართო მშენებლობა და მეურნეობის კოლექტიურ ფორმათა განვითარება მეტის-მეტად მნიშვნელოვანი პირობებია სოფლის მექანიზაციისათვის, ვინაიდან, სრულიად ცხადია, რომ სწორედ ორივე ეს ფორმა საუკეთესოდ ეგუება მიწის დამუშავების უფრო სრულყოფილ მეთოდებს და ბაზის შექმნას სოფლის მეურნეობის მძლავრი ინტენსიფიკაციისათვის.

აუცილებლად ანგარიში უნდა გაუწიოთ აგრეთვე საწარმოო შედეგების გაძლიერების შესაძლებლობას საშუალო და ღარიბ გლეხთა ფართო მასების ინდივიდუალურ მეურნეობაში. კონტრაქტაციის განვითარებამ, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის განვითარების გაძლიერებამ, ამ ფენების წესიერად მომარაგებამ კრედიტებით, სოფლის მეურნეობის სხვადასხვა პროდუქტის ფასების სწორმა პოლიტიკამ უნდა შექმნან მნიშვნელოვანი სტიმულები მეურნეობის შემდგომი ინტენსიფიკაციისათვის, ნათესი სივრცისა და მოსავლიანობის გადიდებისათვის.

სწრაფად იზრდება სოფლის მოთხოვნილება მეურნეობისათვის საჭირო საგნებზე, სასოფლო-სამეურნეო მანქანებზე. მაგრამ მოთხოვნილება მრეწველობის ბევრ პროდუქტებზე ხშირად დაუკმაყოფილებელი რჩება, მაშინაც კი, როცა ამის საშუალება არსებობს მიზეზი ის არის, რომ სოფლად კოოპერატიული ქსელი საკმაოდ ვერ იჭრება.

ჩვენი სავაჭრო, პირველ ყოვლისა, კოოპერატიული ორგანოების მოქნილობამ უნდა უზრუნველჰყოს საქონლის უკეთესად განაწილება რაიონებში და მისცეს სოფელს მისი მოთხოვნილების უფრო შესაფერი ასორტიმენტი. თავის მხრით ჩვენმა საწარმოო ორგანოებმა ყოველგვარი ღონე უნდა იხმარონ სოფელში შესატანი საქონლის გაუმჯობესებისათვის და მისი ფასების შესაძლებელი შემცირებისათვის. ამავე დროს, ჩვენმა ტრესტებმა, სინდიკატებმა და კოოპერაციამ საჭირო ენერგია უნდა გამოიჩინონ ახალ წარმოებათა შესატანად სოფელში, მეტადრე ჩვენი მრეწველობის იმ სახამო საქონლის შესატანად, რომელიც სოფლად ჯერ კიდევ ფართოდ არ არის გავრცელებული.

ახალი 1928—29 სამეურნეო წელიწადი უნდა გადაიქცეს სოფლის მეურნეობის უფრო აჩქარებული წინსვლის წელიწადად. უნდა მოაერხდეს როგორც მარცვლეულობით, ისე ტეხნიკური მცენარეულობით დათესილი სივრცის თვალსაჩინოდ გადიდება. ენერგიულად უნდა დაისვას მოსავლიანობის გაძლიერების საკითხი. მესაქონლეობის დარგში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მსხვილფეხა პროდუქტიული საქონლის არასახარბიელო მდგომარეობას.

სახელმწიფო საგეგმო კომისიის საკონტროლო ციფრების მიხედვით სოფლის მეურნეობაში დაბანდებული გრძელვადიანი და მოკლევადიანი თანხების საერთო ჯამი მიმდინარე სამეურნეო წლის განმავლობაში უნდა უდრიდეს 1.030 მილიონ მანეთს, შარშან კი იგი უდრიდა 771 მილიონ მანეთს. ეს გარემოება, უეჭველია, შესაფერ საწარმოო ეფექტს მოგვცემს.

საკონტროლო ციფრებში გათვალისწინებული კონტრაქტაციის დიდი ზრდა 1928—29 წელს დაახლოებით 300 მილიონამდე, (შარშან კი 170 მილიონი იყო) და სოფლისათვის მანქანების მიწოდების გაფართოება უნდა ემსახურებოდეს იმავე მიზანს—სოფლის მეურნეობის ტემპის განვითარების გაძლიერებას. შარშანდელთან შედარებით საჭიროა გადამწყვეტი ნაბიჯი გადაიდგას სოფლის მეურნეობის განსაზოგადოებული სექტორის ნივთიერად უზრუნველყოფის საქმეში, საჭიროა მოხერხდეს კოლექტიური მიწათმოქმედების სივრცის შემდგომი თვალსაჩინო გაფართოება და საბჭოთა მეურნეობის წინ წაწევა.

ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციებმა და საადგილ-მამულო ორგანოებმა თავიანთი სახოფლო-სამეურნეო პოლიტიკის ცენტრში უნდა მოაქციონ სოფლის კოლექტივიზაციის გაძლიერება.

ყოველგვარ ძალ-ღონისა და საშუალების, პირველ ყოვლისა, ჩვენი ინდუსტრიალიზაციის ძალ-ღონისა და საშუალებათა მობილიზაცია უმჭიდროესი სამეურნეო კავშირის დასამყარებლად სოფელთან—ის სწორი გზაა, რომელმაც უნდა გააძლიეროს სოფლის მეურნეობა, მისი საბაზრო პროდუქცია, უზრუნველყოს ინდუსტრიალიზაციის უფრო სწრაფი ტემპი და, ამასთანავე ერთად, უნდა მოგვცეს ახალი საბაზრო პური ათეული და ასეული მილიონობით.

„პრავდა“, 24 ოქტომბერი.

გერმანია-საბჭოთა ეკონომიური მოლაპარაკება განახლდება ნოემბერში

საბჭოთა ნავთის გამარჯვება საფრანგეთის ბაზარზე

იაპონია-ჩინეთის ურთიერთობა მწვავდება.—იაპონია ემუქრება ჩინეთს

გერმანია საბჭ. კავშირის ურთიერთობა

მოლაპარაკება დაიწყება ნოემბერში

ბერლინი, 23 ოქტომბერი. „დოიჩე ალგემაინე ცეიტუნგ“-ის ცნობით, ბერლინის წრეებში მოელიან, რომ გერმანია საბჭოთა კავშირის ეკონომიური მოლაპარაკება განახლდება მოსკოვში ნოემბრის შუა რიცხვებში (ადს).

გერმანიის გაზეთები ომის წინა დროის ვალების შესახებ

ბერლინი, 23 ოქტომბერი. მძიმე მრეწველობის ორგანო „რეინიშ ვესტფალიშე ცაიტუნგ“-ი ათავსებს წერილს „რუსეთის კრედიტორთა საერთაშორისო გაერთიანებაში“ მონაწილეობის შესახებ.

გაზეთი აცხადებს: „მართალია, გერმანიის მთავრობამ რაპალოს ხელშეკრულებით ხელი აიღო ომის წინა დროის პრეტენზიებზე, მაგრამ გერმანიის კერძო დაწესებულებანი მოვალენი არ არიან სამუდამოდ გაიზიარონ გერმანიის მთავრობის ასეთი პოზიცია, ამასთანავე თვით რაპალოს ხელშეკრულება შეიცავს შენიშვნას, რომლის თანახმადაც იმ მომენტში, როდესაც რუსეთი სცნობს სხვა სახელმწიფოთა ომის წინა დროის მოთხოვნებს, გერმანიის მოთხოვნებიც ძალაში შედიან. ამიტომ გერმანიის დაინტერესებული წრეების მონაწილეობა ლონდონის კონფერენციაში არა თუ სავსებით ლოიალური ნაბიჯია რუსების მიმართ, არამედ სასურველიც არის“.ო. (ადს).

„რუსეთის საქმეთა კომიტეტმა გაამართლა თავისი არსებობა“

ბერლინი, 23 ოქტომბერი. გერმანიის სავაჭრო-სამრეწველო ყრილობის „უცხოეთის კომისიაში“ მოხსენება გააკეთეს გერმანიის სამეურნეო წრეების მიერ „რუსეთის საქმეთა კომიტეტის“ დაარსების შესახებ. მომხსენებელმა განაცხადა, რომ კომიტეტმა ჯერ-ჯერობით გაამართლა თავისი არსებობა. კომიტეტი ცდილობს თანაბარ პირობებში ჩააყენოს ხელმძღვანელი სამრეწველო გაერთიანებათა ურთიერთობა საბჭოთა კავშირის სავაჭრო ზრუნვასთან, მაგრამ მის მიზანს არ შეადგენს გავლენა მოახდინოს ცალკე შეთანხმებებსა და გარიგებებზედ. (ადს).

საბჭოთა ნავთი საფრანგეთის ბაზარზე

მოსკოვი, 24 ოქტომბერი. საბჭოთა ნავთის პროდუქტებს საფრანგეთის ბაზარზე „ნეფტესინდიკატ“-ი ასაღებდა „პეტროფინ ფრანსეზ“-ის საზოგადოების მეშვეობით, რომელიც აერთიანებს საფრანგეთის ნავთით მოვაჭრე დამოუკიდებელი ფირმების საგრძნობ რიცხვს. რადგან ხელშეკრულებებს ვადა გაუვიდა, სწარმოებდა მოლაპარაკება ახალი ვადის დაწესების შესახებ.

ოქტომბერში ხელი მოაწერეს ახალ ხელშეკრულებას. ამ ახალი ხელშეკრულებით გადიდებულ იქნა საბჭოთა ნავთის პროდუქტების ის რაოდენობა, რომელიც სინდიკატმა საფრანგეთის ბაზარს უნდა მიაწოდოს. ამასთან ერთად მოხდა შეთანხმება ახალი შერეული საზოგადოების დაარსების შესახებ. საბჭოთა ზეთით წვრილად ვაჭრობისათვის. სამაგიეროდ დამარცხდა ის კამპანია, რომელსაც საბჭოთა ნავთის წინააღმდეგ აწარმოებდნენ. „ნეფტესინდიკატ“-მა შესძლო თავისი პოზიციების განმტკიცება ისეთ პირველხარისხოვან ბაზარზე, როგორიც არის საფრანგეთის ბაზარი. (ადს).

ამხ. ტროიანოვსკის დაბრუნება ტოკიოში

ტოკიო, 23 ოქტომბ. საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი ტროიანოვსკი ტოკიოში დაბრუნდა ოსაკადან და კობედან, რომლის საქმიანმა წრეებმა მას გულითადი შეხვედრა გაუმართეს. (ადს).

ინგლის-საფრანგეთის შეთანხმების გარშემო

შეთანხმებამ გააუარესა ინგლის-ამერიკის ურთიერთობა

ლონდონი, 23 ოქტომბ. ინგლისის პოლიტიკური წრეები და ინგლისის პრესა საერთოდ კრიტიკულად უყურებენ მთავრობის მიერ გამოქვეყნებულ „თეთრ წიგნს“, რომელიც შეიცავს დოკუმენტებს ინგლის-საფრანგეთის შეთანხმების შესახებ.

პოლიტიკური წრეები აღნიშნავენ, **რომ ჩემბერლენს და კუშენდენს შეცდომაში შეჰყავდათ სხვა სახელმწიფოები, როცა აცხადებდნენ, რომ შეთანხმება მხოლოდ და მხოლოდ საზღვაო შეიარაღების საკითხს ეხებაო.**

გაზეთებს შორის მხოლოდ კონსერვატიული **„მორნინგ პოსტ“**-ი უჭერს სავსებით მხარს ინგლის-საფრანგეთის შეთანხმებას. **დანარჩენი კონსერვატიული გაზეთები უფრო კრიტიკულად არიან განწყობილნი.** კონსერვატიულ გაზეთებს შორის ყველაზე უფრო სასტიკი პოზიცია უჭირავს „დეილი ექსპრესს“, რომელიც სწერს:

„თეთრი წიგნი“ ლაპარაკობს არა იმდენად ინგლის-საფრანგეთის შეთანხმების შესახებ, რამდენადაც საგარეო საქმეთა სამინისტროს შესახებ, რომელმაც სიბეცე და წინდაუხედაობა გამოიჩინა“.

ლიბერალური პრესა გადაჭრით ილაშქრებს შეთანხმების წინააღმდეგ.

„მანჩესტერ გარდიენ“-ი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ **ინგლის-საფრანგეთის** შეთანხმება ითვალისწინებს ინგლის-საფრანგეთის ახალი ანტანტის შექმნას, თუმცა ამის შესახებ არაფერს არ ამბობს „თეთრი წიგნის“ არც ერთი დოკუმენტი.

„დეილი გერალდ“-ი აცხადებს, რომ შეთანხმება უნდა ჩაითვალოს „უდიდეს შეცდომად და დიპლომატიური უმეცრების გამოხატულებად“.

ყველა გაზეთი სცნობს, რომ შეთანხმებამ მეტად ცუდი გავლენა მოახდინა ინგლისის და შეერთებული შტატების ურთიერთობაზე (ადს).

სემიუელი აკრიტიკებს შეერთებულ შტატებს

ლონდონი, 23 ოქტომბ. ნავთის სავაჭრო-სატრანსპორტო კომპანია შელის დირექტორი—კონსერვატორი სემიუელი ერთ-ერთ კრებაზე გამოვიდა სიტყვით, რომელიც მიმართული იყო შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის წინააღმდეგ.

სემიუელი ამტკიცებდა, რომ **შეერთებული შტატები ხელს უშლის ინგლისის საერთაშორისო მიზნების განხორციელებას** და ცდილობს თვით გაბატონდეს. შეერთებულ შტატების ანტი-ინგლისური პოლიტიკის მაგალითად სემიუელმა მოიყვანა **შეერთებული შტატების უარყოფითი დამოკიდებულება ინგლის საფრანგეთის შეთანხმებისადმი.**

ამ სიტყვას პოლიტიკურ წრეებში სთვლიან სამრეწველო წრეების შეხედულების გამოხატულებად ინგლის-ამერიკის ურთიერთობის საკითხში.

ბელგია რეპარაციების შემცირების წინააღმდეგია

პარიზი, 23 ოქტომბერი. ბრიუსელიდან მიღებული ცნობებით, ბელგიის მთავრობა რეპარაციების გენერალური აგენტთან, პარკერ გილბერტთან მოლაპარაკების დროს წინააღმდეგი იყო ბელგიის ხვედრი რეპარაციების ყოველგვარი შემცირებისა და მოითხოვდა, რომ ბელგიისათვის აენაზღაურებათ ის თანხა, რომლის რაოდენობითაც გერმანიის საოკუპაციო ხელისუფლებამ თავის დროზე ბელგიაში ბანკნოტები გამოუშვა (ეს თანხა 6 მილიარდ ოქროს მარკას უდრის).

იაპონია და ჩინეთი

ჩინეთი დათმობაზე არ მიდის

შანხაი, 23 ოქტომბერი. იაპონია-ჩინეთის მოლაპარაკება ხელშეკრულების გადასინჯვის შესახებ **კრიტიკულ ფაზაში გადავიდა.** ყველაფრიდან სჩანს, **რომ ნანკინის მთავრობა არ ფიქრობს დაუთმოს იაპონიას.**

გაზეთების თანამშრომლებთან ბაასის დროს **ვან-ჩჟენ-ტინმა განაცხადა რომ „უთანასწორო ხელშეკრულებათა გაუქმება მთავრობის საგარეო პოლიტიკის საფუძველს შეადგენს და მას არ შეუძლია ამ მოთხოვნაზე უარი სთქვასო“.**

ჩინეთის საზოგადოებრიობა დაჟინებით მოითხოვს, რომ ჩინეთმა ცზინანის ინციდენტისთვის სრული დაკმაყოფილება მიიღოს. (ადს).

იაპონიის ულტიმატუმი

ტოკიო, 23 ოქტომბ. იმ ხმებთან დაკავშირებით, რომ ჩინეთ-იაპონიის მოლაპარაკება ცზინანის ინციდენტის მოგვარების შესახებ ჩიხში მოემწყვდაო, „ნიცი-ნიცი“ იუწყება: თუ ნანკინის მთავრობა შეთანხმების გულწრფელ სურვილს არ გამოიჩენს, **იაპონია შანდუნში დასტოვებს იმდენს ჯარს, რამდენიც საჭიროა იმისთვის, რომ უზრუნველყოფილ იქნას პროცენტების მიღება იმ სესხზე, რომელიც იაპონიამ შანდუნის რკინის გზას მისცა**

ვერ შეთანხმდნენ

შანხაი, 24 ოქტომბერი. არც ჩინეთისა და არც იაპონიის ოფიციალური წრეები არ მალავენ მოლაპარაკების ჩაშლას. იაპონიის დეპეშათა სააგენტოს ცნობით, საჭირო იქნება ხელახალი ხანგრძლივი მოლაპარაკება შეთანხმების მისაღწევათ. განსაკუთრებით მწვავე უთანხმოებამ იჩინა თავი ჩინეთ-იაპონიის ხელშეკრულების საკითხში. ნანკინის მთავრობის აზრით, ხელშეკრულების ვადა უკვე გავიდა. იაპონიის შანხაელი კონსული იადა, რომელიც მოლაპარაკებას აწარმოებდა, ამტკიცებს, რომ ხელშეკრულებას ვადა აქვს კიდევ 10 წ. განმავლობაში.

უნაყოფო გალაშქრება

ნიუ-იორკი, 23 ოქტომბ. ელექტრონის გენერალური კომპანიის მიერ „ამტორგ“-თან გარიგების დადების გამო, ნაციონალურმა სამოქალაქო ფედერაციამ გამოაქვეყნა ანტისაბჭოთა პროკლამაცია, რომელიც მოითხოვს არ იქნეს ცნობილი საბჭოთა კავშირი და აღნიშნავს, რომ **ზოგიერთი საქმიანი ფინანსიური წრეები სისტემატიურ ზეგავლენას ახდენენ საბჭოთა კავშირის ცნობის სასარგებლოდ.** ფედერაცია ილაშქრებს ყოველგვარი წინადადების წინააღმდეგ შეერთებული შტატების მთავრობის მიერ საბჭოთა კავშირის მთავრობასთან დიპლომატიური მოლაპარაკების დაწყების შესახებ ოფიციალურ სავაჭრო ურთიერთობის აღდგენის მიზნით. **ფედერაციის გამოსვლამ „ამტორგ“-ის წინააღმდეგ ნაყოფი ვერ გამოიღო, ვინაიდან საქმიანი წრეების სერიოზული წარმომადგენლები ფედერაციას არავითარ ყურადღებას არ აქცევენ.**

შენიშვნა: ნაციონალური სამოქალაქო ფედერაცია თავდაპირველად დაარსებულ იქნა კლასთა თანამშრომლობისათვის ხელის შეწყობის მიზნით და მის შემადგენლობაში შედიოდნენ როგორც კაპიტალისტები, ისე ამერიკის შრომის ფედერაციის ბიუროკრატებიც. მას შემდეგ, რაც ამერიკის შრომის ფედერაციამ ოფიციალურად შეითვისა კლასთა თანამშრომლობის პროგრამა, ნაციონალური სამოქალაქო ფედერაცია [illegible] ამჟამად ფედერაცია არავითარ როლს აღარ თამაშობს. (ადს).

ბრძოლა პოლონელ მენშევიკების ბანაკში გრძელდება

ვარშავა, 23 ოქტომბერი. უთანხმოება პოლონეთის სოციალისტურ პარტიაში გრძელდება, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ამჟამად შეტევაზე გადავიდა ცეკას უმრავლესობა, რომელიც მრისხანე მოწოდებით გამოვიდა ივაროვსკის ჯგუფის წინააღმდეგ ლოძის ორგანიზაციამ, რომელშიაც ხელმძღვანელი ადგილი ივაროვსკის მომხრეებს ეკუთვნით, [illegible] ცეკას დაუჭირა მხარი.

„რობოტნიკ“-ი ყოველდღე ბეჭდავს სხვადასხვა ორგანიზაციის რეზოლუციებს, რომლებშიაც ისინი სოლიდარობას უცხადებენ ცეკას და გმობენ გამთიშველებს. ამათ რიცხვშია კრაკოვისა და რადომის ორგანიზაცია. ახლა უკვე ცხადია, რომ პროვინციაში ივაროვსკის კამპანია დამარცხდა. ერთად-ერთი უპირატესობა, რომელიც ივაროვსკის ხელშია, არის პოლონეთის სოციალისტური პარტიის მებრძოლი რაზმი.

კვირას ვარშავის კომიტეტის ეზოში მოხდა რაზმის აღლუმი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო 600-მა რაზმელმა თავისი უფროსის ლოკეტეკის მეთაურობით. რაზმელებმა ფიცი დასდეს, რომ ვარშავის კომიტეტის ერთგულნი იქნებიან.

როგორც იუწყებიან, ორივე მხარე მიუხედავად ოფიციალური ბრძოლისა, რომელიც სწარმოებს „რობოტნიკ“-სა და „ვპერედ“-ში, ერთმანეთთან მუდმივ კონტაქტშია. სწარმოებს საიდუმლო მოლაპარაკება შერიგების შესახებ. ხმა დადის, ივაროვსკის ჯგუფი მზად არის გააუქმოს თავისი ახალი პარტია და ნაწილობრივ დათმობაზე წავიდეს პროფკავშირთა ვარშავის საბჭოს საკითხში და ვარშავის ორგანიზაციის დამოუკიდებელი ბეჭდვითი ორგანოს საკითხში.

პოლიტიკურ წრეებში ფიქრობენ, რომ იმ შემთხვევაში, თუ საქმე შერიგებამდე მივიდა, ივაროვსკის ჯგუფი ორგანიზაციულად დასთმობს, მაგრამ პოლიტიკურად გაიმარჯვებს. რადგან შერიგების შემდეგ უსათუოდ მოხდება გადახრა მარჯვნივ—პილსუდსკისთან თანამშრომლობისკენ.

პოლიტიკურ წრეებში დიდის ინტერესით ადევნებენ თვალყურს კრიზისის განვითარებას და მოუთმენლად მოელიან ორივე პარტიის ყრილობას, რომელიც 1 ნოემბრისათვის არის დანიშნული (ადს).

გაფიცვების ტალღა

საფრანგეთში

გაფიცვა ბორდოში

პარიზი, 23 ოქტომბერი. ბორდოს დოკერების უკვე მეხუთე კვირაა, რაც გაფიცულნი არიან დოკერებთან ერთად, რომელნიც უნიტარულ პროფკავშირში შედიან, გაფიცულნი არიან აგრეთვე რეფორმისტულ კავშირთა წევრებიც. ნავთსადგურში შტრეიკბრეხერები მუშაობას აწარმოებდენ (ადს).

გერმანიაში

ფეიქრები არ ნებდებიან

ბერლინი, 23 ოქტომბერი. პროფკავშირები დასთანხმდენ მიიღონ სამედიატორო სასამართლოს გადაწყვეტილება მიუნხენ - გლადბახის საფეიქრო წარმოებაში მომხდარი კონფლიქტის შესახებ. საარბიტრაჟო ინსტანციის გადაწყვეტილება ითვალისწინებს სამუშაო ხელფასის გადიდებას 5%-ით, ნაცვლად 15 პროცენტისა, რასაც მუშები მოითხოვდნენ.

საფეიქრო წარმოების საფაბრიკო კომიტეტების პლენუმმა გადაჭრით უარყო სამედიატორო სასამართლოს გადაწყვეტილება. სხდომის შემდგომი მსვლელობის დროს კრების თავჯდომარემ გამოიწვია პოლიციელთა რაზმი და საშინელ ხმაურობაში მიმართა პოლიციას დარბაზიდან გაეყვანა მემარცხენე პროფმოძრაობის უმცირესობა, ის რამდენიმე მოღვაწე, რომელნიც მოითხოვდნენ ბრძოლას სამედიატორო განაჩენის წინააღმდეგ. სხდომის დასასრულ იმ სადგომის წინ, სადაც კრება გაიმართა, ჩაიარა გაფიცულთა დიდმა დემონსტრაციამ, რომელიც კომპარტიამ მოაწყო. პოლიციამ გაფანტა დემონსტრანტები. მუშები ძალიან აღელვებული არიან (ადს).

ბურჟუაზია იძულებულია დაადასტუროს

ბერლინი, 23 ოქტომბერი. ბურჟუაზიული პრესა იძულებულია დაადასტუროს, რომ კომუნისტებმა დიდ წარმატებას მიაღწიეს ჰამბურგსა და ალტონში, სადაც მათ მოახდინეს ნავთსადგურების მუშების მობილიზაცია გაფიცულთათვის მხარის დასაჭერად.

როგორც რეაქციონური „ლოკალ ანცეიგერ“-ი გადმოგვცემს, კომკავშირელთა ჯგუფმა რკინის გზის ლიანდაგი დაიჭირა და გზა გადაუღობა იმ მატარებელს, რომელიც შტრეიკბრეხერებს მიჰყავდათ. მატარებელი უკან პარკშივე დაბრუნდა (ადს).

დემონსტრაცია აკრძალეს

ბერლინი, 23 ოქტომბერი. ჰამბურგის პოლიციის სოციალ-დემოკრატიულმა სამმართველომ აკრძალა კომუნისტური პარტიის მიერ მოწყობილი, ჰამბურგის 1923 წლის 23 ოქტომბრის აჯანყების ხუთი წლის თავთან დაკავშირებული, მასიური დემონსტრაციები (ადს).

მოლაპარაკება დამქირავებლებთან

ბერლინი, 23 ოქტომბერი. დაიწყო მოლაპარაკება მუშათა წარმომადგენლებსა და დამქირავებლებს შორის, მოლაპარაკების მიზანს შეადგენს მოწესრიგება კონფლიქტისა რეინ-ვესტფალიის მძიმე წარმოებაში. მრეწველებმა გადასწყვიტეს 1-ლ ნოემბრიდან დაითხოვონ 230.000 მუშა (ადს).

გაფიცულთა ნებისყოფის წინააღმდეგ

ბერლინი, 24 ოქტომბერი. სამედიატორო სასამართლოს გადაწყვეტილება მიუნხენ-გლადბახის საფეიქრო მრეწველობაში წარმოშობილ კონფლიქტის შესახებ სავალდებულოდ გამოაცხადეს მიუხედავად იმისა, რომ ფეიქართა უმრავლესობამ 50.000 კაცმა კატეგორიულად უარყო წინადადება ხელფასის 5 პროცენტით გადიდების შესახებ მოთხოვნილ 15 პროცენტის ნაცვლად. პროფკავშირების რევოლუციონური უმცირესობა მოუწოდებს მუშებს განაგრძონ გაფიცვა.

კომუნისტების გამარჯვება

პრაღა, 23 ოქტომბერი. კომუნალურ არჩევნებში კშეში (დასავლეთ ჩეხიის საფეიქრო ცენტრი) კომუნისტებმა დიდად გაიმარჯვეს. მათ მიიღეს ყველა მიცემული ხმის მეოთხედზე მეტი. ამჟამად, მათ მიიღეს სამი ახალი მანდატი, ე. ი. ათი მანდატი, წინანდელი შვიდის ნაცვლად (ადს).

ოლარის გარდაცვალება

პარიზი, 2[illegible] ოქტომბერი. გარდაიცვალა საფრანგეთის რევოლუციის ცნობილი ისტორიკოსი პროფესორი ოლარი. (ადს).

ამნისტია ავსტრიაში

ვენა, 23 ოქტომბერი. ავსტრიის დეპეშათა სააგენტო იუწყება:

„რესპუბლიკის გამოცხადების დღიდან 10 წლის შესრულების გამო მთავრობამ შეიტანა პარლამენტში ამნისტიის პროექტი. პირველ რიგში ამნისტია შეეხება ისეთ პოლიტიკურ დანაშაულს, რომელიც ჩადენილ იქნა 1927 წ. ივლისის მღელვარებასთან დაკავშირებით.

უკანასკნელი ცნობები

პილსუდსკის ანტი-საბჭოთა გეგმები

ბერლინი, 23 ოქტომბერი. ნაციონალისტურმა გაზეთებმა გამოაქვეყნეს „ოსტ-ექსპრესის“ სააგენტოს მიერ პრაღიდან მიღებული ახალი დაწვრილებითი ცნობები საფრანგეთის, პოლონეთის და რუმინეთის სამხედრო და პოლიტიკურ წრეების მოქმედების შესახებ, რომლის მიზანია ანტი-საბჭოთა ფრონტის შექმნა.

ამ ცნობის მიხედვით, ვარშავაში გამართულ კონფერენციაზე, რომლის შესახებ დღემდე არავინ არაფერი იცოდა და რომელშიაც მონაწილეობას იღებდნენ რუმინეთის არმიის მთავარი ინსპექტორი მადარესკუ და პოლონეთის გენერალური შტაბის უფროსი პისტორი, მუშავდებოდა პოლონეთის და რუმინეთის ჯარების ოპერატიული გეგმა იმ შემთხვევისათვის, თუ დაიწყებოდა ომი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. შეთანხმებით გათვალისწინებულია როლების განაწილება პოლონეთის და რუმინეთის ჯარების მთლიანი ფრონტისათვის უმაღლესი ხელმძღვანელობის გაწევის საქმეში. უთანხმოებას ჰქონდა ადგილი იმ საკითხში, თუ რა სახის სტრატეგია უნდა იქნეს გამოყენებული—თავდაცვისა თუ შეტევის ხასიათის სტრატეგია. პოლონეთი მხარს უჭერდა შეტევის სტრატეგიას, ხოლო რუმინეთი—თავდაცვისას. პილსუდსკის ბუქარესტში ჩასვლის შემდეგ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ოპერაციების გეგმის შედგენა დამთავრებულია. პოლონეთმა აღუთქვა რუმინეთს, რომ იგი რუმინეთის სარდლობის განკარგულებაში გადასცემს სამ დივიზიას. პილსუდსკი ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ რუმინეთი შეერთებოდა საბჭოთა კავშირისა და რუმინეთის შორის უკრაინის საბუფერო სახელმწიფოს შექმნის პროექტს.

ამ შემთხვევისათვის ის აყენებდა გეგმას ოდესის თავისუფალ ნავთსადგურად გადაქცევის შესახებ რუმინეთისათვის. პილსუდსკის ცდა შეთანხმების მიღწევისა რუმინეთსა და უნგრეთს შორის უშედეგოთ დამთავრდა.

ყველა ამ მოლაპარაკებათა დროს დიდი როლი ითამაშა აქტიურმა დახმარებამ საფრანგეთის მხრივ, რაც გამოიხატა რუმინეთისათვის და პოლონეთისათვის სამხედრო მასალების მიწოდების, გენერალური შტაბის ოფიცრების და საჭირო შემთხვევაში—საფრანგეთის ჯარების გაგზავნის დაპირებაში.

ბენეშმა, რომელზედაც ზეგავლენა მოახდინეს საფრანგეთმა და ინგლისმა, რათა ჩეხოსლოვაკია ჩაებათ ანტი-საბჭოთა ფრონტში, ამის წინააღმდეგ შემდეგი მოსაზრებები წამოაყენა: ჩეხო-სლოვაკიის მუშების მეგობრული განწყობილება საბჭ. კავშირის მიმართ და სერიოზულ უთანხმოებათა უქონლობა საბჭ. კავშირსა და ჩეხო-სლოვაკიას შორის.

პარიზში და ლონდონში უკანასკნელი მგზავრობის დროს ბენეში დათმობაზე წავიდა და დასთანხმდა სამხედრო მასალების მიწოდებაზე რუმინეთისათვის.

ლოძის გაფიცვის ჩაშლის შემდეგ

ბურჟუაზიის შურისძიება

ვარშავა, 23 ოქტომბერი. გაზეთების ცნობით, სამმა უცნობმა პირმა სტანისლავოვში, სადგურზე, ძალზე **სცემა სოფლის მეურნეობის მუშათა დეპუტატს ხამს**, ბოლო დროს ბურჟუაზიული პრესა გაცოფებულ კამპანიას აწარმოებდა ხამის წინააღმდეგ. მას ბრალსა სდებდნენ, რომ ხელმძღვანელობდა სოფლის მეურნეობის იმ მუშებს, რომელნიც გაიფიცნენ საპეგას მამულში „ხლებიონოე“-ში. (ადს).

კომუნისტების დევნა

ვარშავა, 23 ოქტომბ. კომუნისტ დეპუტატს გავრონს, რომელიც დომბროვის რაიონში, მიტინგზე ჩავიდა, თავს დაესხა პოლიცია, მაგრამ მუშებმა გავრონი გაანთავისუფლეს. პოლიციელთა ჯგუფს ხელმძღვანელობდა უბნის უფროსი იალინი. პოლონეთის სოციალისტთა პარტიის ყოფილი წევრი (ადს).

პროფინტერნის აღმასკომი ლოძის გაფიცვის შესახებ

მოსკოვი, 24 ოქტომბერი. პროფინტერნის აღმასკომმა მოისმინა ამხ. ვოიკოვსკის მოხსენება ლოძის გაფიცვის შესახებ. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ლოძის გაფიცვა წარმოადგენდა პოლონეთის პროლეტარიატის ერთ-ერთ უდიდეს მოძრაობას. თუ მხედველობაში მივიღებთ ბრძოლის სურვილს, რომლითაც ეს გაფიცვა იყო გაჟღენთილი, დემონსტრაციების მასშტაბს და პოლიციასთან შეტაკებებს, იგი შეიძლება შევადაროთ მხოლოდ 1905 წლის საგაფიცვო მოძრაობას, საგაფიცვო მოძრაობაში ჩაებნენ პროლეტარიატის ყველაზე უფრო ჩამორჩენილი ჯგუფებიც კი. თუ შევადარებთ გაფიცვის ეკონომიურ შედეგებს, უნდა ვაღიაროთ, რომ მუშები დამარცხდნენ. პოლიტიკურად გაფიცვას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს. იგი წარმოადგენს ისტორიულ ნაბიჯს პოლონეთის პროლეტარიატის ბრძოლაში და მოწმობს რევოლუციონური განწყობილების დიდ ზრდას. (ადს).

ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხი

სესხზე ხელის მოწერის კამპანია სოფლად გაგრძელებულია 1-ლ დეკემბრამდე

მოსკოვი, 24 ოქტომბერი. როგორც ვიცით, ინდუსტრიალიზაციის მე-2 სესხზე ხელის მოწერა სოფლად განგრძობილ იქნა 1 დეკემბრამდე. ამის გამო პრესის წარმომადგენლებთან საუბრის დროს ფინანსთა კომისარმა ამხ. **ბრიუხანოვმა** განაცხადა შემდეგი:

„ეს გადაწყვეტილება იმან გამოიწვია, რომ კამპანია სოფლად არამც თუ დამთავრებული არ არის, არამედ დღემდე ფართოდაც კი არ განვითარებულა. ხელისმოწერის შედეგები ქალაქში აღემატება გეგმით ნავარაუდევ რაოდენობას. აღფრთოვანებულმა მუშამ უკან გაიყოლია ქალაქის შეუკავშირებელი მოსახლეობა, რომელიც აგრეთვე ინტენსიურ მონაწილეობას იღებს სესხის განაღდებაში. გაცილებით უფრო ცუდად არის სესხის განაღდების საქმე სოფლად. აქ განსაზღვრული გავლენა მოახდინეს არახელსაყრელმა ობიექტიურმა პირობებმა. ჯერ ერთი, გლეხობა ჩვეულებრივზე მეტ ხანს მოუნდა მინდვრის მუშაობას. მეორე—კამპანიის ჩატარება ქალაქში ისეთ ენერგიულ მუშაობას მოითხოვდა, რომ თითქმის საშუალება არა გვქონდა ყურადღება მიგვექცია კამპანიის განვითარებისათვის სოფლად. ბოლოს, ზოგიერთ რაიონში ჯერ კიდევ სავსებით არ არის აღმოფხვრილი გლეხთა მეურნეობის განმტკიცების შარშანდელი სესხის განაღდების უმართებულო მეთოდების კვალი. ახლა მინდვრის მუშაობა დამთავრებულია, მთავრდება სესხის რეალიზაციის კამპანია ქალაქად. საშუალება გვეძლევა, რომ სესხის განაღდების საქმე განვავითაროთ სოფლადაც.

კატეგორიულად აღვნიშნავთ, რომ სესხის განაღდებას სოფლად სრული ნებაყოფლობის ხასიათი უნდა ჰქონდეს. თუ გვინდა, რომ სხვადასხვა სახელმწიფო სესხს მკვიდრი გამსაღებელი ჰყავდეს სოფლად, საჭიროა მოისპოს ადმინისტრატიული იძულების ზომები სესხის რეალიზაციის დროს.

დასასრულ, მინდა ადგილობრივი მუშაკების ყურადღება მივაქციო იმ გარემოებას, რომ საკმაოდ არ არის გამოყენებული ბოლოდროინდელ სესხთა ერთ-ერთი არსებითი თავისებურება, რომელიც საუცხოო ნიადაგს წარმოადგენს აგიტაციისათვის. მხედველობაში მაქვს განაღდებული თანხიდან ათპროცენტიანი ანარიცხის გადადება ადგილობრივ ბიუჯეტისათვის. ნოემბერი უნდა გადაიქცეს ენერგიული მუშაობის თვედ მთელი სოფლის საზოგადოებრიობისათვის და ქალაქის იმ ორგანიზაციისათვის, რომლებიც დაკავშირებულნი არიან სოფელთან. (ადს).

საბჭოთა კავშირში გასაღებულია 402.700.000 მანეთის ობლიგაცია

მოსკოვი, 24 ოქტომბერი. საბჭოთა კავშირის ფინანსთა კომისარიატის არასრული ცნობებით, 20 ოქტომბრამდე მთელ კავშირში განაღდებულ იქნა 402.700.000 მანეთის ობლიგაცია, რაც შეადგენს გეგმით ნავარაუდევი თანხის 101,2 პროცენტს. (ადს).

1927 წლის მომგებიანი სესხის მე-7 ტირაჟი

სარატოვი, 24 ოქტომბერი. დასრულდა 1927 წლის მომგებიანი სესხის მე-7 ტირაჟი. 10.000 მან. მოგება ხვდა შემდეგ ობლიგაციებს: 00.9027, სერია 07;026490, სერია 13, 061937, სერია 02; 158084, სერია 16; 161105 სერია 09; 25.000 მან. მოგება ხვდა ობლიგაციებს: 037041, სერია 16; 035818, სერია 01. 50.000 მან. მოგება ხვდა ობლიგაციას 193914, სერია 13. (ადს).

მოსკოვი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

სახელმწიფო მოსამსახურეთა მიტინგი ავსტრიაში

მოსკოვი, 24 ოქტომბერი გაზეთ „იზვესტია“-ს კორესპონდენტი ვენიდან იტყობინება:

აქ შესდგა სახელმწიფო მოსამსახურეთა გრანდიოზული მიტინგი, სადაც დამსწრენი დიდ პროტესტს გამოსთქვამდნენ მთავრობის წინააღმდეგ. მდგომარეობა ქალაქში და სახელმწიფო დაწესებულებებში უაღრესად გამწვავებულია.

ეს მიტინგი ჩინოვნიკების მასიური უკმაყოფილების პირველი ნიშანია.

ჩეხო-სლოვაკია-საბჭოთა კავშირის ურთიერთობა

მოსკოვი, 24 ოქტომბერი. გაზეთ „იზვესტია“-ს პრაღელი კორესპონდენტი გადმოგვცემს შემდეგს:

ჩეხო-სლოვაკიის პარლამენტში საბჭოთა კავშირის შესახებ ვრცელი სიტყვით გამოვიდა მთავრობის თავმჯდომარის და საგარეო საქმეთა მინისტრის ბენეშის პარტიის წარმომადგენელი კლაპკი. ორატორი შეეხო საბჭოთა კავშირის მონაწილეობას სხვადასხვა მსოფლიო გამოფენებზე და აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის მოწესრიგებას პირდაპირ გვიკარნახებს ჩვენი სამეურნეო ინტერესებიო.

იაპონიის ჩაის პლანტატორების დელეგაციის ჩამოსვლა

მოსკოვი, 24 ოქტომბერი. მოსკოვში ამ დღეებში ჩამოვიდა იაპონელ ჩაის პლანტატორების ასოციაციის წარმომადგენლები. იაპონელ ჩაის მწარმოებლებს განზრახვა აქვთ მოლაპარაკება გამართონ საბჭოთა კავშირის მთავრობასთან საბჭოთა კავშირში ჩაის შემოზიდვის გაძლიერების შესახებ.

ამ დღეებში დელეგაცია გამოემგზავრება საქართველოში, სადაც ადგილობრივად გაეცნობა ჩაის წარმოების საქმეს.

მოკავშირე მთავრობათა რადიო-მისალმებანი

მოსკოვი, 24 ოქტომბერი. მიმდინარე წლის 6 ნოემბერს, ოქტომბრის რევოლუციის წინა დღით, მოკავშირე საბჭოთა რესპუბლიკების მთავრობების მისალმებები გადაცემული იქნება რადიოს საშუალებით. სხდომა თბილისში აგრეთვე გადაცემულ იქნება მოსკოვის ქუჩებში რადიოთი.

უმაღლეს სასწავლებლებში ღებულთა სოციალური შემადგენლობა

მოსკოვი, 24 ოქტომბერი. უმაღლეს სასწავლებლებში მიმღებ ცენტრალური კომისიის წარმომადგენელმა პრესის მუშაკებთან საუბარში განაცხადა შემდეგი:

საბჭოთა რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში წელს შემოვიდა 55 ათასი განცხადება უნივერსიტეტში ჩარიცხვის შესახებ. აქედან მიღებულია 20 ათასი კაცი, მათ შორის მუშები 41 პროცენტი, გლეხები 27 პროცენტი და დანარჩენები 32 პროცენტი.

მოსკოვის გაზეთები „ელისო“-ს შესახებ

მოსკოვი, 24 ოქტომბერი. საქართველოს სახკინმრეწვის ახალ სურათ „ელისო“-ს მოსკოვის პრესა თანაგრძნობით შეხვდა. რეცენზიებში აღნიშნულია, როგორც მიღწევა, შემდეგი: საქართველოს სახკინმრეწვი იწყებს ძალების გადახალისებას, ქართული კინომრეწველობა გამოეთხოვა ფანტაზიას. სურათი „ელისო“, გაზეთების სიტყვით, ღრმა შთაბეჭდილებას სტოვებს.

მიხეილ ნიკოლოზის ძე პოკროვსკი

(რევოლიუციონერ-ისტორიკოს-მარქსისტის დაბადებიდან 60 წლის შესრულების გამო)

პროლეტარული პარტიის და ხელისუფლების ღირსეული იუბილიარი

მიხეილ ნიკოლოზის ძე პოკროვსკი, რომელსაც ჩვენ დღეს იუბილეს უმართავთ, არის უდიდესი მეცნიერი, ისტორიკოსი-მარქსისტი, ძველი ბოლშევიკი, რევოლიუციონერი—არალეგალური მუშაკი, გამოჩენილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე. მაგრამ ყველაზე უფრო მან თავი ისახელა **ისტორიის** სფეროში. მან პირველმა მიჰყო ხელი რუსეთის ისტორიის შესწავლას **ისტორიული მატერიალიზმის** თვალსაზრისით. როგორც ვიცით, რუსეთის საისტორიო მეცნიერებამ მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში უდიდესი ნაბიჯი გადასდგა წინ, წამოაყენა საკმაოდ მნიშვნელოვანი ძალები როგორც მაგალითად: სოლოვიოვი, კოსტომაროვი, შჩაპოვი, ჩიჩერინი, კლიუჩევსკი, სერგეევი, ლაპო-დანილევსკი და სხ.. ეჭვს გარეშეა, რომ ყველა მათ უდიდესი სამსახური გაუწიეს რუსეთის ხალხის ისტორიის შესწავლას, შეჰკრიბეს და სისტემატიურად დაალაგეს დიდძალი ისტორიული ფაქტები; მაგრამ მათი უბედურება იყო ის, რომ ისინი მეტად თვითნებურად ეპყრობოდნენ ამ ფაქტებს. პირველ ყოვლისა, ისტორიულ ფაქტებს ისინი იყენებდნენ თავისი ტენდენციური თეორიების გასამართლებლად, თეორიების, რომელთაც არაფერი საერთო არა აქვთ სინამდვილესთან. მ. ნ. პოკროვსკი ასე ახასიათებს ამ პერიოდს რუსეთის საისტორიო ლიტერატურაში: „ყველაფერს, რაც იყო რუსეთში რომანოვების ცენტრალიზაციაქმნილ მონარქიის დაარსებამდე, ისტორიკოსები უყურებდნენ როგორც სახელმწიფოებრივობის მოსამზადებელ საფეხურს. ყველაფერი, რაც მოხდა ამის შემდეგ, გამომდინარეობდა სახელმწიფოსგან და ხდებოდა მისი წყალობით. მთელი რუსეთის საზოგადოება მთელი მისი კლასებით, შექმნილი იყო სახელმწიფოს მიერ. სახელმწიფომ „დაიმონა" (закрепостило) ეს საზოგადოება, როცა მისთვის, სახელმწიფოსთვის, ეს საჭირო იყო, —მან „გაანთავისუფლა" раскрепостило) როცა სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით ეს აუცილებელი გახდა*)! ეს იყო **წმინდა იდეალისტური თვალსაზრისი**, კიდევაც რომ არაფერი ვსთქვათ იმის შესახებ, რომ აქ ყველაფერი ხელოვნურად იყო მოფიქრებული და შეთხზული. ეს ერთი. მეორე ისაა, რომ ყველა ეს ავტორები არაფერს არ ამბობდნენ **კლასობრივი ბრძოლის შესახებ** რუსეთში, თითქოს სინამდვილეში არაფერს ამას არ ჰქონია ადგილი. პირიქით, ისინი ყოველნაირად ცდილობდნენ მიეჩქმალათ კლასობრივი ბრძოლა ყველგან, სადაც კი იჩენდა ის თავს. ეს ნიშნავდა არა მარტო ისტორიის გახვევას ბურუსში, არამედ მის პირდაპირ დამახინჯებას.

აი როგორ სწერდნენ რუსეთის ისტორიას (და, განა მარტო რუსეთის?) ისტორიული მეცნიერების უდიდესი წარმომადგენლები. ნამდვილი ისტორია, ხალხის ნამდვილი ცხოვრება ამ ავტორების თხზულებებში მიჩქმალული იყო. სიმართლისათვის საჭირო იყო დაბოლოს ამ ისტორიის დღის სინათლეზე გამოტანა. ჩვენ უკვე ვიცით, რომ ამ მნიშვნელოვან საქმეს ხელი მოჰკიდა მ. ნ. პოკროვსკიმ და მან წარმატებით გადასჭრა ეს დიდი ამოცანა. ამავე დროს გამოირკვა, რომ სათანადოთ ახსნა ესაჭიროებოდა არა მარტო იმ ისტორიულ წიგნებს, რომელნიც დაწერილია ჩვენი თანამედროვე ისტორიკოსების მიერ, არამედ იმ მასალებსაც, რომელთა მიხედვით დაწერილი იყო ეს წიგნები. და მართლაც, რას წარმოადგენენ თავის თავად ეს „მატიანები", რომელთაც ჩვეულებრივად იყენებდნენ მასალად ისტორიული წიგნის დაწერის დროს? მართლაც ისე ადგენდნენ თუ არა სინამდვილეში მატიანეს, როგორც ამას გვიხატავს პუშკინი „ბორის გოდუნოვში", სადაც მემატიანე პიმენი სწერდა ამბებს, „добру и злу внимая равнодушно, не ведая ни жалости ни гнева „ამ მემატიანეს ფიგურა, ამბობს მიხეილ ნიკოლოზის ძე, მემატიანესი, რომელიც აუღელვებლად, მშვიდათ, „так, точно дьяк в приказах поседелый. спокойно зрит и правых и виновных", **ეს ფიგურა უნდა დაიმსხვრეს****). მ. ნ. პოკროვსკი აქ ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ არა მარტო თანამედროვე ბურჟუაზიული მეცნიერი ისტორიკოსები, არამედ აგრეთვე ძველი მემატიანენიც სრულიად არ არიან მიუდგომელნი იმ ამბების გადმოცემაში, რომელთა შესახებ ისინი სწერენ, ან როგორც ამბობს აკადემიკოსი შახმატოვი (რომლის ნაწერებიდან ციტატები მოჰყავს პოკროვსკის), „**მემატიანეს ხელს წარმართავდა პოლიტიკური ზრახვები და ამ ქვეყნიური ინტერესები**". შახმატოვს, როგორც ბურჟუაზიულ ისტორიკოსს ხომ არ შეეძლო პირდაპირ ეთქვა, რომ მემატიანეს ხელს წარმართავდა კლასობრივი ინტერესები. მაგრამ ისიც, რაც მან სთქვა, სავსებით საკმარისია იმისთვის, რომ დაირღვეს ლეგენდა მემატიანეთა მიუდგომლობის შესახებ. ეს მიუდგომლობა შეუძლებელი იყო იმიტომ, რომ თვით ეს მემატიანენი სისხლით და ხორცით ეკუთვნოდნენ შეძლებულ კლასებს და ამ კლასების მიმართ მათ არ შეეძლოთ მიუდგომლობის გამოჩენა. მ. ნ. პოკროვსკი აქ აშკარავებს აგრეთვე მეორე მეტად მნიშვნელოვან გარემოებასაც. ეხება რა არეულობის ხანას მ. ნ. პოკროვსკი იხსენიებს „ტუშინოს ქურდს" და ამბობს: „თქვენ ადვილად მიხვდებით საიდან მომდინარეობს ის საისტორიო თხზულებანი, სადაც არის ასეთი თერმინოლოგია (ქურდი, პატარა მეფე და სხვ.) ამ ეპოქიდან ჩვენამდის მოაღწია მხოლოდ **შეძლებულ კლასთა თხზულებებმა**, რაც სავსებით ბუნებრივია, იმიტომ რომ არეულობის ხანაში **აჯანყებული გლეხები წერა-კითხვის უცოდინარნი იყვნენ და მათ რასაკვირველია, არ შეეძლოთ ისტორიის წერა**"***) მაგრამ ეს შეიძლება ითქვას არა მარტო არეულობის ხანის შესახებ და არა მარტო ძველი რუსეთის შესახებ. მ. ნ. პოკროვსკი დაუზოგავათ ამხელს ყველა ამ ვითომდაც მიუდგომელ თხზულებებს და გვიჩვენებს მათ კლასობრივ სარჩულს.

მ. ნ. პოკროვსკი, როგორც მარქსის და ლენინის მტკიცე მიმდევარი, ისტორიულ მოვლენათა შესწავლის დროს, მათი ანალიზის დროს მტკიცედ სდგას **ისტორიული, ანუ დიალექტიური მატერიალიზმის** ნიადაგზე. ამავე დროს საქმე მარტო იმაში კი არ არის, რომ ზოგიერთი ისტორიული ფაქტის ახსნის დროს მხედველობაში მივიღოთ ეკონომიური პირობები. მარქსისტ ისტორიკოსისთვის ეს სრულიადაც არ არის საკმარისი, ვინაიდან ამ პირობებს ახლა გვერდს ვერ აუხვევს ვერც ერთი ისტორიკოსი, ვინც არ უნდა იყვეს ის თავისი მსოფლმხედველობით. ამის მაგალითს გვაძლევს თვით ისეთი ხალხიც კი, როგორც **პლეხანოვი, როჟკოვი და ტროცკია**, რომელთაც რუსეთის ისტორიის თავიანთ ახსნა-განმარტებაში ვერ შეძლეს ისტორიული მატერიალიზმის და კლასობრივი ბრძოლის ნიადაგზე დარჩენა და მარქსიზმიდან დაეშვნენ წმინდა ბურჟუაზიულ იდეოლოგიამდე, ე. ი. კლასობრივი ბრძოლის უარყოფამდე.

---

*). პოკროვსკი, „Очерки русской культуры". ნაწილი პირველი. წინასიტყვაობა

**) მ. ნ. პოკროვსკი. Борьба классов и русская историческая литература" გვ. 12

***)იქვე. გვ. 19 და 22.

რუსეთის თითქმის ყველა ცოტად თუ ბევრად ცნობილი ისტორიკოსი რუსეთის ხალხის ცხოვრების ყველა დიდი ისტორიული მოვლენის ახსნის დროს გამოდიოდა განყენებული იდეებიდან, მაგალითად რუსეთის დაქსაქსული კუთხეების თავმოყრის იდეიდან, ან მთლიან ცენტრალიზაციაქმნილ სახელმწიფოს შექმნის აუცილებლობიდან, ან სლავიანთა ინტერესებიდან. რუსეთის მთელ ისტორიას ისინი განიხილავდნენ ამ განყენებული იდეების თვალსაზრისით. გასაგებია, რომ ეს ჩრდილავდა და ნიღაბს აფარებდა ნამდვილ ისტორიას. მ. ნ. პოკროვსკიმ ახადა ეს ნიღაბი რუსეთის ისტორიას. ის აღიჭურვა მეცნიერული მარქსიზმის მეთოდით—დიალექტიური მატერიალიზმით და თავის ისტორიულ გამოკვლევათა ძირითად ღერძად აიღო კლასობრივი ბრძოლის განვითარება. მაგრამ ეს კიდევ საკმაო არ იყო. საჭირო იყო კონკრეტულად მიდგომა საკითხისადმი, საჭირო იყო იმის აღნიშვნა, თუ ვისგან შესდგებოდნენ ის კლასები, რომლებიც გაბატონებულ როლს თამაშობდნენ, საიდან გაჩნდნენ ისინი და როგორი იყო მათი კლასობრივი ინტერესები. და აი, უკეთებს რა ანალიზს რუსეთის ხალხის ისტორიას, მ. ნ. პოკროვსკი არკვევს, რომ რუსეთში უმთავრესი მბრძანებელი კლასები იყვნენ **მემამულენი და ვაჭრები**, ხოლო მათ აერთიანებდა **სავაჭრო კაპიტალის** ინტერესები. „როდესაც სისტემატიურად შეისწავლით—ამბობს ამხ. პოკროვსკი,—ეგრედ წოდებული რუსეთის იმპერიის ისტორიას, ხედავთ, რომ ეს არის მთელი რიგი **მიღწევები სავაჭრო კაპიტალისა**, რომლის გავლენითაც იქმნება იმპერია, თავს იყრიან დაქსაქსული კუთხეები... სავაჭრო კაპიტალი თავისკენ იზიდავდა სულ ახალ და ახალ კუთხეებს"*). თავის ამ ძირითად დებულებას მ. ნ. პოკროვსკი კიდევ უფრო ნათლად ანვითარებს ერთ-ერთ უკანასკნელი დროის თავის შრომაში, სახელდობრ ბროშურაში „რუსეთის საგარეო პოლიტიკა მე-XX საუკუნეში". ამ შრომაში, სხვათა შორის, ვკითხულობთ: „მეფის რუსეთის საგარეო პოლიტიკის ძირითად ხაზს განსაზღვრავდა **სავაჭრო კაპიტალი, რომელსაც ჰყავდა** თავისი აგენტი მემამულეს სახით. მემამულე ხელისუფლების სათავეში იდგა. თვითმპყრობელობის მთელი სისტემა **მემამულეთა სახელმწიფოს** წარმოადგენდა, ამის შედეგად **სავაჭრო კაპიტალი მემამულეთა მეშვეობით გავლენას ახდენდა თვითმპყრობელობის მთელ პოლიტიკაზე: როგორც შინაურ, ისე საგარეო პოლიტიკაზე**" (გვ. 32). რა თქმა უნდა, ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ მ. ნ. პოკროვსკი არ სცნობს **სამრეწველო კაპიტალის** არსებობას და როლს მეფის რუსეთში. რა თქმა უნდა, პოკროვსკის მშვენიერად ესმის სამრეწველო კაპიტალის როლი, მაგრამ მეფის რუსეთის ისტორიული განვითარების ძირითად ღერძად, ძირითად მამოძრავებელ ძალად მას მაჩნია სავაჭრო კაპიტალი, რომელიც დაკავშირებული იყო მემამულეებთან. ამის მიხედვით გასაგები ხდება მეფის რუსეთის ექსპანსია აღმოსავლეთისაკენ, დასავლეთისაკენ, სამხრეთისაკენ და ჩრდილოეთისაკენ. პეტრეს, ეკატერინეს, ალექსანდრეების და ნიკოლოზების ომები, ომები დარდანელისა და ბოსფორისათვის, შავი ზღვისა და სტამბოლის დასაპყრობად და რუსეთ-იაპონიის ომიც მე-XX საუკუნის დასაწყისში, ამით აიხსნება გლეხების დამონება მე-XVI საუკუნეში, ხოლო შემდეგ მათი განთავისუფლება მე-XIX საუკუნის მეორე ნახევარში და სხვ.

მ. ნ. პოკროვსკი პირველი ისტორიკოს-მარქსისტია, რომელმაც არა მარტო სწორ გზაზე დააყენა ისტორიის შესწავლა, არამედ დიდ შედეგებსაც მიაღწია ამ მხრივ. ეს მრავალი მიზეზით აიხსნება. უწინარეს ყოვლისა, მიხეილ ნიკოლოზის ძემ საფუძვლიანად შეითვისა მარქს-ენგელსის თეორია და უნაკლოდ გამოიყენა იგი რუსეთის ისტორიის შესწავლის დროს. ამასთან ერთად მას უდიდესი ერუდიცია აქვს, უმთავრესად საისტორიო მეცნიერების დარგში, და ამავე დროს მოხერხებულად იყენებს ისტორიულ მასალას. ყოველსავე ამას უნდა დავუმატოთ მისი მშვენიერი ენა და უაღრესად ორიგინალური გადმოცემა, რომელიც აღსავსეა მეტად მოსწრებული შედარებებითა და შეფარდებებით. ყველა ამან მოუხვეჭა მ. ნ. პოკროვსკის სახელი პირველი **ისტორიკოსი-მარქსისტისა** მთელს საბჭოთა კავშირში.

მ. ნ. პოკროვსკის უშუალო ხელმძღვანელობით რუსულ ისტორიოგრაფიაში აღმოცენდა **მთელი სკოლა ახალგაზრდა მარქსისტ-ისტორიკოსებისა**, რომელიც მარქსისა და ლენინის მოძღვრების მიხედვით ამუშავებს ისტორიის საკითხებს. ამასთანავე აქ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ საისტორიო მეცნიერული შრომების წერა მას უხდებოდა ან მაშინ, როდესაც ის განდევნილი იყო, ან ზარბაზნებისა და ტყვიამფრქვევების ქუხილში სამოქალაქო ომის დროს, რომელშიაც თითონ იღებდა უშუალო მონაწილეობას. სწორედ ამის გამო სწერდა ის ერთ-ერთი თავისი შრომის წინასიტყვაობაში 1918 წელს, გაჩაღებული სამოქალაქო ომის დროს: „**ისტორია, რომელიც იქმნება უდიდესი მეტოქეა იმ ისტორიისა, რომელიც იწერება**. მაგრამ, ვინაიდან იმ ისტორიას, რომელიც იწერება, ზოგჯერ მაინც კითხულობენ, **მაშინაც კი, როდესაც ფოლადისებურად ჰქუხს ის ისტორია, რომელსაც ჰქმნიან**, წიგნების გამოცემა საჭირო ხდება"**). და მართლაც საოცარია, თუ როგორ ახერხებდა ის მეცნიერულ მუშაობას ასეთ მძიმე პირობებში; ეს შეიძლება ავხსნათ იმით, რომ მას ულრმესად, პირდაპირ ორგანიულად უყვარს ისტორიული მეცნიერება. მაგრამ მიხეილ ნიკოლოზის ძე უფრო თუ არა, ნაკლებ არ არის თავდადებული რევოლიუციისათვისაც, რომლის ინტერესებს ის ყოველთვის ყველაფერზე მაღლა აყენებდა.

როგორც წერილის დასაწყისში ვთქვი, მიხეილ ნიკოლოზის ძის მოღვაწეობა არ განისაზღვრება ისტორიის დარგში მუშაობით. მისი მღელვარე და დაუდგრომელი ბუნება ყოველთვის ეძიებდა გამოსავალს უფრო ფართო ასპარეზზე. ოქტომბრის რევოლიუციის დროს მას უხდებოდა მუშაობა მრავალ სხვადასხვა სფეროში და ამასთანავე ის ყველგან მთავარ როლს თამაშობდა, ყველგან დიდ შემოქმედებას იჩენდა. მ. ნ. პოკროვსკი ჩვენი დროის ერთ-ერთი უაღრესად განათლებული ადამიანია არა მარტო ჩვენში, არამედ უცხოეთშიაც. მოწინააღმდეგენი და მტრებიც კი აფასებენ და პატივს სცემენ მას, როგორც მეცნიერს. ამასთანავე ერთად ის იშვიათი ადამიანიცაა; ის ყველას ხიბლავს თავისი სისადავით, თავდაბლობით და თავაზიანობით. ასეთია მიხეილ ნიკოლოზის ძე როგორც საზოგადოებრივ, ისე პირად ცხოვრებაში. მიუხედავად იმისა, რომ ის 60 წლისაა, ჯერ კიდევ მხნედაა და განაგრძობს ჩვეულებრივ მუშაობას. ვუსურვოთ მას ჯანმრთელობა მშრომელთა საკეთილდღეოდ.

ფ. მახარაძე.

---

*). იხ. ზემოხსენებული წიგნი: „Борьба классов и рус. ист. лит. გვ. 31.

** „Очерки истории русской культуры" წინასიტყვაობიდან.

მიხეილ ნიკოლოზის ძე პოკროვსკი

60 წელი შეუსრულდა უდიდეს ისტორიკოს - მარქსისტს მ. ნ. პოკროვსკის.

ვინ არ იცნობს მის მრავალტომიან შრომას „რუსეთის ისტორია უძველესი დროიდან", „რუსეთის შემოკლებულ ისტორია"-ს, მის „რუსეთის რევოლიუციონური მოძრაობის მიმოხილვა"-ს, მის წერილებს საგარეო პოლიტიკის საკითხების შესახებ, დეკაბრისტებზე და სხვ.

თავის კლასიკურ ისტორიულ შრომებს, მ. ნ. პოკროვსკი მარტოდ კი არ სწერდა, არამედ რუსეთის მუშათა კლასთან თანამშრომლობით. შეიძლება ეჭვიც კი გამოითქვას, თუ ვინ უფრო არის ამ შრომების ავტორი — თვით იუბილიარი, თუ რუსეთის მუშათა კლასი. ერთ-ერთ თავის წერილში მ. ნ. პოკროვსკიმ, თვალი მოავლო რა წარსულს, გაგვიშუქა ის გზა, რომლითაც მიდიოდა. პირველ რევოლიუციამდე (1905 წ.) მისი ისტორიულ შრომებს, თვით „ეკონომიური მატერიალიზმით" გამსჭვალულთაც კი, ამავე დროს „დემოკრატიული ილიუზიების" ელფერი ჰქონდა გადაკრული. „აკადემიკოსთა" წრეში, რომელსაც იგი მაშინ ეკუთვნოდა, „კლასობრივი ბრძოლა" რჩებოდა „წმინდა თეორიათ" და ამიტომ „ნაკლებ გამოხატულებას პოულობდა ისტორიულ შრომებში". „კლასობრივი ბრძოლა არ იყო ჩვენს ახლო, მასთან კი ჩვენ, აკადემიკოსებს, თითქმის არ გვქონია ურთიერთობა". 1905 წლის რევოლიუციამ, რომლის ჰეგემონი მუშათა კლასი იყო, „ეკონომიური მატერიალისტი" მ. ნ. პოკროვსკი გადააქცია სოციალ - დემოკრატ - ბოლშევიკათ. ამ მღელვარე წლებში იგი არის ბოლშევიკთა მოსკოვის კომიტეტთან არსებულ ლექტორთა ჯგუფის წევრი, ერთ-ერთი რედაქტორი ბოლშევიკურ მებრძოლ ორგანოს — „ბორბა"-ს, რომელიც იშვა დეკემბრის აჯანყების წინ და მასთან ერთად დაიღუპა, მოსკოვის ორგანიზაციის დელეგატი ლონდონის ყრილობაზე და — როგორც ფინალი — ემიგრანტი.

რევოლიუციასა და ემიგრაციას არ შეეძლო გავლენა არ მოეხდინა მ. ნ. პოკროვსკის ისტორიულ შეხედულებებზე, რევოლიუციამ თვალსაჩინოდ გამოააშკარავა როლი კლასობრივი ბრძოლისა, როგორც ისტორიული პროცესის ძირითადი ფაქტორის, „ევროპის პირველ დემოკრატიაში" — საფრანგეთში ყოფნამ კი საბოლოოდ გამფანტა „დემოკრატიული ილიუზიები". ამის შედეგი იყო რწმენა, რომ „მსოფლიო გამოვიდა ბურჟუაზიული რევოლიუციების პერიოდიდან და მომავალი რევოლიუცია შეიძლება მხოლოდ სოციალისტური იყოს".

„ოქტომბერმა „დაამთავრა" ის, რაც „შთანერგა" მისმა წინამორბედმა 1905 წელმა".

მოსკოვის საბჭოს თავმჯდომარემ (1917—18 წ.), შემდეგ საოლქო სახკომსაბჭოს თავმჯდომარემ (1918 წ.), სამოქალაქო ომის მონაწილემ, მ. ნ. პოკროვსკიმ იგრძნო მოთხოვნილება ხელახლა გადაესინჯა თავისი ისტორიული შეხედულებები და ამის შედეგი იყო ის, რომ მის მიერ წინად აგებულმა „რუსეთის ისტორიის შენობამ მიიღო სრულიად ახალი სახე". მის წინაშე გადაიშალა „მთელი თავისი გრანდიოზულობით რუსეთის ისტორიული პროცესის ნამდვილად მატერიალისტური სურათი".

ამნაირად, მართლაც, ისტორიკოს პოკროვსკის შთამგონებელი და თანამშრომელი იყო სხვა არავინ, თუ არ რუსეთის რევოლიუციონური მუშათა კლასი. მაგრამ უდიდესი ისტორიკოსი - მარქსისტი, რომელმაც სულ სხვაფრივ გააშუქა თავის შრომებში რუსეთის ისტორია, მ. ნ. პოკროვსკი არასდროს არ ყოფილა კარჩაკეტილი მეცნიერი. პროფესორის ტიტულზედაც ის დიდხანს და გადაჭრით ამბობდა უარს და მხოლოდ ოქტომბერმა „ძალით ჩააცვა მას ეს კოსტიუმი". მაგრამ „პროფესორის კოსტიუმში" მ. ნ. პოკროვსკი პირველყოვლისა ბოლშევიკი დარჩა. პროლეტარიატის დიქტატურის პერიოდში სამეცნიერო მუშაკის ამოცანა იმაში კი არ მდგომარეობს, რომ მშვიდობიანად და წყნარად იჯდეს თავს კაბინეტში, უხაროდეს, რომ რევოლიუციამ მას მისცა „გამოკვლევების თავისუფლება". „ეს ნორმალური იქნებოდა, რომ ჩვენში მომხდარიყო დემოკრატიული რევოლიუცია, რომელიც „პრესის თავისუფლებას" უზრუნველყოფს მარქსიზმისათვის (უწყინარი, აკადემიური მარქსიზმისათვის), — ამბობს მეორე წერილში მ. ნ. პოკროვსკი. „მაგრამ ჩვენში მოხდა სოციალისტური რევოლიუცია". და იგი სამეცნიერო მუშაკებისათვის პირველ რიგში აყენებს სულ სხვა ამოცანას, რომელიც პოკროვსკიმ შემდეგ სიტყვებში ჩამოაყალიბა:

„ისე, როგორც მთელი მუშათა კლასი აწარმოებს მუშაობას ჩვენი ქვეყნის ცხოვრების ყველა დარგებში, ისევე მეცნიერიც, რომელიც მუშათა კლასის იდეოლოგიას წარმოადგენს, ვალდებულია (პირველ ყოვლისა) საორგანიზაციო მუშაობა აწარმოოს თავის დარგში".

ამ პრინციპის ერთგულმა მ. ნ. პოკროვსკიმ — განათლების საქმეთა სახალხო კომისარის მოადგილემ, უმაღლესი სკოლისა და საზოგადოებათ - მეცნიერების დაწესებულებების ხაზით — განსაცვიფრებლად შესძლო მკვლევარის და ორგანიზატორის, ისტორიკოსისა და მშენებლის მუშაობის შეთვისება.

პირველი ამოცანა, ამ დარგში დასმული ოქტომბრის მიერ, მდგომარეობდა საზოგადოებათ-მეცნიერების უმაღლეს სასწავლებლების დაპყრობაში და გარდაქმნაში. აქედან გამომდინარეობდა პროლეტარული სტუდენტობის კადრების შექმნის აუცილებლობა: მუშათა ფაკულტეტების იდეა, რომლის განხორციელება მჭიდროდ არის დაკავშირებული პოკროვსკის სახელთან. და, როგორც მთელი ამ საქმის დასრულება, ახალ მასწავლებლების — მარქსისტების და კომუნისტების— კადრის შექმნა — იდეა წითელი პროფესურის ინსტიტუტისა, რომლის მოწყობას და ხელმძღვანელობას მ. პოკროვსკიმ განსაკუთრებით ბევრი დრო დაუთმო, და მაინც მას რეზერვში რჩებოდა ზედმეტი დროცა და გატაცება, რომელიც მან მოახმარა სამეცნიერო - გამოკვლევითი ინსტიტუტების რუსეთის ასოციაციის (რანიონ) შექმნას. ეს ორგანიზაცია მიზნად ისახავდა იმავ ამოცანას— უმაღლეს სასწავლებლებისათვის საზოგადოებათ მეცნიერების მასწავლებელთა ახალი კადრების მომზადებას. ამ ასოციაციის პრეზიდიუმის თავმჯდომარეთ მ. ნ. პოკროვსკი იყო მისი დაარსების დღიდან უკანასკნელ დრომდე.

მაგრამ „საორგანიზაციო მუშაობის წარმოება თავის ფრონტზე" პროლეტარულ და მარქსისტულ საზოგადოებათ მეცნიერების უმაღლეს სასწავლებლების მარტო, შექმნას კი არ ნიშნავს, არამედ ამავე დროს თვით მეცნიერულ კვლევა-ძიებათა მარქსიზმისა და ლენინიზმის საფუძვლებზე მოწყობას საზოგადოებრივ - მეცნიერებათა დარგში.

ასე გახდა მუშფაკებისა და წითელი პროფესურის ინსტიტუტის შემქმნელი კომუნისტური (დასაწყისში — სოციალისტური) აკადემიის წარმოშობის ერთ-ერთ მთავარ ორგანიზატორად, ამ აკადემიაში ყველა — არა მარტო საზოგადოებრივი, არამედ საბუნებისმეტყველო მეცნიერებანიც კი მარქსიზმლენინიზმის საფუძვლებზე მუშავდება მის მრავალრიცხოვან ინსტიტუტებში და სექციებში. მისი უცვლელი თავმჯდომარე მ. ნ. პოკროვსკი აქ საძირკველს უყრის „ისტორიკოს - მარქსისტთა საზოგადოებას" — მარქსისტული ისტორიული მეცნიერების ციხე-ბურჯს და მის ჟურნალს „ისტორიკოს-მარქსისტს", რომელსაც აწვდის თავის ფრიად საინტერესო წერილებს. თითქოს, ჩამოთვლილი საკმაოა, რომ ამოიწუროს ერთი ადამიანის დრო და ძალები. მაგრამ იუბილიარის ენერგია, მიუხედავად იმისა, რომ მას 60 წელი შეუსრულდა, დაუშრეტელია. მისი უშუალო ხელმძღვანელობით მუშაობს ცენტროარქივი, რომელმაც უკვე გამოსცა მრავალი პირველხარისხოვანი მნიშვნელობის მქონე საარქივო-ისტორიული დოკუმენტები რევოლიუციონური მოძრაობის ისტორიიდან და ახლა იწყობს ასეთივე პირველხარისხოვანი დოკუმენტების გამოშვებას მეფის მთავრობის საგარეო პოლიტიკის დარგიდან,—ამ დოკუმენტების გამოქვეყნებას უცხოეთშიც უდიდესი ინტერესით შეხვდებიან.

„მუშაობის მოწყობა თავის ფრონტზე" ნიშნავს არა მარტო მეცნიერული კვლევის დამყარებას მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძველზე, თავის თანამოაზრეთა ძალებით, ჯერ კიდევ დაუმთავრებელი კლასობრივი ბრძოლის ეპოქაში, ისეთ ეპოქაში, როგორშიაც ჩვენ ვცხოვრობთ, როცა იგი უფრო მწვავე ხასიათს იღებს, არამედ ეს აგრეთვე ნიშნავს დაულალავი ბრძოლის წარმოებას მეცნიერების ფრონტზე ბურჟუაზიული მიდგომისა და კვლევის ბურჟუაზიული მეთოდების ნაშთებისა და რეციდივების წინააღმდეგ. აქედან გამომდინარეობს მ. ნ. პოკროვსკის მტკიცე შეტევა „ახალ მიმდინარეობებზე რუსულ ისტორიულ ლიტერატურაში", რაც გადაიქცა სიგნალათ მარქსისტული აზროვნების გადასვლისათვის შეტევაზე ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიის წინააღმდეგ, რომელიც აღორძინების გზას ადგება.

და, დაბოლოს, უკანასკნელმა ამოცანამ, რომელიც დგას უკანასკნელი მეცნიერების ორგანიზატორის წინაშე, — მისმა პროპაგანდამ საბჭოთა კავშირის ფარგლებს გარეთ,— იუბილიარის სახით ჰპოვა მეტად ენერგიული ინიციატორი. დიდი ხანი არ არის, რაც მ. ნ. პოკროვსკიმ გერმანელ ისტორიკოსებთან ერთად ბერლინში მოაწყო ცნობილი „ისტორიული კვირეული", რომელიც, იუბილიარის მიერ სულ სხვა რამეზე თქმული სიტყვები რომ გავიმეოროთ, მიზნად ისახავდა, რომ დასავლეთის მეცნიერთა წრეებს „ანგარიში გაეწიათ ბოლშევიკებისათვის, რომელთაც ამდენ ხანს ანგარიშს უწევდენ, როგორც მატერიალურ ძალას, აგრეთვე, როგორც ინტელექტუალური ძალისათვის".

ჩვენი ახალგაზრდა სამეცნიერო მუშაკებისათვის ისტორიკოს - ბოლშევიკის მ. ნ. პოკროვსკის მაგალითი ფრიად საგულისხმიეროა, როგორც ცოცხალი მაგალითი წასაბაძათ. დე, მათზე გადავიდეს მემკვიდრეობათ მისი ის თვისებები, რომლებიც მის იუბილეს ამავე დროს აქცევენ მარქსისტული მეცნიერების დღესასწაულათ, პროლეტარული საზოგადოებრივობის დღესასწაულათ: მისი განსაცვიფრებელი ენერგია და შრომის უნარი: მისი დაუცხრომელი მისწრაფება თავის მეცნიერულ მიღწევათა მუდმივი გადათვალიერებისაკენ, რეალური სინამდვილის უფრო დამაკმაყოფილებელი მატერიალისტური მეცნიერული სისტემის გულისათვის; მისი ბოლშევიკური შეურიგებლობა, რომელიც ისტორიკოსის კვლევას აგვირგვინებს მედგარი შებრძოლებით იდეოლოგიურ მტერთან; მისი შესანიშნავი უნარი ერთნაირის წარმატებით შეათავსოს მკვლევარისა და ორგანიზატორის მუშაობა და, დაბოლოს, მისი მტკიცე შეგნება, რომ პროლეტარიატის დიქტატურის ეპოქაში მეცნიერი პირველ ყოვლისა ვალდებულია „თავის ფრონტზე" იყოს წარმომადგენელი მუშათა კლასის, რომელიც სოციალისტურ კულტურასა და სოციალისტურ მეურნეობას აშენებს.

ვ. ფრიჩე.

ამხ. მ. ნ. პოკროვსკი

(ბიოგრაფიული ცნობები)

ამხ. მ. ნ. პოკროვსკი დაიბადა 1860 წელს, 30 აგვისტოს, ქ. მოსკოვში. საშუალო განათლება მოსკოვის კლასიკურ გიმნაზიაში მიიღო. 1891 წელს მოსკოვის უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიური ფაკულტეტი დაამთავრა. ამავე წლიდან ის ისტორიას ასწავლიდა საშუალო სასწავლებლებში, ხოლო 1895 წლიდან ლექციების კითხვას შეუდგა მოსკოვის პედაგოგიურ კურსებზე.

90-იან წლებში, როდესაც რევოლიუციონური მოძრაობა გაცხოველდა, მ. ნ. პოკროვსკი მოძრაობაში ჩაება, ამ დროიდან დაიწყო მისი აქტიური პოლიტიკური მოღვაწეობა. მუშათა მასიური მოძრაობის წარმატებამ, პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიურმა მონაწილეობამ და მ. ნ. პოკროვსკის თეორეტიულმა მუშაობამ გამოიწვიეს მისი შეხედულებების ევოლუცია მარქსიზმისაკენ. ამას ნათლად დავინახავთ, თუ ერთმანეთს შევადარებთ მიხეილ ნიკოლოზის ძის წერილებს, რომლებიც მან მოათავსა პროფ. ვინოგრადოვის რედაქციით გამოსულ „Книга для чтения по истории средных веков"-ში და იმავე წიგნში მოთავსებულ მის უკანასკნელ წერილს „Экономический быт Европы в конце средных веков" (1896—1898).

1903 წელს პოლიციამ აუკრძალა მას ლექციების კითხვა საჯაროდ, მაგრამ მან აკრძალვას გვერდი აუარა და განაგრძო თავისი ლექციები, რომლებიც მაშინდელ პირობებში რევოლიუციონურ პროპაგანდად გადაიქცა. ამასთანავე ერთად მ. ნ. პოკროვსკი მხურვალე მონაწილეობას იღებდა მოსკოვის პედაგოგიური საზოგადოების რევოლიუციონურ გამოსვლებში.

1905 წელს მ. ნ. ბოლშევიკების რიგებში ჩადგა და მუშაობდა როგორც წევრი მოსკოვის კომიტეტთან არსებულ ლექტორთა ჯგუფისა. 1906—7 წლებში, ზამთარში, მ. ნ. პოკროვსკი არჩეულ იქნა პარტიის მოსკოვის კომიტეტის წევრად.

მეორე სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების დროს მ. ნ. აქტიურ მონაწილეობას იღებდა საარჩევნო კამპანიაში და „მემარცხენე ბლოკის" სასარგებლოდ იბრძოდა კადეტებისა და მათი მომხრე ჯგუფების წინააღმდეგ. 1907 წელს (აპრილი—მაისი) მოსკოვის ორგანიზაციამ მ. ნ. დელეგატად გაგზავნა ლონდონის პარტიულ ყრილობაზე. აქ იგი შევიდა ბოლშევიკურ ცენტრში და რ. ს. დ. მ. პ.-ის ცენტრალური ორგანოს რედაქციაში. ყველაფერმა ამან ბოლო მოუღო მის ლეგალურ მოღვაწეობას. 1907 წელს ზაფხულში მ. ნ. პოკროვსკი „არალეგალურად სცხოვრობდა მოსკოვის მიდამოების ერთ-ერთ აგარაკზე და ამზადებდა წერილებს საგარეო პოლიტიკის შესახებ ძმ. გრანატების გამომცემლობის კრებულისათვის: „ „История России в XIX веке".

საოლქო პარტიულ კონფერენციაზე წარმოთქმული სიტყვისათვის, პროვოკატორის მიერ გაცემული მ. ნ. სასამართლოში მისცეს 102 მუხლის მიხედვით, მაგრამ მან მოასწრო ფინლიანდიაში გასვლა, ხოლო იქიდან 1909 წლის სექტემბერს გადავიდა საფრანგეთში, სადაც 1917 წლამდე სცხოვრობდა.

პარიზში მ. ნ. პოკროვსკი მოჰყვა სოციალ-დემოკრატიული ემიგრაციის წრეებში დაწყებული შინა-პარტიული ბრძოლის დროს. მ. ნ. ჩადგა „მემარცხენე ბოლშევიკური ჯგუფის" „ვპერიოდ"-ის რიგებში და იქ დაჰყო 1911 წლის გაზაფხულამდე. „ვპერიოდ"-ის ჯგუფში ყოფნის დროს მ. ნ. პოკროვსკი იბრძოდა „ბოგოსტროიტელთა" ტენდენციების წინააღმდეგ, რომლებსაც ადგილი ჰქონდა ჯგუფის წევრთა ერთ ნაწილში. ამავე დროს ეკუთვნის მ. ნ. პოკროვსკის მუშაობა პარტიულ სკოლებში კუნძულ კაპრიზე (1909 წ.) და ბოლონიაში (1911 წ.), სადაც ის ლექციებს კითხულობდა რუსეთის ისტორიიდან.

ამავე დროს პოკროვსკი შეუდგა თავის მთავარ ნაშრომებს „Русская история с древнейших времен" და „Очерк историй русской культуры" 1 ნაწილს, სადაც მოცემულია რუსეთის ისტორიული პროცესის ბრწყინვალე მარქსისტული ანალიზი.

ომის დაწყებისთანავე მ. ნ. პოკროვსკიმ დაიწყო მხურვალე რევოლიუციონურ-ინტერნაციონალური მოღვაწეობა. 1915 წლიდან იგი მუდმივ მიწერ-მოწერას აწარმოებდა პარტიის ცენტრალურ ორგანოსთან „Социал-демократ"-თან, მოაწყო (გორკის თაოსნობით) ლეგალური გამოცემანი რუსეთში, რომლებშიაც მონაწილეობას იღებდა ვ. ი. ლენინიც, და თანამშრომლობდა პარიზის „Наш голос" და „Наше слово"-ში.

1917 წლის აგვისტოში მ. ნ. რუსეთში დაბრუნდა და მალე დაინიშნა „Известия Московского совета рабочих депутатов"-ის რედაქციის წევრად. შემდეგ, იმავე წლის ნოემბერში არჩეულ იქნა მოსკოვის მუშათადეპუტატების საბჭოს თავმჯდომარედ. ამავე დროს მ. ნ. დაინიშნა ჩვენი პირველი დელეგაციის შემადგენლობაში, რომელიც ზავის შესახებ მოლაპარაკებას აწარმოებდა გერმანიასთან.

მოსკოვის ოლქის სახ. კომისართა საბჭო რომ შეიქმნა, მ. ნ. 1918 წ. მარტში მის თავმჯდომარედ დაინიშნა. ამ თანამდებობაზე ყოფნის დროსვე იგი მონაწილეობას იღებდა განათლების კომისარიატის მუშაობაში და განათლების სახელმწიფო კომისიის წევრად იყო. ამ კომისიამ სხვადასხვა თვალსაჩინო რეფორმა შეიმუშავა: სასულიერო სასწავლებლების დახურვა, დებულება მთლიანი შრომის სკოლის შესახებ, ყველა სკოლის გადაცემა განათლების კომისარიატის გამგებლობაში, ზოგიერთი ცვლილებანი რ. ს. ფ. ს. რ.-ის სახელმწიფო სამეცნიერო დაწესებულებათა და სასწავლებელთა შემადგენლობაში და მოწყობაში: სამეცნიერო ხარისხების გაუქმება, კათედრის დაჭერის წესის შეცვლა და სხვ.

1918 წლის მაისში მ. ნ. პოკროვსკი დაინიშნა რ. ს. ფ. ს. რ.-ის სახ. განათლების კომისრის მოადგილედ და ამ თანამდებობაზე იგი დღესაც არის. დაინიშნა თუ არა კომისრის მოადგილედ, თითქმის მაშინვე დაევალა თავმჯდომარეობა 1918 წ. 7—14 ივლისს მოწვეულ თათბირზე, რომლის საგანი იყო უმაღლესი სკოლის რეფორმა. ამ თათბირმა უმაღლეს სკოლის გამგებლობას პირველად დაუდო საფუძვლად დემოკრატიული პრინციპები სკოლის მართვა-გამგეობაში მონაწილეობის მისაღებად პროფესურასთან ერთად ჩაბმულ იქმნენ უმცროსი მასწავლებლები და სტუდენტობის წარმომადგენელნი.

ამავე დროს მ. ნ. მონაწილეობა მიიღო მასწავლებლობის მო[illegible]ვის—მასწავლებელ-ინტერნაციონალისტთა ყრილობაში, რომელთა დახმარებითაც განათლების კომისარიატი აპირებდა სახალხო განათლების განზრახული რეფორმების განხორციელებას.

კომისიის მოადგილეობასთან ერთად მ. ნ. სათავეში ჩაუდგა განათლების კომისარიატის სასკოლო პოლიტიკის განყოფილებას, შემდეგ 1918 წლის ოქტომბრიდან—სამეცნიერო განყოფილებას, ხოლო 1919 წლის იანვრიდან—უმაღლესი სასწავლებლების განყოფილებას.

ამ დროიდან მთელი მუშაობა უმაღლესი სკოლის რეფორმის გარშემო მისი უშუალო ხელმძღვანელობით მიმდინარეობდა. 1919 წლის 10 იანვარს უმაღლეს სასწავლებელთა განყოფილების კოლეგიამ მიიღო მ. ნ. პოკროვსკის პროექტი სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს შესახებ, რომლის თავმჯდომარედაც პოკროვსკი გახდა და რომლის მუშაობასაც იგი დღესაც ხელმძღვანელობს. ამჟამად სახელმწიფო სამეცნიერო საბჭო განათლების კომისარიატის მეთოდიური და იდეოლოგიური ორგანოა. ამავე დროს ეკუთვნის საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლების ძირითადი რეფორმა უმაღლეს სასწავლებლებში. საერთოდ, ამ წლებში არ ყოფილა არც ერთი ცოტად თუ ბევრად თვალსაჩინო რეფორმა მეცნიერულ ან უმაღლესი განათლების დარგში, რომ მის შემუშავებაში მ. ნ.-ს მონაწილეობა არ მიეღო.

მისივე თაოსნობით, 1918 წლის მაისში განათლების მცირე სახელმწიფო კომისიამ მიიღო სოციალისტური სამეცნიერო აკადემიის ორგანიზაციის პროექტი. ეს აკადემია ჯერ განათლების კომისარიატთან დაარსდა, შემდეგ გადავიდა ცაკის გამგებლობაში და დაერქვა კომუნისტური აკადემია. აკადემიის დაარსების დროიდან მ. ნ. მისი აქტიური წევრია, ხოლო შემდეგ—თავმჯდომარეც დღემდე.

მისივე თაოსნობით იმავე დროს დაარსდა საარქივო კომისია, რომელსაც 1920 წლიდან იგი სათავეში ჩაუდგა. ეს დაწესებულება 1920 წლის იანვარში განათლების კომისარიატის გამგებლობიდან ცაკის გამგებლობაში გადავიდა ცენტრალურ არქივის სახელწოდებით. მ. ნ. რედაქტორობს აგრეთვე ცენტრარქივის ჟურნალს „Красный Архив"-ს.

1921 წლის თებერვალში განათლების კომისარიატის სტრუქტურის შეცვლასთან დაკავშირებით, მ. ნ. დაინიშნა თავმჯდომარედ აკადემიური ცენტრისა, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ სახელმწიფო სამეცნიერო საბჭო და სამეცნიერო დაწესებულებათა სამმართველო. ამგვარად, მ. ნ. ყველა სამეცნიერო დაწესებულების სათავეში ჩადგა. იგი განსაკუთრებით ახლო მონაწილეობას იღებს სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს პოლიტიკური სექციის მუშაობაში (მისი თავმჯდომარეა), სადაც მუშავდება უმაღლესი განათლების საკითხები საზოგადოებრივ დისციპლინათა დარგში.

განსაკუთრებით დიდია მ. ნ. პოკროვსკის დამსახურება უმაღლესი სკოლის გამუშურების საქმეში. იგი დამაარსებელია მუშათა ფაკულტეტებისა უნივერსიტეტებთან. დადგენილება უნივერსიტეტებთან მუშათა ფაკულტეტების მოწყობის შესახებ მიღებულ იქნა 1920 წ. სექტემბერში. მხოლოდ ამ დროიდან შეიძლება ჩაითვალოს, რომ უმაღლესი სკოლის კარი ნამდვილად გაიღო მუშებისათვის. მ. ნ. დამსახურება მუშფაკების შექმნის საქმეში განათლების სახ. კომისარიატმა იმით აღნიშნა, რომ მოსკოვის პირველი სახელმწიფო უნივერსიტეტის მუშათა ფაკულტეტს მისი სახელი უწოდა.

მაგრამ ამხ. მ. ნ. პოკროვსკის მოღვაწეობა მარტო იმ დარგით არ განისაზღვრება, რომელსაც უშუალო დამოკიდებულება აქვს განათლების კომისარიატთან. 1920 წლის აგვისტოში დაარსდა ოქტომბრის რევოლიუციისა პარტიის ისტორიის შემსწავლელი კომისია (ისტპარტ). პირველ ხანებში „ისტპარტი" განათლების კომისარიატთან არსებობდა, შემდეგ გადაკეთდა საკავშირო კომპარტიის (ბ) ც. კ.-ის განყოფილებად, ხოლო უკანასკნელ ხანებში შეუერთდა ლენინის ინსტიტუტს. მ. ნ. დღევანდლამდე მისი აქტიური წევრია.

მ. ნ. პოკროვსკი დიდ ყურადღებას აქცევს მეცნიერთა ყოფა-ცხოვრების გამაუმჯობესებელი კომისიის მუშაობას. 1921 წლის დეკემბრიდან ის სათავეში ჩაუდგა საექსპერტო კომისიას, რომლის ამოცანას შეადგენდა: სამეცნიერო მუშაკების აღრიცხვა, მათი დანაწილება კატეგორიებად სამეცნიერო დამსახურების მიხედვით და მათი ნივთიერი მდგომარეობის გაუმჯობესება (აკადემიური ულუფა, ბინის საკითხი და სხვ.). ამ მუშაობამ თავისი მოცულობითა და მეტის მეტი სირთულით დიდი ძალ-ღონე დაახარჯვინა მ. ნ.-ს.

ამავე დროს მ. ნ. მონაწილეობას იღებს სახელმწიფო გამომცემლობის მუშაობის ორგანიზაციაში. იგი სარედაქციო კოლეგიის წევრია, ხოლო 1922 წლიდან სასწავლო სახელმძღვანელოების სექტორის სათავეში დგას.

დიდი დამსახურება მიუძღვის მ. ნ. პოკროვსკის წითელი პროფესურის ინსტიტუტის ორგანიზაციის საქმეში. ეს ინსტიტუტი დაარსდა სახ. კომისართა საბჭოს დადგენილებით (1921 წ. 11 თებერვალი) უმაღლეს სასწავლებელთა მასწავლებლების მოსამზადებლად. პირველად გაიხსნა მხოლოდ ისტორიული, ეკონომიური და ფილოსოფიური განყოფილებანი, ხოლო შემდეგ, მუშაობის თანდათანი განვითარებასთან ერთად—იურიდიული, საბუნებისმეტყველო და სხვა განყოფილებანი. ინსტიტუტის დაარსების დღიდან დღევანდლამდე მ. ნ. მისი რექტორია და გამგეობის თავმჯდომარე.

1924 წელს მ. ნ. პოკროვსკიმ თვალსაჩინო რეფორმა განახორციელა საზოგადოებრივ მეცნიერებათა ყველა სამეცნიერო-საგამოკვლევო ინსტიტუტების გასაერთიანებლად მთლიან ასოციაციად („რანიონი"). მ. ნ. პოკროვსკი ამ დაწესებულების სათავეში (თავმჯდომარედ) იყო 1927 წლის დამლევამდე.

მუდმივ თანამდებობათა გარდა (განათლების კომისრის მოადგილე, სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, ცენტრარქივის გამგე, კომუნისტური აკადემიის თავმჯდომარე), რომლებიც მ. ნ. პოკროვსკის უჭირავს, იგი მუშაობდა და მუშაობს აგრეთვე ცოტად თუ ბევრად ხანგრძლივ კომისიებში: ჩერნიშევსკის დაბადებიდან 100 წლის აღმნიშვნელ კომისიაში (თავმჯდომარედ), ტოლსტოის თხზულებათა გამომცემელ კომისიაში (სარედაქციო კოლეგიის წევრი), სამეცნიერო აკადემიის ანგარიშის განმხილველ კომისიაში (თავმჯდომარე) და სხვ.

ამხ. მ. ნ. პოკროვსკი ორგანიზატორია და თავმჯდომარე აგრეთვე ისტორიკოს-მარქსისტთა საზოგადოებისა, რომელიც წარმოიშვა 1925 წელს, და ჟურნ. „Историк-Марксист"-ის რედაქტორი (1926 წლიდან).

არა ნაკლებ ფართო მოღვაწეობას ეწევა მ. ნ., როგორც ლექტორი. წითელი პროფესურისა და „რანიონის" შესახებაც რომ არაფერი ვთქვათ, სადაც ის ისტორიულ სემინარებს ხელმძღვანელობს, პოკროვსკი ლექციებს კითხულობდა მოსკოვის პირვ. სახელმწიფო უნივერსიტეტის საზოგადოებრივ მეცნიერებათა ფაკულტეტზე, სვერდლოვის სახელობის კომუნისტურ უნივერსიტეტში (ისტორიული კათედრის თავმჯდომარე), ლენინგრადის კომუნისტურ უმაღლეს სასწავლებელში, სამაზრო პარტმუშაკების კურსებზე და სხვ.

ამა წლის ზაფხულში მ. ნ. დელეგატად გაიგზავნა იმ ყრილობაზე, რომელიც მოიწვია აღმოსავლეთ ევროპის შემსწავლელმა გერმანელთა საზოგადოებამ, და ისტორიკოსების საერთაშორისო კონგრესზე ოსლოში. ორსავე დელეგაციაში მ. ნ. თავმჯდომარედ იყო. ოსლოს კონგრესზე მ. ნ. ამორჩეულ იქნა პრეზიდიუმის წევრად.

მაგრამ მ. ნ. პოკროვსკი საორგანიზაციო მუშაობას არ დასჯერდა, მან უყურადღებოდ არ დასტოვა მეცნიერული მუშაობაც. ამას ადასტურებენ მისი ისტორიული ნაშრომები, რომლებიც გამოვიდა ემიგრაციიდან დაბრუნების დღიდან დღემდე. უმთავრესი მათგანია: Очерк истории русской культуры" ნაწ. 2. „Русская история в самом сжатом очерке". რომელშიაც მან ნაწილობრივ გადაათვალიერა და უფრო მკაფიოდ გამოსთქვა „Русская история с древнейших времен"-ში განვითარებული შეხედულებანი და რომლითაც ნაწილობრივ განაგრძობს ეს უკანასკნელი თხზულება (1906—07 წლებამდე). შემდეგ „Русская история в самом сжатом очерке"-ს დამატების სახით მან გამოაქვეყნა პოპულიარული ლექციები „Очерки по истории революционного движения в России в XIX и XX в. в."

ამავე დროს მ. ნ.-მ დასწერა სხვადასხვა წერილი რუსეთის საზოგადო ისტორიიდან, საგარეო პოლიტიკიდან, რევოლიუციონური მოძრაობის ისტორიიდან, რუსული ისტორიოგრაფიიდან და სხვა. ეს წერილები გამოქვეყნებულია ჟურნალებში: „Голос минувшего", „Летопись", „Изв. Нар. Ком. ин. дел", „Печать и революция", Пролетарская революция „Красная Новь", „Красный Архив", „Под знаменем марксизма", „Большевик", „Вестник социалистической (ეხლა Комунистической) Академии", „Историк—марксист" და სხვ. გარდა ამისა მ. ნ. პოკროვსკიმ წერილები მოათავსა ისეთ კრებულებში, როგორცაა „1905 год" (საიუბილეო გამოცემა რუსეთის პირველი რევოლიუციის 20 წლისთავზე), „Труды института красной профессуры" ტ I „Большая советская энциклопедия (სადაც იგი ისტორიული წერილების მთავარი რედაქტორია), „Памяти К. Маркса" და სხვ.

ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ ცალკე გამოსულ ნაშრომთა შორის დავასახელებთ უმთავრესებს: „Борьба классов и русская историческая литература". (1923) „Царская Россия и война" (1924 წ.) „Дипломатия и война царской России в XIX ст. (1924 წ.), „Внешняя политика России XX ст.", „Крестьянская реформа (1926 წ. ცალკე ამონაბეჭდი „История России в XIX в.-დან—ძმ. გრანატების გამოცემიდან), „Марксизм и особенности исторического развития в России" „Империалистическая война და სხ.

ამხ. მ. ნ. პოკროვსკის ნაშრომები რამდენიმე გამოცემად გამოვიდა. ზოგიერთი ნაშრომი საგარეო პოლიტიკის შესახებ უცხო ენებზე გადაითარგმნა. „Русская история с древнейших времен" ინგლისურად ითარგმნება, „Русская история в самом сжатом очерке" გადათარგმნილია გერმანულ და პოლონურ ენებზე.

ამხ. მ. ნ. პოკროვსკი ყველა აღნიშნულ ნაშრომში რევოლიუციონური მარქსისტ-ლენინელია, ამ მიმართულების მეთაური და ყველაზე უფრო მკაფიო წარმომადგენელი რუსულ ისტორიოგრაფიაში. მას ჰყავს მიმდევრებს, „ახალგაზრდა ისტორიკოს-მარქსისტების" მთელი სკოლა. ისინი მ. ნ. პოკროვსკის ხელმძღვანელობით მუშაობენ კომუნისტურ აკადემიაში, საბჭოთა კავშირის უმაღლეს სასწავლებლებში, წითელი პროფესურის ინსტიტუტში, „რანიონ"-ში, ისტორიკოს-მარქსისტების საზოგადოებაში და სხვა სამეცნიერო დაწესებულებებში, რომელთა თვალსაჩინო ნაწილი მ. ნ. შექმნა.

უაღრესად განათლებული რევოლიუციონერი-კომუნისტი, მსოფლიოში ცნობილი შესანიშნავი მეცნიერი-ისტორიკოსი, ბრწყინვალე მწერალი და ლექტორი ამხ. მ. ნ. პოკროვსკი წარმოადგენს უდიდეს ორგანიზატორს სახალხო განათლების დარგში და სოციალისტური კულტურის მშენებელს.

მისალმებანი იუბილიარს

საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტისაგან

დღეს ჩვენი პარტია და მასთან ერთად მთელი პროლეტარული საზოგადოებრიობა აღნიშნავენ ძველი ბოლშევიკის, მეცნიერი მარქსისტის მიხეილ ნიკოლოზის ძის პოკროვსკის იუბილეს დაბადებიდან 60 წლის შესრულების გამო. ამ იუბილეს მნიშვნელობა მდგომარეობს ჩვენი პარტიის უთვალსაჩინოესი წევრის, უდიდესი ისტორიკოს-მარქსისტის, შესანიშნავი საბჭოთა მოღვაწის არა მარტო პერსონალურ პატივისცემაში, არამედ მთელი მარქსისტული ისტორიოგრაფიის დღესასწაულშიაც, იმ მარქსისტული ისტორიოგრაფიისა, რომლის მოწინავე მებრძოლია ამხ. პოკროვსკი.

ცხოვრების ის ნათელი გზა, რომელიც ამხ. პოკროვსკიმ განვლო, ადასტურებს, რომ იგი ერთგულად ემსახურებოდა მუშათა კლასის საქმეს. რუსეთის პირველი რევოლიუციის პერიოდიდან ამხ. პოკროვსკი უაღრესად აქტიურ მონაწილეობას იღებს რევოლიუციონურ ბრძოლაში და ჩვენი პარტიის მოწინავე რიგებში სდგას.

ოქტომბრის დღეების შემდეგ ამხ. პოკროვსკი გამოდის ფართო კულტურულ-განმანათლებელი მოღვაწეობის სარბიელზე და კულტურული რევოლიუციის მოწინავე მებრძოლის როლს ასრულებს. ამხ. პოკროვსკი უდიდეს საქმეს აკეთებს სახალხო განათლების დარგში, როგორც რ. ს. ფ. ს. რ.-ის განათლების კომისრის მოადგილე. იგი საბჭოთა სხვადასხვა სამეცნიერო დაწესებულებებისა და სასწავლებლების ორგანიზატორია. მას ეკუთვნის თაოსნობა მუშათა ფაკულტეტების შექმნის საქმეში და მათი ხელმძღვანელობა. მისი მეცადინეობით შეიქმნა კომუნისტური აკადემია, რომლის უცვლელი თავმჯდომარეა დღევანდლამდე. პოკროვსკიმ დაარსა ისტორიკოს-მარქსისტთა საზოგადოება. ბოლოს, მისმა შემოქმედებითმა ენერგიამ შექმნა წითელი პროფესურის ინსტიტუტი, საიდანაც ჩვენი პარტია იღებს სამეცნიერო მუშაკებისა და მასწავლებელ-კომუნისტების კადრებს.

მაგრამ ამხ. პოკროვსკი მარტო რევოლიუციონერ-ბოლშევიკი არ არის, მარტო პრაქტიკული მუშაკი არ არის კულტურულ-განმანათლებელ დარგში—იგი აგრეთვე უდიდესი ისტორიკოსი-მარქსისტიც არის. ამხ. პოკროვსკიმ საფუძველი ჩაუყარა მარქსისტულ სკოლას რუსეთის საისტორიო მეცნიერებაში. მას ეკუთვნის სხვადასხვა უდიდესი შრომა და გამოკვლევა, რომლებიც უმაღლეს ნიმუშს წარმოადგენენ იმისას, თუ როგორ უნდა იქნას გამოყენებული მარქსისტული მეთოდი საზოგადოებათა მეცნიერების დარგში.

ამხ. პოკროვსკის დიდი სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობა ნათელ მაგალითად უნდა წარმოადგენდეს ჩვენი პარტიის თვითეული წევრისათვის, ჩვენი ქვეყნის ყოველი ახალგაზრდა მეცნიერისათვის. ისტორიულ მოვლენათა მკვეთრი ანალიზის კრიტიკალიური მკაფიობა, მისი ლენინური შეურიგებლობა, კოლოსალური უნარი, რომ ერთსა და იმავე დროს მეცნიერიც იყოს და ორგანიზატორ-მებრძოლიც, ყოველი ეს თვისება განსაკუთრებით ძვირფასია ჩვენს დროში, გაალმასებული კლასობრივი ბრძოლის დროს კულტურულ ფრონტზე.

გულმხურვალე სალამი ამიერ-კავკასიის პარტიული ორგანიზაციებისაგან ძველ ბოლშევიკ-მეცნიერს, მედგარ მებრძოლს მარქსიზმისა და ლენინიზმისათვის, კომუნისტური რევოლიუციის საქმისათვის.

საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის მდივანი
მამია ორახელაშვილი.

ა.-კ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისაგან

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების მშრომელთა სახელით გიძღვნით მხურვალე სალამს და ვიზიარებთ საბჭოთა კავშირის მშრომელთა საერთო სიხარულს თქვენი სიცოცხლის 60 წლის შესრულების გამო.

ამიერ-კავკასიის მშრომელნი თქვენი სახით ესალმებიან უდიდეს ისტორიკოს-მარქსისტს, რომელმაც რუსეთის მუშათა კლასთან თანამშრომლობით სულ სხვანაირად გააშუქა რუსეთის ისტორია. სამეცნიერო მუშაობის ნატოვებლად თქვენ შეძლებით მკვლევარისა და ორგანიზატორის, მეცნიერ-ისტორიკოსის და აქტიურ მშენებლის მუშაობის შეთავსება.

ჩვენი ახალგაზრდა სამეცნიერო მუშაკებისათვის უაღრესად საგულისხმიეროა ისტორიკოს-ბოლშევიკის პოკროვსკის ცხოვრება, როგორც ცოცხალი წასაბაძი მაგალითი. თქვენი იუბილე არის მარქსისტულ-ლენინური მეცნიერებისა და პროლეტარული საზოგადოებრივობის დღესასწაული.

გისურვებთ თქვენ დაუღალავ და ენერგიულ მუშაობას ჭეშმარიტ მარქსისტულ ლენინური მეცნიერების ასაყვავებლად.

ა.-კ. ცაკის თავმჯდომარე
აღამალი-ოღლი.

ამიერ-კავკასიის სახ. კომისართა საბჭოსაგან

ძვირფასო მიხეილ ნიკოლოზის ძევ, ამიერ-კავკასიის სახ. კომისართა საბჭოს თქვენის სახით ულოცავს შესანიშნავ ისტორიკოს—მარქსისტს, რომელმაც რუსეთის შესწავლის საქმე დააყენა შეურყეველ მატერიალისტურ საფუძველზე, ულოცავს უმაღლესი სასწავლებლის გარდამქმნელს, მეცნიერების დაულალავ პროპაგანდისტს და იმ პროლეტარულ მუშაკთა ახალი კადრების მასწავლებელს, რომლებიც ესოდენ საჭირონი არიან ჩვენი დიდი სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის სოციალისტური გარდაქმნისათვის.

იცოცხლეთ მრავალ წელს, გააშუქეთ მარქსიზმის პროჟექტორით ჩვენი უაღრესად რთული ცხოვრება, ასწავლეთ ახალ თაობებს, თუ როგორ უნდა მოიხმარონ მარქსიზმისა და ლენინიზმის უბადლო იარაღი.

ამიერ-კავკასიის სახ. კომისართა საბჭოს თავმჯდომარე: **შ. ელიავა.**

ა.-კ. კომუნისტური უნივერსიტეტისაგან

26-ის სახელობის ამიერ-კავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტის სტუდენტების, ლექტორებისა და გამგეობის სახელით გესალმებით თქვენ, მიხეილ ნიკოლოზის ძევ, დაბადებიდან 60 წლის შესრულების გამო. თქვენი იუბილე—მარქსისტული მეცნიერებისა და პროლეტარული საზოგადოებრივობის ნამდვილი დღესასწაულია. გახასიათებდათ რა ბოლშევიკური შეურიგებლობა იდეოლოგიური მტრებისადმი, თქვენ სულ ახალი თვალსაზრისით გააშუქეთ „მთელი თავისი გრანდიოზულობით რუსეთის ისტორიული პროცესის ნამდვილად მატერიალისტური სურათი". თქვენი სახით ჩვენ ვხედავთ, გვიყვარს და ვაფასებთ ჭეშმარიტად მეცნიერ ბოლშევიკს, რომელიც არის რა მუშათა კლასის იდეოლოგიის მატარებელი, წარმოადგენს მკვლევარის, ორგანიზატორის, მშენებლის და ისტორიკოსის განსაცვიფრებელ შეთავსებას.

გისურვებთ, კიდევ მრავალი წლების განმავლობაში განაგრძოთ თქვენი მუშაობა. შთაუნერგოთ ყველას, რომ პროლეტარიატის დიქტატურის ეპოქაში მეცნიერი ვალდებულია პირველ ყოვლისა თავის დარგში იყოს წარმომადგენელი მუშათა კლასის, რომელიც პირველად მსოფლიოში ახორციელებს სოციალისტურ წყობილებას.

ა.-კ. კომუნისტური უნივერსიტეტის გამგეობის დავალებით რექტორი
ლისოვსკი.

საქართველოს განათლების კომისარიატისაგან

მხურვალე სალამი ძვირფას, საყვარელ იუბილიარს, რომელმაც ბრძოლა კომუნიზმისათვის მშვენივრად შეათავსა რევოლიუციონური მეცნიერებისათვის ბრძოლასთან, ინტერნაციონალური სოციალისტური კულტურისათვის ბრძოლასთან.

მხურვალე სალამი საქართველოს განათლების მუშაკებისაგან დახმარებისათვის პედაგოგიური თეორიისა და პრაქტიკის მარქსისტული გზების შეგნებაში.

საქ. განათლების სახ. კომისრის მოადგილე **მარიამ ორახელაშვილი.**

სომხეთის განათლების კომისარიატისაგან

მ. ნ. პოკროვსკის დაბადებიდან 60 წლის შესრულების გამო სომხეთის განათლების სახ. კომისარმა ამხ. **მრავიანმა** რუსეთის განათლების სახალხო კომისარის ამხ. ლუნაჩარსკის სახელზე გაგზავნა შემდეგი მისალმების დეპეშა:

„მხურვალე სალამი ამხ. პოკროვსკის, პარტიის ვეტერანსა და მარქსისტული მეცნიერული აზროვნების საუკეთესო წარმომადგენელს".

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისაგან

რუსეთის ისტორიის სულშემხუთავი რეაქციონური ხანის ბნელ ფონზე, როდესაც მარქსისტული საზოგადოებრივი აზროვნება ჩახშული და დევნილი იყო, თქვენ, მიხეილ ნიკოლოზის ძევ, მეცნიერების ჩაუქრობელ ლამპრად ენთით და გზას უნათებდით იმათ, ვინც ეწაფებოდა პროლეტარულს ჭეშმარიტებას. ისტორიული მეცნიერების ღრმა ულრანები, რომლების ნათელყოფასაც ვერ ახერხებდნენ ბურჟუაზიული, თვით ნიჭიერი ისტორიკოსებიც კი, ხელ მისაწვდომი და გასაგები გახადა თქვენმა დაუღალავმა მოღვაწეობამ.

ოქტომბრის რევოლიუციამ, რომელმაც ბორკილები აჰყარა პროლეტარულ აზროვნებას, საშუალება მისცა თქვენს ნიჭსა, ბრწყინვალედ გაფურჩქვნილიყო. თქვენ ხელ-ახლა დაამუშავეთ რუსეთის ისტორიის მთელი მასალა დიალექტიური მატერიალიზმის თვალსაზრისით, უაღრესად გაამარტივეთ ურთულესი მეცნიერული საკითხები, დაუახლოვეთ ეს საკითხები ყოველდღიურ ცხოვრებას და გადასჭერით მრავალი პრობლემა, რომელიც გაურკვეველი იყო უდიდეს ისტორიკოსებისათვის. თქვენ შეჰქმენით რუსეთის ახალი ისტორია, მკაფიო და ნათელი გახადეთ საისტორიო აზროვნება, საისტორიო მუშაობაში ისტორიის ახალი მარქსისტული მეთოდოლოგიის გამოყენების ცხადი მაგალითები დაანახვეთ ყველას, დაამუშავეთ დიდძალი ნედლი საარქივო მასალა და ყოველივე ამით მოიხვეჭეთ მსოფლიოს ერთი უდიდესი მეცნიერის სახელი.

საქართველოს უნივერსიტეტი ამაყობს, რომ საბჭოთა კავშირს ჰყავს ესოდენ სახელგანთქმული მეცნიერი, იგი კვლავაც გულდასმით ადევნებს თვალყურს თქვენს სამეცნიერო მოღვაწეობას და უყოყმანოდ გაჰყვება თქვენგან უკვე გაკაფულ გზას თავის კვლევა-ძიებითი მუშაობის დროს—როგორც საერთოდ, საზოგადოებრივ, ისე განსაკუთრებით საისტორიო მეცნიერებათა დარგში.

ვსარგებლობთ შემთხვევით და თქვენი დაბადების დღიდან 60 წლის შესრულების თავზე გისურვებთ ხანგრძლივ ნაყოფიერ მოღვაწეობას, პროლეტარული იდეოლოგიის განვითარებისათვის საქმეში მეცნიერების ყველა დარგში.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

საქართველოს სამეცნიერო მუშაკთა სექციის ბიუროსაგან

საქართველოს სამეცნიერო მუშაკთა სექციის ბიურო მხურვალე სალამს უძღვნის მხცოვან მეცნიერ-რევოლიუციონერს მ. ნ. პოკროვსკის მისი დაბადების დღიდან 60 წლის შესრულების გამო.

საქართველოს სამეცნიერო მუშაკთა სექციის ბიურო მიმართავს თქვენ საბჭოთა საზოგადოებრიობისა და მეცნიერების ამ ღირსშესანიშნავ დღეს და საჭიროდ სთვლის აღნიშნოს, რომ თქვენს ხანგრძლივსა და ნაყოფიერ მუშაობას მრავალი მხრით ვაფასებთ. თქვენი მუშაობა ძვირფასია ჩვენთვის თავისი უნაგარო ერთგულებით მეცნიერული ჭეშმარიტების საქმისადმი; ის ძვირფასია ჩვენთვის მუდმივი თავდადებით მშრომელთა საკეთილდღეოდ და კაცობრიობის განთავისუფლებლად; ის ძვირფასია ჩვენთვის მით, რომ თქვენ მედგრად იკაფავთ ჭეშმარიტ მარქსისტულ გზას მეცნიერული კვლევა-ძიების დარგში.

ჩვენ, რომლებიც მეცნიერულ მუშაობას ვაწარმოებთ საბჭოთა საქართველოში, ამ მუშაობას თვალსაჩინოდ გვიადვილებს ის განძი, რომლითაც თქვენ გაამდიდრეთ მეცნიერების სალარო.

ყველა ამისათვის, ძვირფასო მიხეილ ნიკოლოზის ძევ, საქართველოს სამეცნიერო მუშაკთა სექციის ბიურო ღრმა მადლობას გიძღვნით და იმედოვნებს, რომ მარქსიზმის დროშა კვლავაც გეპყრობათ ისევე მტკიცედ, როგორც დღევანდლამდე.

საქართველოს სამეცნიერო მუშაკთა სექციის ბიურო.

დღეს, ხუთშაბათს, 25 ოქტომბერს, საღამოს საათ.
რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში
შესდგება
საზეიმო საიუბილეო სხდომა
მ. ნ. პოკროვსკის დაბადებიდან 60 წ. შესრულების გამო
დღის წესრიგი:
1. შესავალი სიტყვა **ამხ. ფილიპე მახარაძე**
2. მოხსენებები
ამხ. მამია ორახელაშვილი—„ბოლშევიზმი და მეცნიერება"
ამხ. სეფი—„მ. ნ. პოკროვსკი, როგორც ისტორიკოსი"
ამხ. მარიამ ორახელაშვილი—„მ. ნ. პოკროვსკი, როგორც სახალხო განათლების რეფორმატორი".
ამ.-კავკასიის და საქართველოს საიუბილეო კომისიები.

პარტიაში

გამოძახილი საკ. კ. პ. (ბ) ცეკას წერილზე

მოსკოვი, 24 ოქტომბერი. მოსკოვში შესდგა სოკოლნიკის, როგოჟსკო-სიმონოვის, ხამოვნიკის და კრასნოპრესნის სარაიონო კომიტეტების და სარაიონო საკონტროლო კომისიების პლენუმები და აქტივების კრებები მოსკოვის კომიტეტისა და მოსკოვის საკონტროლო კომისიის ოქტომბრის პლენუმის შედეგების შესახებ.

ოთხივე ყველა აქტივზე ერთხმად იქნა მიღებული რეზოლუცია, რომელშიაც ნათქვამია, რომ ისინი სავსებით უერთდებიან ცეკას მიმართვას მოსკოვის ორგანიზაციის წევრებისადმი და იწონებენ მოსკოვის კომიტეტისა და მოსკოვის საკონტროლო კომისიის გადაწყვეტილებებს, აქტივებმა პოლიტიკური ნდობა გამოუცხადეს მოსკოვის კომიტეტს და მოსკოვის საკონტროლო კომისიას, რომელთაც მიიღეს ზომები დაშვებული შეცდომების გამოსასწორებლად (ადს).

სტავროპოლ-კავკაზსკი, 24 ოქტომბერი. პარტიულმა კრებამ ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ გაძლიერებულ იქნას ბრძოლა მემარჯვენე საფრთხისა და ტროცკისტული ოპოზიციის ნაშთების წინააღმდეგ. კრებამ სავსებით მოიწონა ცეკას მიმართვა (ადს).

დონის როსტოვი, 24 ოქტომბერი. საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას წერილი მოსკოვის ორგანიზაციის წევრებისადმი როსტოვისა და ნახიჩევანის პარტიული მასების ფართო მსჯელობის საგანს შეადგენს. გუშინ ფაბრიკებსა და ქარხნებში შემდგარ კრებებზე პარტიულმა მასებმა გამოიტანეს დადგენილებანი—იბრძოლონ გადახრებისა და უპარტიო შემრიგებლობის წინააღმდეგ. ასეთი რეზოლუციები მიღებულ იქნა რკინის გზის მთავარ სახელოსნოების პარტკოლექტივის კრებაზე, დონის თამბაქოს ფაბრიკის პარტიულ კრებაზე. შახტის ორგანიზაციების კრებაზე და სხვ (ადს).

ავირჩიეთ ახალი ბიურო-კოლექტივი

კახიანის სახელობის ქართულ მუშფაკში

ამ დღეებში ამხ. მიხა კახიანის სახელობის ქართულ მუშფაკში ჩატარდა ბიუროების გადარჩევები. ახლად არჩეულ ბიუროებში საგრძნობი პროცენტი მუშებია, რაიც შეესაბამება პარტიულ ორგანოების უკანასკნელ დირექტივებს. 11 ოქტომბერს შესდგა მუშფაკის კომუჯრედების საერთო კრება, დაესწრო 200-მდე წევრი. კრებას დაესწრო ქალაქის რაიკომის მდივანი ამხ. მორჩილაძე, და თბილისის კომიტეტის წარმომადგენელი.

დღის წესრიგში იდგა: 1) საანგარიშო მოხსენება; 2) ბიურო-კოლექტივის მუშაობის შესახებ; 2) ბიურო - კოლექტივის არჩევნები, 3) დელეგატების არჩევა სარაიონო პარტკონფერენციაზე.

პირველი საკითხის შესახებ მოხსენება გააკეთა ბიურო - კოლექტივის მდივანმა ამხ. ანდღულაძემ. მოხსენების შემდეგ კამათში გამოვიდა 10 კაცი.

საბოლოო სიტყვაში ამხ. ანდღულაძემ ამომწურავი პასუხი გასცა შემოსულ შეკითხვებზე და აღძრულ საკითხებზე.

საბოლოო სიტყვის შემდეგ, მიღებულ იქნა რეზოლუცია, სადაც სხვათა შორის ნათქვამია: „ბიურო - კოლექტივის მუშაობა ჩაითვალოს დამაკმაყოფილებლად და აღებული პოლიტიკური ხაზი სწორად“.

შემდეგ მოხდა ბიუროს არჩევნები. ბიურო - კოლექტივში არჩეულ იქნა 11 წევრი, და 4 კანდიდატი, პარტიის რაიონულ კონფერენციაზე არჩეულ იქნა დელეგატებათ გადამწყვეტი ხმის უფლებით ამხ. ლავრენტი მორჩილაძე, ადამიძე, ანდღულაძე, ანთიძე, გაბიანი, მიქელოვი, სიხარულიძე, გაბრიაძე ლალიაშვილი და თვარელიძე. სათათბირო ხმით ამხ. კუბლაშვილი, მახნიაშვილი, ხან ჩუციშვილი, გასვიანი და ვეფხვაძე.

შ. კ—ძე.

სამზადისი უჯრედების ბიუროების გადარჩევისათვის

(ფოთი)

11 ოქტომბერს, შესდგა ფოთის კომპარტიის აქტივის კრება, რომელსაც დაესწრო ყველა უჯრედის ბიუროს წევრები და მიმაგრებული ამხანაგები. კომუჯრედთა ბიუროების გადარჩევის კამპანიის შესახებ, მოხსენება გააკეთა ამხ. კაპარავამ. მომხსენებელი უმთავრესად შეჩერდა უჯრედთა ბიუროს მუშაობის ნაკლზე, აგრეთვე იმ შეცდომებზე, რომელიც დაშვებული იყო ბიუროების წინა გადარჩევის დროს. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ წინედ უჯრედთა ბიუროების გადარჩევას წინ არ უსწრებდა ბიუროების მუშაობას შემოწმება თვით გამომრკვევ კომისიების მიერ, რის გამოც, შეუმჩნეველი ხდებოდა ზოგიერთი ნაკლი.

ბიუროების არჩევნების კამპანიას უნდა მივაქციოთ განსაკუთრებული ყურადღება, რათა ბიუროს ახალი შემადგენლობა იქნეს უფრო საქმიანი და აქტიური.

აქტივის თათბირის დადგენილების თანახმად კომპარტიის ფოთის ორგანიზაციის ყველა უჯრედებში ბიუროების გადარჩევის კამპანია იწყება 18 ოქტომბრიდან და დამთავრდება 1-ლ ნოემბრისათვის.

ყველა უჯრედებში იყოფა თვით გამომრკვევი კომისიები, რომლებიც შეამოწმებენ ბიუროების მუშაობის ნაკლოვანებებს და შეიმუშავებენ შემდგომ მუშაობისათვის სათანადო პრაქტიკულ წინადადებებს. კომისიებს დაევალათ უჯრედების მუშაობის გამორკვევის დროს მთავარი ყურადღება მიაქციონ შემდეგ საკითხებს:

1) როგორ ტარდებოდა ცხოვრებაში უჯრედთა მუშაობის გეგმები, და მიზეზებს ასეთების არ გატარების შესახებ;
2) უჯრედის წევრთა მოთხოვნილებებს;
3) შესწავლილი უნდა იქნას უჯრედის მდივნის და ბიუროს ყველა წევრთა თვით ინიციატორობა და აქტივობა;
4) შემოწმებულ უნდა იქნეს, თუ როგორ ატარებდა უჯრედი პარტიის დირექტივებს; ბიუროკრატიზმის და სხვა დამახინჯებათა წინააღმდეგ. ბრძოლის შედეგები, წარმოების რაციონალიზაციის შედეგები;
5) საწარმოო თათბირების მუშაობა მასიური მუშაობა და უჯრედების ხელმძღვანელობა.
6) როგორია თვითკრიტიკის გაშლა და მასების აქტივობა და სხვა.

უჯრედებს მიეცათ დირექტივები რათა ბიუროების გადარჩევის დროს ადგილი არ ექნას მასების აქტივობის შეზღუდვას და შინაპარტიული დემოკრატიის დარღვევას. აგრეთვე დირექტივაში აღნიშნულია ბიუროების შემადგენლობაში შედარებით წარსულ წელთან მუშების და მშრომელ ქალთა პროცენტის გადიდება.

უჯრედის ბიუროების სწორ და აქტიურ მუშაობაზეა დამოკიდებული უჯრედების და მთელი ორგანიზაციის სწორი და სწრაფი განვითარება ამიტომ პარტიის ყველა წევრმა აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს ბიუროების გადარჩევის კამპანიის ჩატარებაში და ბიუროების შემადგენლობაში მტკიცე და ენერგიულ მუშა - ამხანაგების შერჩევის საქმეში.

გ. ჯიბლაძე.

მცირე განმარტება

საგარეჯოს თემკომის სხდომაზე, რომლის ანგარიშიც ჩვენი გაზეთის ა. წ. 5 ოქტომბრის ნომერში იყო მოთავსებული, მანავის სახ. მამულის მართველმა განაცხადა, თითქოს მამულის ყოფ. გამგე კოტე ბერეკაშვილი გულგრილად ეპყრობოდა თავის მოვალეობას, რის გამოც მამული გადაშენების გზაზე დადგა.

როგორც სახ. მამულთა ტრესტის მმართველობის განმარტებიდან ჩანს, ეს ბრალდება სინამდვილეს არ შეეფერება.

კომკავშირში

კომკავშირის ც. კ.-ის პლენუმი

მოსკოვი, 24 ოქტომბერი. გაიხსნა კომკავშირის ც. კ.-ის მორიგი პლენუმი. დღის წესრიგშია: მოხსენებანი მე-2 საფეხურის სკოლისა, ახალგაზრდათა შრომისა და განათლების საკითხები, ახალგაზრდათა კომუნისტური ინტერნაციონალის მუშაობის ძირითადი საკითხები და კავშირის ხელმძღვანელობის ამოცანები თვითკრიტიკის განხორციელებასთან დაკავშირებით.

მოხსენება მეორე საფეხურის სკოლის შესახებ გააკეთა ამხ. ფურლეტოვმა.

ამხ. ფურლეტოვის მოხსენების გარშემო გამართულ გაცხოველებულ კამათს მოუნდა დილის სხდომის ბოლო და საღამოს მთელი სხდომა. კამათში მონაწილეობა მიიღო 18 კაცმა, მათ შორის: ამხ. კრუპსკაიამ, ეპშტეინმა, ილინმა და სხვ. ყველა ორატორი ლაპარაკობდა საშუალო სკოლის ცუდი მდგომარეობის შესახებ და აღნიშნავდა, რომ საჭიროა მალე გადავაქციოთ იგი პროფსკოლებად და ტეხნიკუმებად. (ადს)

კომკავშირის მზადება ოქტომბრის რევოლიუციის 11 წლის თავისათვის

ს.ა.ლ.კ.კ. ცეკამ დაგზავნა ცირკულიარი კომკავშირის მონაწილეობის შესახებ ოქტომბრის რევოლიუციის დღესასწაულში მონაწილეობის შესახებ.

წელს კომკავშირის კომიტეტებთან არ იქნება გამოყოფილი დღესასწაულის ჩამტარებელი კომისიები, არამედ კომკავშირის წარმომადგენელი შევა იმ კომისიაში, რომელიც გამოიყოფა საბჭოთა ხაზით.

დღესასწაულის ჩატარებამდე გამოყენებული იქნება ინდივიდუალური და ჯგუფური აგიტაციის მეთოდი როგორც კომკავშირელთა, ისე უპარტიო მშრომელ ახალგაზრდობის შორის ოქტომბრის მნიშვნელობის შესახებ. ეს აგიტაცია-პროპაგანდა იწარმოებს კლუბების, წითელი კუთხეების, სამკითხველოების და სახალხო სახლების საშუალებით.

5 და 6 ნოემბერს სკოლებში გაიმართება დილები და საღამოები სათანადო მოხსენებებით და ინსცენიროვკებით.

სოფელთან კავშირის განსამტკიცებლად ქალაქის უჯრედების მიერ, შესაძლებლობის ფარგლებში შექმნილი და გადაგზავნილი იქნება ლიტერატურა, გაზეთები და პლაკატები, აგრეთვე გაიგზავნებიან სოფლად კომკავშირელთა წარმომადგენლები.

წითელ ყაზარმებში ჩატარდება წითელარმიასთან დაახლოვების საღამოები. ამ საღამოებს თან მოჰყვება სამოქალაქო ომის მონაწილეთა მოგონებები.

წლის თავის დღესასწაულის ჩატარებას, გარდა შაბათობისა (რომელსაც აწყობს კომკავშირი თავის რიგებში), შეუფარდდება სხვა რომელიმე, საზოგადოებრივ - სასარგებლო ღონისძიებასაც, როგორც მაგ.: კოლექტიური მეურნეობის, სამკითხველოების, სამხედრო წრეების, წითელი კუთხეების და სხვა გახსნა.

ა.-კ. პროლეტ. მწერალთა ასოციაციის პლენუმი

დამთავრდა ამ. კავკ. პროლეტ. მწერალთა ასოციაციის პირველი პლენუმი. თავის უკანასკნელ სხდომაზე პლენუმმა მოისმინა ამხ. ტატულოვის მოხსენება პროლეტარულ მწერლობის შემოქმედების ამოცანების შესახებ. ნაწილობრივათ ამ საკითხს შეეხო ამხ. სუტირინი თავის მოხსენების მეორე ნაწილში. ორივე მოხსენებამ გაცხოველებული აზრთა გაცვლა-გამოცვლა გამოიწვია.

ამხ. ტატულოვის მოხსენება.

ამხ. ტატულოვის მოხსენება ერთი მხრივ შეეხებოდა პროლეტარულ მწერლობის შემოქმედობით გზებს და მეორე მხრივ პროლეტარული ლიტერატურის მეთოდოლოგიის, ლიტერატურის და სალიტერატურო კრიტიკის მარქსისტულ თეორიის საკითხებს. ვიდრე მომხსენებელი თეორეტიულ ხასიათის დასკვნებზე გადავიდოდა, მიმოხილვა გაუკეთა მხატვრულ შემოქმედების ფაქტებს, როგორც რუსეთის, ისე ამიერ-კავკასიის უკანასკნელი წლების სინამდვილეში.

— ის ლიტერატ. ფაქტები,—სთქვა მომხსენებელმა, რომელიც ჩვენ გვაქვს, საფუძველს გვაძლევს გამოვიტანოთ დასკვნა იმის შესახებ, რომ პროლეტარული მწერლობა ამუშავებს თავის საკუთარ სტილს. ამ სტილის დამახასიათებელი თვისება ე. წ. პროლეტარული რეალიზმი, რომლის მასაზრდოებელია ჩვენი ქვეყნის სამეურნეო მშენებლობა ახალ სოციალისტურ-ეკონომიურ საფუძველზე დამყარებული ურთიერთობა. ეს ახალი სტილი პროლეტარული რეალიზმი—სხვა სტილისაგან განირჩევა იმით, რომ მასში სჭარბობს პათეტიზმის ელემენტი.

შემთხვევითი მოვლენა არ არის პროლეტარულ მწერლობაში ის გარემოება, რომ მწერლების მნიშვნელოვანი ნაწილი პროზის დარგში ეტანება დიდ რომანების, ხოლო პოეზიის დარგში პოემების წერას. ეს აიხსნება იმით, რომ თანამედროვე პროლეტარიატის საზოგადოებრივი ფსიხოლოგია დიდათ გაფართოვდა და გაღრმავდა. რომანში პოლიტიკურ თემებს გარდა სჭარბობს სამეურნეო და საწარმოო თემები. ეს პროლეტარული მწერლობის მომწიფების მაჩვენებელია და მოწმობს იმას, რომ პროლეტარული მწერლობა უფრო ახლო სდგას და უშუალოდ განიცდის ჩვენი მეურნეობის წინაშე წამოჭრილ ამოცანებს, ვიდრე არამწარმოებლები კლასების ლიტერატურა.

პროლეტარული სტილი ჯერ სავსებით გამორკვეული არ არის. ჯერჯერობით მხოლოდ მისი გამომუშავების პროცესი სწარმოებს. პროლეტარულ მწერლობისათვის ჯერ კიდევ ძნელია კონკრეტული თემების გამონახვა და მხატვრული გაფორმების ხერხების მიგნება, მაგრამ ჩვენ ერთი გარკვეული მოთხოვნის წაყენება მაინც შეგვიძლია პროლეტარულ მწერლობისათვის, ჩვენ შეგვიძლია პროლეტარულ მწერლობას მოვსთხოვოთ. რომ მისი შემოქმედება გამსჭვალული იყოს დიალექტიკურ-მატერიალისტური მსოფლმხედველობით და წარმოადგენდა ერთ მხატვრულ—იდეოლოგიურ მთლიანობას. პროლეტარულ მწერლობამ რომ ეს ძირითადი ამოცანა გადასჭრას, საჭიროა პროლეტარული მწერლობის შემოქმედებაში [illegible] გარკვეული [illegible] მეთოდების მიხედვით.

შემდეგ მომხსენებელი ვრცლად ეხება ლიტერატურის მარქსისტულ მეთოდოლოგიის საკითხებს.

მოხსენებამ დიდი ინტერესი გამოიწვია. კამათში გამოსული ამხანაგები დიდხანს შეჩერდენ საკითხზე, თუ რას ეწოდება პროლეტარული სტილი. ზოგიერთის აზრით ტერმინი პროლეტარული რეალიზმი არ გამოხატავს პროლეტარულ სტილის თავისებურებას შემდეგ ამხანაგები შეჩერდენ პროლეტარულ მწერლობის თემატიკის საკითხზე. მხატვრულ შემოქმედების პროცესში, მათი აზრით,— მწერალმა არ უნდა დაივიწყოს, რომ მისი ნაწარმოების მკითხველი მშრომელთა ფართო მასაა. ლიტერატურა უნდა იყოს ღრმად რეალისტური. ფორმის ელემენტები ორგანიულად უნდა იქნას დაკავშირებული შინაარსის მასალასთან. ახალი ყოფის პრობლემაში, რომლის გადაჭრასაც უნდა მოკიდოს ხელი პროლეტარულმა მწერალმა, შეთავსებული უნდა იქნეს ჩვენი ცხოვრების ყველა მხარეები, ჩვენი ცხოვრების როგორც შინაგანი, ისე გარეგნული მოვლენები. პირველ ყოვლისა პროლეტ. მწერალმა უნდა დაამუშაოს ადამიანთა ახალი ურთიერთობა იმ ბრძოლის ფრონტზე, რომელიც სწარმოებს ახალი სოციალისტური მეურნეობის და ძველი მეურნეობის ნაშთებს შორის. მან უნდა მოგვცეს ურთიერთობა დღევანდელ ქალსა და ვაჟს შორის,—დამოკიდებულება ძველი და ახალი თაობის შორის. ამ საზოგადოებრივ მოვლენების ფონზე მწერალმა მხატვრულად უნდა დაამუშაოს ახალი ყოფაცხოვრების „წვრილმანები“.

მხატვრული ნაწარმოებისათვის სავალდებულოა ობიექტიური მიდგომა მოვლენებისადმი. მაგრამ, ზოგიერთ ორატორის აზრით. პრაქტიკულად ეს ძნელად გადასაჭრელი პრობლემაა. თანამედროვე პროლეტარულ მწერალს უჭირს ობიექტიურათ დასახოს ტიპი თავის კლასობრივ მოწინააღმდეგის, რომელიც თავის არსებით უარყოფითი ტიპია.

კამათში მონაწილეობა მიიღეს ს.კოროდომოვმა, დოდოჩავამ, დაირიჯიევმა, ვანანდეცმა, დაბაგიანმა, ბუაჩიძემ, მკრტიჩიანმა, გრებენჩიკოვმა, სამსონიძემ და სუტირინმა.

როგორ ტარდება კოლექტიური ხელშეკრულებები

კერძო მექანიკური ქარხნის მეპატრონე მოქ. ბენდუქიძე არ ასრულებს კოლექტიურ ხელშეკრულებას. — ბენდუქიძის ქარხნის ადგილკომი არ ზრუნავს კოლ. ხელშეკრულების შესასრულებლად — პროფკავშირებმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ კერძო წარმოებებში მომუშავე მუშებს

შევასრულოთ კოლხელშეკრულებები

კოლექტიური ხელშეკრულების შესრულება ერთი მთავარი საშუალებათაგანია მუშების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და თვით წარმოების საქმიანობის სათანადო სიმაღლეზე დასაყენებლად. ეს იცის ყველამ, ეს იცის როგორც პროფკავშირმა ისე წარმოების ადმინისტრაციამაც, მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც აქვს ადგილი კოლექტიური ხელშეკრულების დარღვევის შემთხვევებს ჩვენს წარმოებებში.

ხელშეკრულების დარღვევა უმთავრესად სპეც-ტანსაცმელის და ზედმეტი მუშაობის ჯილდოს მიცემაში გამოიხატება. ზოგიერთი წარმოების ადმინისტრაცია კოლხელშეკრულების ამ მუხლებს წვრილმანათ სთვლის და მაინც და მაინც აუცილებელ საჭიროდ არ სცნობს მის შესრულებას. ასე იქცევა მაგალითად თბილისის მილიციის სამეთ ნაწილი, რომელიც არამც თუ კოლხელშეკრულებას, არამედ საკონფლიქტო კომისიის დადგენილებასაც კი არ ასრულებს.

უარესი მდგომარეობაა კერძო წარმოებებში, აქ ძალიან სუსტად და მძიმედ ტარდება კოლხელშეკრულება. ადმინისტრაცია თავს არ იწუხებს ხელშეკრულების შესასრულებლად და პროფკავშირიც ხშირად ვერ აქცევს სათანადო ყურადღებას ამ გარემოებას.

თბილისში არსებობს ბენდუქიძის მექანიკური ქარხანა, სადაც 30-მდე მუშა მუშაობს. მუშებსა და ადმინისტრაციის შორის დადებულია კოლექტიური ხელშეკრულება, მაგრამ იგი მხოლოდ ქაღალდზე არსებობს. სინამდვილეში ბენდუქიძე თავსაც არ იწუხებს ხელშეკრულების შესასრულებლად. მუშები თავის დროზე ვერ ღებულობენ სპეცტანსაცმელს და არც შრომის დაცვის საკითხია სათანადოთ მოგვარებული, მაგრამ ადგილობრივი პროფორგანიზაცია ამას არავითარ ყურადღებას არ აქცევს, როგორც სჩანს ქვეით მოყვანილ წერილიდან ქარხკომი ადმინისტრაციის დამქაშად არის გადაქცეული. იგი არ ზრუნავს მუშების ინტერესების დასაცავად და არ ღებულობს ზომებს კოლხელშეკრულების ცხოვრებაში გასატარებლად.

ასეთივე მდგომარეობაა სხვა კერძო სახელოსნოებშიც. პროფკავშირებმა მთავარი ყურადღება უნდა მიაქციონ კერძო წარმოებებში მომუშავე მუშებს და მიიღონ ზომები მათი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

მუშა.

ადგილკომი ყურადღებას არ აქცევს

თბილისის ყველა მსხვილ წარმოება-დაწესებულებას სდარაჯობს საუწყებო მილიცია. თითეულ წარმოებას ემსახურება სამი მილიციელი, რომლებიც სამ ცვლად მორიგეობენ.

საუწყებო მილიცია იმყოფება წარმოება-დაწესებულებების ხარჯზე; თითეული წარმოება თითო მილიციელზე იხდის 70 მანეთამდე თვეში, მაგრამ თითონ მილიციელები კი ფაქტიურად 41 მანეთს იღებენ თვეში. ჯამაგირის გარდა სხვა არავითარი შემოსავალი და შეღავათი მათ არა აქვთ. მილიციელები აუტანელ მდგომარეობაში იმყოფებიან. არც ადგილკომი და არც სხვა ვინმე არ ზრუნავს მათი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად; სიცივეები უკვე დაიწყო და აღნიშნულ მილიციის თანამშრომლებისათვის შუბის ფულის დარიგებაზე ჯერ-ჯერობით არაფერს ფიქრობენ.

წარმოება - დაწესებულებების ადგილკომებმა უკვე დიდიხანია დაარიგეს ორდერები მუშკოოპიდან ბამბაზიის და თეთრეულის გამოსატანათ, მაგრამ საუწყებო მილიციას ჯერ არც ეს ორდერები გაიჩინა, რას უცდის ადგილკომი, რატომ არ მიიღებს ზომებს მუშკოოპის ყველა წევრ თანამშრომლებისათვის ბამბაზიის ორდერის გამოსატანად, არავინ იცის.

საჭიროა მიღებულ იქნეს ზომები საუწყებო მილიციის თანამშრომელთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

ინკოგნიტო.

ბენდუქიძის ქარხანაში

ბენდუქიძის საზეინკლო სამექანიკო ქარხანა მოთავსებულია ორჯონიკიძის და ბატარეისის ქუჩების კუთხეში. ქარხანაში მუშაობს 30-მდე მუშა. კულტურულ მუშაობას აქ არავითარი ყურადღება არ ექცევა. ქარხნის ადგილკომი მხოლოდ ფორმალურად არსებობს. ფაქტიურად იგი არაფერს აკეთებს. მას გაზეთების გამოწერაც კი ვერ მოუხერხებია. არ არის მოწყობილი წითელი კუთხე, სადაც მუშებს დასვენების დროს შეეძლებათ გადაათვალიერონ გაზეთები. არც კედლის გაზეთი გამოდის. არ ექცევა ყურადღება აგრეთვე სხვადასხვა კამპანიების ჩატარებას, ინდუსტრიალიზაციის სესხის ობლიგაციის გავრცელებას, ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ბრძოლას და სხვა. ერთი სიტყვით კულტურულ მუშაობის დარგში აქ ყველაფერი ისეა, როგორც გასაბჭოებამდე იყო.

შრომის დაცვაზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია. მუშებს არა აქვთ ადუღებული წყალი და არც სასადილო. არ სასაუზმო ოთახი. მათ არ ეძლევათ სპეცსაპონი და პირსახოცი. თავის დროზე არ იღებენ სპეცტანისაცმელებს და სხვ. მუშები დიდ უკმაყოფილებას გამოსთქვამენ. მაგრამ აშკარად ვერ ბედავენ ხმის ამოღებას, რადგან ადმინისტრაციის ეშინიათ. ქარხკომიც და ადგილკომიც ადმინისტრაციის ტიკინებად არიან გადაქცეული და არ ღებულობენ ზომებს მუშების ინტერესების დასაცავად.

ქარხანაში წინედ ათამდე ახალგაზრდა მუშაობდა, ეხლა კი მათი რიცხვი ხუთამდე დაუყვანიათ. მოწაფეებს აქ არავინ არ აქცევს ყურადღებას. ისინი თავისით თუ შეისწავლიან რამეს, თორემ ხელმძღვანელობას არავინ უწევს. მოწაფეებისათვის დრო ორი წელიწადია დანიშნული, მაგრამ ზოგიერთი მოწაფე ორ წელზე მეტია, რაც ქარხანაში სწავლობს და მაინც არაფერი იცის. რადგან მას არავინ არაფერს ასწავლის.

საჭიროა გამოკვლეულ იქნეს აღნიშნულ ქარხნის მუშების მდგომარეობა და მიღებული იქნეს ზომები კოლექტიურ ხელშეკრულების ცხოვრებაში გასატარებლად.

სილვა.

ექსპლოატაციას უწევს

(ქუთაისი)

ქუთაისის ცენტრალურ ბიბლიოთეკის გამგის, მოქ. გუგუშვილის თავხედობას ბოლო არ ელება. ამ ვაჟბატონს აქვე ბიბლიოთეკაში დარაჯად ყავს თავისი ცოლი, რომელსაც იშვიათად ნახავთ თავის ადგილზე და რომელიც არავითარი საქმის გამკეთებელი არ არის. დარაჯის მოვალეობას გუგუშვილი ასრულებინებს ერთ უპატრონო ქალს, რომელსაც საშინელ ექსპლოატაციას უწევს და თვეში ხუთ მანეთს გასამრჯელოს აძლევს თავის ცოლის ჯამაგირიდან. არც კოლხელშეკრულება, არც შრომის კანონის დაცვა და არც სხვა რამე შეღავათი ამ უპატრონო ქალისთვის არ არსებობს, შრომის ინსპექტორმა, წინადადება მისცა გუგუშვილს, რათა მას დაეცვა შრომის კანონები, მაგრამ უკანასკნელმა არავითარი ანგარიში არ გაუწია შრ. ინსპექტორის წინადადებას; ამავე დროს კი ის თავის ცოლისთვის იღებს „ზედმეტი“ მუშაობის ფულს.

დროა მიექცეს სათანადო ყურადღება მოქ. გუგუშვილის თვითნებურ საქციელს და მიღებული იქნეს ზომები მის გამოსასწორებლად.

ცივწყაროელი.

მუშკორთა წერილებიდან

შრომის კანონები არ ტარდება. ჯანსახკომის განმანაწილებელ პუნქტში, რომელიც მესამე თვეა, რაც გაიხსნა, შრ. დაცვის კანონები და კოლექტიური ხელშეკრულება დაბალ მოსამსახურეებზე არ ვრცელდება. აქ სანიტარი მორიგეობს 24 — საათს, ხოლო თავისუფალია ამდენივე ხანი, ისე, რომ თითეული სანიტარი მუშაობს დღეში 12 საათს და ამაში იგი არავითარ ჯილდოს არ იღებს.

სატოგელი.

დღეს, საღამოს 6 საათზე ჩვენი რედაქციის ბინაზე (კამოს ქ. № 68) შესდგება გაზ. „კომუნისტი“-ს მუშკორთა გაფართოებული კრება. ჩვენი გაზეთის ყველა მუშკორის დასწრება აუცილებელია

ტუბერკულოზთან ბრძოლის საქმის რეორგანიზაცია

თათბირი თბ. ჯანმრთელობის განყოფილებაში

24 ოქტომბერს თბილისის ჯანმრთელობის განყოფილებაში პროფ. ს. ამირეჯიბის თავმჯდომარეობით შესდგა ტუბერკულიოზთან მებრძოლ სამკურნალო დაწესებულებების და ამ დარგში მომუშავე სპეციალისტების თათბირი ტუბერკულიოზთან ბრძოლის საქმის რეორგანიზაციის შესახებ.

მოხსენებით გამოსულმა ექ. ივ. ლორთქიფანიძემ თათბირს გააცნო ის მდგომარეობა, რომელიც შექმნილია თბილისში ტუბერკულიოზთან ბრძოლის დარგში. როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, უკანასკნელი წლების განმავლობაში სულ უფრო და უფრო მატულობს ტუბერკულიოზით დაავადებულთა რიცხვი. ყოველწლიურად აღრიცხვაზე აყავთ დაახლოებით 12.000 კაცი, რომელთაც ჭლექის პირველი სტადია აქვთ. ავადმყოფთა ამ რაოდენობიდან უმრავლესობას შეადგენს მუშები და მუშა-ქალები. მიუხედავათ ტუბერკულიოზის ასეთი გავრცელებისა, თბილისში საქმე ისე ვერ არის მოწყობილი, რომ შესაძლო გახდეს ტუბერკულიოზით ახლად დაავადებულთა სტაციონალური მკურნალობა. ამ ნაკლის აღმოსაფხვრელად მომხსენებელს საჭიროდ მიაჩნია ეხლავე იქნეს გამოყოფილი 30 საწოლი ტუბერკულიოზიანებისათვის, აქედან — 20 ქალაქის 1-ლ საავადმყოფოში და 10—1-ლ კლინიკურ ინსტიტუტში.

ტუბერკულიოზთან ბრძოლის რაციონალიზაციისათვის მომხსენებელი საჭიროდ სცნობს რომ ქალაქის ორი ტუბდისპანსერი გაერთიანებულ იქნეს ერთ ცენტრალურ დისპანსერათ, რომელიც შემდეგ გადაკეთებული იქნება ტუბერკულიოზის შემსწავლელ ინსტიტუტად. ცენტრალური დისპანსერი პრაქტიკულ და მეცნიერულ ხელმძღვანელობას გაუწევს ტუბერკულიოზთან მებრძოლ სამკურნალო ქსელს. ხუთ ადგილას ქალაქში ამბულატორიებთან უნდა მოეწყოს ტუბერკულიოზთან მებრძოლი კაბინეტები.

გარდა ამისა უნდა გაიხსნას ღამის სანატორიუმი 25-30 საწოლით, სადაც დაახლოებით თითო თვის ვადით იქნებიან მოთავსებული წარმოებებში მომუშავე ავადმყოფები. ღამის სანატორიუმში მოთავსებული ავადმყოფები დღით იქნებიან სამუშაოზე, ხოლო დანარჩენ დროს გაატარებენ სანატორიუმში. ამას გარდა [illegible] მოეწყოს ერთი საბავშვო სანატორიუმი მოზარდ ტუბერკულიოზიანთათვის.

აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ თათბირმა საჭიროდ აღიარა ტუბერკულიოზთან ბრძოლის საქმის სასწრაფოდ რეორგანიზაცია. თათბირმა საჭიროდ სცნო უახლოეს ხანში ჩატარდეს ქალაქის ორივე დისპანსერის გაერთიანება ერთ ცენტრალურ დისპანსერათ, რომელსაც უნდა დაევალოს მუშაობა თბილისის მაზრის სოფლებშიც.

გარდა ამისა დაუყონებლივ უნდა იქნეს დაწყებული მუშაობა ამბულატორიებთან ტუბ. კაბინეტების გასახსნელათ და ღამის სანატორიუმის მოსაწყობათ. საჭიროთაა აგრეთვე აღიარებული ცენტრალური და რაიონული სოციალური დახმარების საბჭოების მოწყობა.

ამერიკელი მეცნიერი საბჭოთა კავშირის შესახებ

თბილისიდან ბათომში გაემგზავრა ნიუ-იორკის საბუნებისმეტყველო - ისტორიულ მეცნიერებათა მუზეუმის ზოოლოგიურ განყოფილების დირექტორი პროფესორი **მორდეი**.

თბილისში პროფ. მორდეი გაეცნო თბილისის ზოოლოგიურ მუზეუმს და მოლაპარაკებას აწარმოებდა მუზეუმის ადმინისტრაციასთან ამიერ-კავკასიის ფაუნის წარმომადგენლების მიღების შესახებ ამერიკის მუზეუმებისათვის.

გამგზავრების წინ პროფ. მორდეიმ ჩვენს თანამშრომელს აცნობა, რომ მომავალ ზაფხულზე ამერიკის მეცნიერებს განზრახული აქვთ დიდი ზოოლოგიური ექსპედიციის მოწყობა მისი ხელმძღვანელობით თურქესტანში, ალტაიზე და ციმბირში.

შეეხო რა საბჭოთა კავშირში მიღებულ შთაბეჭდილებებს, პროფ. მორდეიმ აღნიშნა, რომ საბჭოთა სამეცნიერო დაწესებულებებს დიდი მიღწევები აქვთ თავიანთ მუშაობაში. ამერიკის სამეცნიერო ცხოვრების დიდ ნაკლს წარმოადგენს ის გარემოება, რომ ამერიკა კარგათ ვერ იცნობს საბჭოთა კავშირს. მაგრამ ეს ეკუთვნის ამერიკის არა მარტო სამეცნიერო ორგანიზაციებს, არამედ ყველა დანარჩენ ორგანიზაციებს, საზოგადოებრივ დაწესებულებებს და სხვ. უნდა ვიფიქროთ, რომ ახლო მომავალში ამერიკა-საბჭოთა კავშირის დამოკიდებულება მოგვარებული იქნება.

შემოდგომის თესვა

რესპუბლიკანური კომისიის სხდომა

გუშინ შესდგა შემოდგომის თესვის კამპანიის ჩამტარებელ რესპუბლიკანურ კომისიის სხდომა, რომელზედაც მოსმენილ იქნა ამხ. **გოგიტიძის** მოხსენება თესლის დამზადების შესახებ. მოხსენებიდან გამოირკვა, რომ რესპუბლიკანურ კომისიის თესლის დამზადების გეგმა შესრულებულია 5.000 ფუთის გამოკლებით. დანაკლისი 5.000 ფუთი თესლი ამ დღეებში იქნება მიღებული აზერბეიჯანიდან. მიღებული თესლი უკვე განაწილებულია ავტონომიურ რესპუბლიკებსა და მაზრების შორის. მოხსენება კომისიამ მიიღო ცნობად, რის შემდეგ დაადგინა ადგილებზე თესვის კამპანიის მიმდინარეობის შესასწავლად გაგზავნოს: ბორჩალოს მაზრაში — **ცაგარელი**, კახეთში — **გონაშვილი**, გორში — **სამადაშვილი**, თბილისის მაზრაში —**ადიკაშვილი**.

შემდეგ კომისიამ განიხილა თესლის სესხად გაცემის საკითხი და დაადგინა იმ გლეხებიდან, რომლებსაც თესლი მიეცა სესხად, სესხი აკრეფილ იქნეს მოსავლის მოწევიდან ერთი თვის განმავლობაში.

ბორჩალოს მაზრას ნება მიეცა თესლი შეიძინოს აზერბეიჯანში და ჩრდილოეთ კავკასიაში.

კომისიამ დაადგინა ზემო ავჭალის სამელიორაციო ამხანაგობას სესხად მისცეს ერთი ვაგონი თესლი. ბაკურიანის თემს სესხად ეძლევა 900 ფუთი სათესლე მასალა.

დასასრულ კომისიამ მოისმინა ამხ. **რონინიშვილის** მოხსენება გაზაფხულის თესვის კამპანიისათვის მზადების შესახებ. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საჭიროა ამ თავითვე დაიწყოს შესაფერი მუშაობა გაზაფხულის თესვის კამპანიის წარმატებით ჩასატარებლად. მომხსენებელს საჭიროდ მიაჩნია ყოველგვარ დეფექტების თავიდან აცილების მიზნით გაზაფხულის თესვის კამპანიის ჩატარების გეგმის შედგენა დაიწყოს ეხლავე.

მოხსენების მოსმენის შემდეგ კომისიამ დაადგინა გაზაფხულის თესვის კამპანიის ჩასატარებლად თადარიგს და მოსამზადებელ მუშაობას შეუდგეს ამ თვის ბოლო რიცხვებიდან.

კავკასიის წითელდროშოვან არმიის ახალი სარდალი

საბჭოთა კავშირის სამხედრო-რევოლიუციონური საბჭოს ბრძანებით, კავკ. წით.-დრ. არმიის სარდალი ამხ. ლევანდოვსკი განთავისუფლებულია თანამდებობიდან და დანიშნულია წითელი არმიის მთავარ სამმართველოს უფროსად.

ამავე ბრძანებით კავკასიის წითელ-დროშოვანი არმიის სარდლად დანიშნულია შუა აზიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი ამხ. ქ. ა. ავქსენტიევსკი.

ამხ. ქ. ა. ავქსენტიევსკი ყოფილი სოფლის მასწავლებელია, სამხედრო განათლება მიიღო ვლადიმირის ქვეითი სამხედრო სკოლაში.

ამხ. ავქსენტიევსკი საკ. კ. პ. (ბ) წევრია 1917 წლიდან. სამოქალაქო ომის დროს ღებულობდა უახლოეს მონაწილეობას ბრძოლებში ურალის ყაზახების წინააღმდეგ, იგი ამ დროს სარდლობდა მე-4 არმიას. შემდეგ ამხ. ავქსენტიევსკი იყო 1-ლი და მე-2 არმიების სარდლად. 1920 წელს ხელმძღვანელობდა სამხედრო ოპერაციებს საპოჟკოვის ამბოხების ჩასაქრობად.

ამხ. ავქსენტიევსკიმ ჩაატარა დიდი მუშაობა შორეულ აღმოსავლეთის რესპუბლიკის სამხედრო ძალების მოსაწყობად. აქ მას ეკავა სამხედრო საბჭოს თავმჯდომარის ადგილი, შემდეგ კი იგი იყო ამ რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალების მთავარი სარდალი. ამის შემდეგ ამხ. ავქსენტიევსკი დაინიშნა უკრაინის სამხედრო ოლქის სარდლის თანაშემწედ. კავკასიის წითელ-დროშოვან არმიის სარდლად დანიშვნამდე ამხ. ავქსენტიევსკი იყო შუა აზიის სამხედრო ოლქის ჯარების უფროსად.

ბრძოლებში დამსახურებისათვის ამხ. ავქსენტიევსკი საკავშირო ცაკის მიერ დაჯილდოვებულია წითელი დროშის ორი ორდენით, ოქროს პორტსიგარით და ოქროს საათით.

ა.-კ. თავდაცვა-ავიაქიმის მდივნების თათბირი

მესამე დღე

თათბირის მესამე დღის დილის სხდომაზე მოსმენილ იქნა ამხ. გ. სირაძის მოხსენება ძირეულ აქტივთან მუშაობის შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მუშაობა თავდაცვა-ავიაქიმის ძირეულ უჯრედებში არ არის დაყენებული დამაკმაყოფილებლად. უჯრედების გამოკვლევამ ცხადჰყო ის გარემოება, რომ უჯრედების დიდი ნაწილი არ აწარმოებს არავითარ მუშაობას, არ ეწყობა უჯრედების წევრების საერთო კრებები, უჯრედის ბიურო იკრიბება არარეგულიარულად, ბიუროს და უჯრედის მდივნების მუშაობა განისაზღვრება მხოლოდ საწევრო ანარიცხების შეგროვებით.

თავდაცვა-ავიაქიმს არ მოეპოვება ისეთი აქტივი, რომელიც შესძლებს გაუძღვეს უჯრედების მუშაობას.

მომხსენებლის აზრით, აქტივის შესაქმნელად გამოყენებული უნდა იქნენ: წრეების წევრები, თადარიგის მეთაურნი, მოსწავლენი და მუშა-ახალგაზრდობა, მშრომელი ქალები და ინტელიგენცია. სოფლად ძირეულ აქტივში ჩაბმული უნდა იქნენ შვებულებაში მყოფი არმიელნი და ადგილობრივი მშრომელი ინტელიგენცია (აგრონომი, ექიმი, ბიბლიოთეკარი, მასწავლებელი).

დიდი ყურადღება უნდა მიექცეს აქტივის გამომჟღავნება-აღრიცხვას და აქტიური წევრების დატვირთვას სხვადასხვა დავალებებით. საჭიროა დროგამოშვებით ეწყობოდეს აქტივის თათბირები მაზრის, ქალაქის და რაიონის ფარგლებში, რომლებზედაც გაკეთებულ უნდა იქნეს მოხსენებები აქტივისათვის საინტერესო თემებზე.

რადგან უაღრესად საჭიროა აქტივის კვალიფიკაციის ამაღლება, ამიტომ ჩამოყალიბებული უნდა იქნეს ძირეული აქტივის მოსამზადებელი სპეციალური კურსები.

ამხ. სირაძის მოხსენების შემდეგ მოსმენილ იქნა ამხ. **შჩერბიცკის** მოხსენება საჰაერო ქიმიური თავდაცვის საქმის მდგომარეობის შესახებ.

მომხსენებლის მიერ აღნიშნული იყო, რომ საჰაერო-ქიმიური თავდაცვის საქმე ამიერკავკასიაში საგრძნობლად გაუმჯობესდა. მშრომელთა ფართო მასები იჩენენ დიდ ინტერესს ამ საქმისადმი, რასაც მოწმობს ბაქოს საჰაერო-ქიმიური მანევრების და თბილისის საცდელ მობილიზაციის ჩატარება.

მომავალში საჭიროა, რომ ეს საქმე იქნეს გაძლიერებული. ყურადღება უნდა მიექცეს საჰაერო-ქიმიური თავდაცვის საქმის ინსტრუქტორების მომზადებას, ქიმიური რაზმების და ქიმიური წრეების შექმნას.

ქალაქად ხშირად უნდა ეწყობოდეს ქიმიური განგაში და ინსცენიროვკები, ფართოდ უნდა იქნეს წარმოებული „ქიმიური ნათლობა“— მოქალაქეების გატარება შხამიან გაზებით სავსე კამერებში.

ქალაქად და სოფლად აუცილებლად უნდა მოეწყოს თავშესაფარები შხამიან გაზებისაგან, აგრეთვე ყურადღება უნდა მიექცეს მოსახლეობის მომარაგებას გაზების საწინააღმდეგო ნიღაბებით.

ამხ. სირაძის და შჩერბიცკის მოხსენებების ირგვლივ გაიმართა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო 15 ამხანაგმა.

თათბირის საღამოს სხდომაზე მოსმენილ იქნა ამხ. **ხაჭაპურიძის** მოხსენება თავდაცვა-ავიაქიმის მუშაობის შესახებ სასოფლო-მეურნეობისათვის დახმარების გაწევის ხაზით.

თავდაცვა-ავიაქიმმა—ამბობს მომხსენებელი,—ხელი უნდა შეუწყოს ჩვენი ქვეყნის ქიმიზაციას და მექანიზაციას. ყურადღება უნდა მიექცეს ქიმიური მრეწველობის განვითარებას და ბრძოლას მეურნეობის მავნებლებთან.

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ ამ დარგში ჯერ-ჯერობით ცოტაა გაკეთებული. საჭიროა რომ ამ მხრივ გაძლიერებულ იქნეს მუშაობა. ამ საქმეში ჩაბმული უნდა იქნენ მიწადმოქმედების კომისარიატი, კოოპერატიული ორგანიზაციები და სხვა.

სკოლებთან დაარსებულ უნდა იქნენ წრეები, რომლებშიაც შეისწავლიან ბრძოლას მეურნეობის მავნებლებთან და რომლებიც გაავრცელებენ სოფლად ცოდნას ქიმიური საშუალებების გამოყენების შესახებ მეურნეობაში.

ავიაქიმმა ყურადღება უნდა მიაქციოს ხელოვნური სასუქის ფართოდ გავრცელებას გლეხობაში.

ამავე სხდომაზე ამხ. ევოიანის მიერ გაკეთებულ იქნა მოხსენება ფინანსიური საკითხების შესახებ.

სრულიად საკავშირო თათბირი ნოხ-ხალიჩების წარმოების შესახებ

გუშინ პროფსაბჭოს დიდ დარბაზში გაიხსნა სრ. საკავშირო შინა სამრეწველო კოოპერაციის წარმომადგენელთა თათბირი ნოხ ხალიჩების წარმოების შესახებ. თათბირს ესწრებიან უკრაინის, ამიერ-კავკასიის, დაღესტანის, თურქმენისტანის, ყაზახსტანის კოოპერატიულ ორგანიზაციების, საბჭოთა კავშირის ვაჭრობის სახკომისარიატის, სრულიად საკავშირო სამრეწველო კოოპერატიულ კავშირის, საბჭ. კავშ. ს. მ. უ. ს. და ცალკე რესპუბლიკების ს. მ. უ. ს. საბჭოების წარმომადგენლები. თათბირი მოწვეულია საბჭ. კავშ. შინასამრეწველო კოოპერაციის სადელეგატო კრების თაოსნობით.

თათბირმა მიიღო შემდეგი დღის წესრიგი: მოხსენებები ნოხ-ხალიჩების მწარმოებელთა კოოპერატიული გაერთიანების, მათთვის ნედლეულის მომარაგების და ფინანსების მიწოდების შესახებ: მოხსენებები ნოხ-ხალიჩების წარმოების ხარისხისა და ტეხნიკის გაუმჯობესების, წარმოებაში კაპიტალური თანხების დაბანდების, ნოხ-ხალიჩების სარეწაოების მოწყობის შესახებ და უცხოეთის ბაზარზე ნოხ-ხალიჩების რეალიზაციის საკითხის მოგვარების შესახებ.

ამხ. ენბაევის მოხსენება.

თათბირი გახსნა ამხ. ენბაევმა, რომელმაც შემდეგი განაცხადა:

ნოხ-ხალიჩების წარმოებას მისდევენ უმთავრესად საბჭოთა კავშირის განაპირა კუთხეებში მცხოვრები ქალები. ფეიქარ ქალთა კოოპერატიულად შეკავშირებას, განსაკუთრებით აღმოსავლეთით მდებარე საბჭოთა რესპუბლიკებში,—უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმ მხრივ, რომ ქალთა კოოპერატიული გაერთიანება ნიშნავს დიდ კულტურულ მუშაობის გაშლას აღმოსავლეთის მშრომელ ქალთა შორის, გარდა ამისა, განცალკევებულ შინამრეწველ არტელების კოოპერატიულ შეკავშირებას ამ დარგში იმ მხრივაც აქვს დიდი მნიშვნელობა, რომ მთელ რიგ კუთხეებში ნოხ-ხალიჩების წარმოება გლეხთა უღარიბეს ფენებისათვის არსებობის ერთად ერთი წყაროა. ამას უნდა დაუმატოთ ისიც, რომ ნოხ-ხალიჩების წარმოებას დიდი საექსპორტო მნიშვნელობა აქვს. თუ წარმოების ეს დარგი გაერთიანებული იქნება კოოპერატიულად,— მაშინ შეიძლება ამ დარგის განცალკევებულ შინამრეწველთა ჩაბმა სოციალისტურ მეურნეობის მშენებლობაში.

ნოხ-ხალიჩების წარმოების ორგანიზაციული საკითხები.

შემდეგ მოსმენილი იქნა რამოდენიმე მოხსენება ნოხ-ხალიჩების წარმოების ორგანიზაციულ საკითხებზე. მოხსენებებს წინ უძღვოდა წარმოების ამ დარგის საერთო მდგომარეობის დახასიათება. 1927—28 წელს საბჭ. კავშირში ნოხ-ხალიჩების წარმოებას მისდევდა 64 ათასი კაცი. აქედან თურქმენისტანში 22.500, აზერბეიჯანში—16.000 კაცი. ამავე წელს მარტო აზერბეიჯანის მწარმოებელთა პროდუქცია შეადგენდა 4.000.0000 მანეთს. 1928—29 წლისათვის განზრახულია მწარმოებელთა რიცხვის გადიდება 70.000 კაცამდე. ხოლო ხუთწლიანი გეგმით 100.000 კაცამდე. 1927—28 წელს კოოპერატიულად გაერთიანებული იყო 18.460 კაცი, ე. ი. მწარმოებელთა რიცხვის 28 პროცენტი. მიმდინარე სამეურნეო წლისათვის გათვალისწინებულია 25.000 მწარმოებლის ე. ი. 36 პროცენტის კოოპერატიულად შეკავშირება. კოოპერატიული შეკავშირება უმთავრესად იწარმოებს მიმწოდებელ-გამსაღებელ ოპერაციების გარშემო. კოოპერატიული კავშირები მწარმოებლებს მიაწვდიან მატყლს, საღებავებს და სადაც შესაძლებელია მოაწყობენ სამღებროებს და საფეიქრო სახელოსნოებს. თვით შინა სამრეწველო კოოპერატიულ სისტემაში შინა-მრეწველობის ამ დარგისათვის უნდა შეიქმნეს სექცია. სექციები უნდა მოეწყოს, როგორც სრულიად საკავშირო შინასამრეწველო კოოპერატიულ კავშირთან, ისე რესპუბლიკანურ ცენტრებთან. იმ მიზნით, რომ ნოხ-ხალიჩების მწარმოებელნი განთავისუფლდენ კერძო შემსყიდველის ექსპლოატაციისაგან, კოოპერატიულ კავშირებმა უნდა იკისრონ მწარმოებლებისათვის არა მარტო ნედლეულის, არამედ დეფიციტიანი საქონლის მიწოდებაც. ამავე დროს იმავე ორგანიზაციებს ადგილებზე უნდა [illegible] ნედლეულის დამზადების უფლება. დამზადება და მიწოდება უნდა სწარმოებდეს ერთი წლით ადრე, ვიდრე მწარმოებელნი ამ დამზადებულ ნედლეულის დამუშავებას შეუდგებოდენ. ნედლეულის თავის დროზე დამზადებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ნაწარმოების ხარისხის გაუმჯობესებისათვის. უდიდესი ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას. უნდა მოეწყოს ნოხ-ხალიჩების გამოფენა, გაიხსნას პროფტეხნიკური კურსები, [illegible] კურსები და სხვა.

შემდეგ მოსმენილ იქნა კიდევ რამოდენიმე მოხსენება ნოხ-ხალიჩების წარმოებისათვის ნედლეულისა და ფინანსების მიწოდების შესახებ.

მორიგი გაწვევა წითელ ჯარში

დაიწყო კენჭის ამოღება წითელი ჯარის რიგებში გაწვეულ ახალგაზრდების მიერ.

თბილისის სამხედრო კომისარიატის შესაკრებ პუნქტის ეზოში დილიდანვე მრავლად გამოცხადდენ ის გაწვეული ახალგაზრდები, რომლებსაც ეხებოდათ კენჭის ამოღება.

თბილისელებს გარდა ჩამოვიდნენ გლეხი ახალგაზრდები ახლო-მახლო სოფლებიდან.

აივანზე, ფართო მაგიდაზე, რომელსაც გარს შემოსხდომიან კომისიის წევრები და წითელი ჯარის ნაწილების წარმომადგენლები, დგას ბილეთებით სავსე ურნა.

ჯარში გაწვეულნი რიგ-რიგობით უახლოვდებიან ურნას და იღებენ ბილეთებს.

ამოღებულ ბილეთს ამოწმებს კომისია და, მას, ვისაც ხვდება წილად ჯარში გაწვევა, ნიშნავენ სათანადო ნაწილში.

ის გაწვეული ახალგაზრდები, რომლებსაც კენჭი არ ხვდებათ, სამხედრო ბეგარას მოიხდიან გარეშე მომზადების წესით.

კენჭის ამოღება პირველად სწარმოებს საქართველოში. ეს გამოწვეულია იმით რომ გაწვეულთა რიცხვი აღემატება იმ მოთხოვნილებას, რომელიც წარმოადგინეს ჯარის ნაწილებმა.

—:—

1906 წელში დაბადებული ახალგაზრდები, დანიშნულნი სამსახურის გასავლელად წითელი ჯარის რიგებში, კენჭის ამოღების შემდეგ გაშვებულ იქნებიან შვებულებაში ორი კვირით შინაური საქმეების მოსაწესრიგებლად.

ორი კვირის შემდეგ დაიწყება გაწვეულთა გაგზავნა ნაწილებში.

დღიდან ჩარიცხვისა წითელი ჯარის რიგებში, გაწვეულებს მიეკუთვნათ წითელი მებრძოლის სახელწოდება და ისინი უკვე სარგებლობენ ყველა უფლებებით და უპირატესობებით, რომლებიც მინიჭებული აქვთ წითელ-არმიელებს.

კენჭის ამოღება თბილისის შესაკრებ პუნქტზე

ქრონიკა

მოქალაქეთა საყურადღებოდ

ქალაქის კომენდანტი აცხადებს თბილისის და მისი მიდამოების მცხოვრებთა საყურადღებოდ, რომ 30 და 31 ოქტომბერს აველაბრის ჩრდილოეთ-დასავლეთით იწარმოებს სავარჯიშო სროლა.

1.153 კაცის გაგზავნა საზამთრო კურორტებზე

შემოდგომისა და ზამთრის სეზონების განმავლობაში ამიერ-კავკასიის საზამთრო კურორტებზე გაგზავნილი იქნება სულ 1.153 დაზღვეული [illegible] საქართველოს მიეცა 8 ადგილი, აზერბეიჯანს—597 და სომხეთს—83. სათადარიგოთ შენახულია 35 ადგილი.

გამოყენებითი მინერალოგიის ინსტიტუტი ამიერ-კავკასიაში

ამიერ-კავკასიის საგეგმო კომისიამ პრინციპიალურად სასურველად სცნო დაარსებულ იქნეს ამიერ-კავკასიაში (თბილისში) ფერადი მეტალურგიის და გამოყენებითი მინერალოგიის ინსტიტუტის განყოფილება, რომელიც ა.-კ. ს. მ. უ. საბჭოს დაარსებამდე უნდა დაემორჩილოს ა.-კ. სახკომსაბჭოს. ინსტიტუტის სამუშაოების პროგრამაში შედის მინერალური და სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის დამზადების და გადამუშავების საკითხების შესწავლა. დებულება ინსტიტუტის შესახებ დასამტკიცებლად წარედგინა ა.-კ. სახკომსაბჭოს.

სას.-სამ. პროდუქტების დამზადება 1928-29 წელში

ა.-კ. საგეგმო კომისიამ განიხილა ა.-კ. ვაჭრობის სახ. კომისარიატის მიერ შედგენილი სას.-სამეურნეო პროდუქტების დამზადების გეგმა 1928-29 წლისათვის და დაამტკიცა იგი 58.245.400 მანეთის რაოდენობით, მათ შორის: მცენარეულობის დარგში — 40.963.500 მანეთი, მესაქონლეობის — 16.539.000 მან. და დანარჩენ დარგებში — 743.900 მანეთი.

ნედლეულის დამზადებისათვის ფინანსების მიწოდების გეგმა დამტკიცებულია 57.900.000 მანეთის რაოდენობით.

საფილოქსერო თათბირი

10 დეკემბერს თბილისში გაიხსნება საკავშირო სამეცნიერო თათბირი ფილოქსერის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ. თათბირი განიხილავს შემდეგ საკითხებს: 1) რესპუბლიკანურ მიწად - მოქმედების კომისარიატებისა და სათანადო ორგანიზაციების მოხსენებები ფილოქსერასთან ბრძოლის შედეგების შესახებ; 2) საზღვარგარეთ ფილოქსერის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხების მდგომარეობა და მეთოდები; 3) ფილოქსერის საწინააღმდეგო ღონისძიებების გამომუშავება; 4) სანერგეები და მევენახეთა ნამყენებით მომარაგების ორგანიზაცია; 5) ნამყენების კერძო დამმზადებელთა როლი მევენახეობის აღდგენის საქმეში.

საავტომობილო მიმოსვლის განახლება

18 ოქტომბრიდან განახლდა საავტომობილო მიმოსვლა ახალ-სენაკისა და სოხუმს შუა.

სხვადასხვა

◆ **ინჟინერ-ტეხნიკოსთა კრება.** ინჟინერ-ტეხნიკოსთა საერთო-საქალაქო კრება შესდგება დღეს, საღამოს 7 ს. მუშათა სასახლის ახალ დარბაზში.

◆ **თბ. ქართველ ექიმთა და ბუნებისმეტყველთა** საზოგადოებაში დღეს, საღამოს 8 ს. შესდგება საზოგადოების წლიური სხდომა. მოხსენებებს წაიკითხავენ: პროფ. ალადაშვილი—„ქართველ ექიმთა და კავკასიის სამკურნალო საზოგადოებათა გაერთიანების მუშაობის მიმდინარეობის საკითხი“; ლ. ახლანიშვილი—„საზოგადოების საანგარიშო წლის მუშაობა“. პრივატდოცენტი ალ. წულუკიძე—„საზ-ბის ფინანსიური ანგარიში“. სარევიზიო კომისიის მოხსენება. არჩევნები.

◆ **უმუშევართა კრება.** შაბათს, 27 ოქტომბერს, დილის 10 ს. მშენებელთა კავშირში მოწვეულია კავშირის უმუშევარ წევრთა საერთო კრება.

◆ **ოქტომბრის რევოლიუციის 11 წლის** თავის აღსანიშნავად 25 ოქტომბერს საქ. სარევოლიუციო მუზეუმში გაიხსნება სპეციალური გამოფენა. გამოფენა ღია იქნება საღამოს 5—8 საათ.

◆ **დაზღვევა.** „მწყემსმა“ შუამდგომლობა აღძრა სახელმწიფო დაზღვევის სამმართველოს წინაშე 60 ათასი სული ცხვარის დაზღვევის შესახებ.

◆ **სატყეო ტეხნიკუმი.** ყვარელში წელს იხსნება სატყეო ტეხნიკუმი. მისაღები გამოცდა დაიწყება 30 ოქტომბერს.

◆ **ჩაუბარებელი დეპეშები.** ალავერდიდან—ავაკიმიანს, სარატოვიდან—რუდინოვს, ცხინვალიდან—ბაბილოვს, ბორჯომიდან—გრუნინს.

—:—

შემთხვევები

დაჯახება

23 ოქტომბერს პლეხანოვის პროსპექტზე რეუტოვის ქუჩიდან მომავალ ავტომობილს, რომელსაც მართავდა შოფერი ლევან [illegible] ტრამვაის ვაგონი. ადამიანის მსხვერპლი არ ყოფილა. ვატმანი გერასიმე [illegible] დაპატიმრებულია.

შეპყრობა

23 ოქტომბერს სხვადასხვა ბოროტმოქმედებისათვის დააპატიმრეს ანდრონიკ ისაკის ძე აზარიანი და ზურაბ ვასილის ძე ჩაბოიანცი (უბინაონი); — შეიპყრეს ალექსანდრე ვასილის ძე მაჭარაშვილი, რომელმაც ტიგრან შახნაზაროვს ჯიბიდან ამოაცალა 31 მ., 23 ოქტომბერს ჯიბგირობისათვის დააპატიმრეს სურენ ელის ძე მანუკოვი; — მუშკოოპის პასაჟში შეიპყრეს ალექსანდრა იოსების ასული პატულიანი, რომელმაც ვალერიან ჩაჩხიანს ამოართვა ფული; — შეიპყრეს ქურდები: იოსებ რაინგერდი და გიორგი ჩიჩიოშვილი; — ჯიბგირობისათვის შეიპყრეს სურენ იგივე ალექსანდრე სერგოს ძე არუთინოვი.

ქურდობა

23 ოქტომბერს მარო გორდაძის ბინიდან (საბურთალოში) მოიპარეს 500 მანეთის ნივთები; — მორგებული გასაღების საშუალებით გაქურდეს ქსენია გურამიშვილის ბინა (ლომინაძის ქ. № 25) — წაიღეს 100 მანეთის ნივთები;—გაქურდეს ალექსანდრე გუმბერიძის ბინა (უნივერსიტეტის ქ. № 18), წაღებულია 125 [illegible] სხვა ნივთები; — გაქურდეს ანგელინა პეიშვილის ბინა (სასახლის ქ. № 5).

პროფ. სამოილოვიჩი და ჩუხნოვსკი ჩამოვლენ თბილისში

რადგან პროფ. **სამოილოვიჩის** და მფრინავ **ჩუხნოვსკის** მოგზაურობის გეგმაში ამიერ-კავკასია არ იყო შეტანილი, ამიტომ საქ. თავდაცვა-ავიაქიმმა მიმართა თხოვნით საკავშირო თავდაცვა-ავიაქიმს, რათა „კრასინი“-ს ექსპედიციის მონაწილენი ეწვიონ თბილისს. გუშინ საქ. თავდაცვა-ავიაქიმმა მიიღო დეპეშა საკავშირო თავდაცვა-ავიაქიმისაგან, რომლითაც ეს უკანასკნელი იტყობინება, რომ პროფ. სამოილოვიჩი და ჩუხნოვსკი ეწვევიან თბილისს და ამიერ-კავკასიის სხვა ქალაქებს.

თბილისში პროფ. სამოილოვიჩი და ჩუხნოვსკი გააკეთებენ საჯარო მოხსენებებს „კრასინი“-ს ექსპედიციის შესახებ. ასეთივე მოხსენებები გაკეთებული იქნება უფასოდ თავდაცვა-ავიაქიმის წევრებისათვის.

ორთქლმავალთა შემკეთებელ ქარხნის ახალი დირექტორი



ამხ. კ. სულავა

—:—

ა. კ. რკ. გზის გამგეობის დადგენილებით, ამხ. სტალინის სახელობის ორთქლმავალთა შემკეთებელ ქარხნის (ყოფ. მთავარი სახელოსნო) დირექტორად დაინიშნა ამხ. კირილე სულავა.

ამხ. სულავა არის ღარიბი გლეხის შვილი. 1906 წელს იგი მოეწყო რკ. გზის მთავარ სახელოსნოში ზეინკლის მოწაფეთ. ამავე დროს, ჯერ კიდევ გამოუცდელი ახალგაზრდა კირილე, ებმება პოლიტიკურ მუშაობაში და უფროსი ამხანაგების ხელმძღვანელობით სასტიკ ბრძოლას აწარმოებს თვითმპყრობელურ ჟანდარმერიის წინააღმდეგ. 1917 წლის რევოლიუციის შემდეგ ამხ. კირილე ემხრობა კომუნისტურ პარტიას და სასტიკად ებრძვის მენშევიკების გამყიდველ პოლიტიკას. ამისათვის ამხ. სულავა გადასახლებული იყო საქართველოს საზღვრებიდან.

გასაბჭოების შემდეგ ამხ. სულავა ასრულებს სხვადასხვა საპასუხისმგებლო მოვალეობას. უკანასკნელად იგი რკ. გზელ მუშების მიერ არჩეული იყო რკ. გზელთა პროფკავშირის თბილისის საუბნო კომიტეტის თავმჯდომარეთ, სადაც ერთგულად და პირნათლად ასრულებდა მუშების მიერ დაკისრებულ მოვალეობას. რკ. გზელ მუშებს იმედი აქვთ, ამხ. კირილე ჩვეულებრივი ენერგიით შეუდგება ახალ მოვალეობის შესრულებას.

კ—ი.

ფართლეულის ბაზრის მოწესრიგება

ფართლეულის ბაზრის მოწესრიგების შესახებ თბილისის აღმასკომის შინა-ვაჭრობის განყოფილების გამგემ ამხ. გ. ლასკარმა განაცხადა შემდეგი:

უკანასკნელ ხანებში შემჩნეული იქნა, რომ კერძო სავაჭროებში იყიდება სეზონის ისეთი ფართლეულობა, რომელიც მოიპოება მხოლოდ კოოპერატიულ და სახელმწიფო სავაჭროებში, ა.-კ. ვაჭრობის კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს დადგენილებით კი კერძო ვაჭრებს დიდ ხანია აღარ ეძლევა დეფიციტიანი საქონელი გასასაღებლად. იმის გამოსარკვევად თუ კერძო ვაჭრები საიდან იძენენ ამა თუ იმ ხარისხის ქსოვილს, იმავე კომისარიატის დადგენილებით კერძო ვაჭრები ვალდებულნი არიან იქონიონ საქონლის გამცემ ორგანიზაციისაგან მიცემული შესაფერი საბუთები.

ამ დადგენილების ცხოვრებაში გასატარებლად და აგრეთვე იმის გამოსარკვევად თუ რატომ ზოგიერთი დეფექტიანი საქონელი იშოვება კერძო სავაჭროებში და არა კოოპერატიულ-სახელმწიფო სავაჭროებში, თბილისის აღმასკომის შინა-ვაჭრობის განყოფილებამ მოახდინა მოულოდნელი გამოკვლევა.

აღმოჩნდა, რომ კერძო ვაჭრები სხვადასხვა მახინაციებით დეფიციტიან საქონლებს იძენენ ნაწილობრივ კოოპერატიულ და განსაკუთრებით კი საფეიქრო სინდიკატის მაღაზიებიდან. არც ერთ კერძო ვაჭარს არ აღმოაჩნდა იმის საბუთი, თუ საიდან შეიძინა მან დეფიციტიანი საქონელი.

როგორც გამოკვლევამ გამოაშკარავა ისინი დეფიციტიან საქონელს იძენენ კერძო პირებისაგან, ამ უკანასკნელთ კი საქონელი გამოაქვთ კოოპერატიულ და საფეიქრო სინდიკატის მაღაზიებიდან ყალბი საანგარიშო წიგნაკებით. ზოგიერთებს აღმოაჩნდათ 4—5 ყალბი საანგარიშო წიგნაკი, გარდა ამისა ერთდაიმავე წიგნაკში მიღებულ საქონლის შესახებ აღნიშნული ცნობა გადაფხეკილია საქონლის მეორეთ მიღების მიზნით.

ასეთი გზით შეძენილ ფართლეულობას შემდეგ ყიდიან კერძო ვაჭრებზე, რომლებიც 72 კაპეიკიან ფანელს ყიდიან 2 მ. 50 კაპ. მეტრს.

სინდიკატის მაღაზიებიდან გატანილ ფართლეულობის გადაყიდვა სწარმოებს მხითაროვისეულ ქარვასლაში. ამ ქარვასლაში მოვაჭრეს აბრამ იაკუბოვს აღმოაჩნდა 500 მეტრი სხვადასხვა დეფიციტიანი ფართალი, გამოტანილი სინდიკატის მაღაზიებიდან. დეფიციტიანი საქონელი აღმოაჩნდა აგრეთვე ელიშა იაკუბოვს. ამავე ქარვასლაში აღმოჩენილი იქნა 10 შეკვრა დეფიციტიანი საქონელი, რომელსაც პატრონი არ აღმოაჩნდა. მიღებულია ზომები ბოროტმოქმედთა დასასჯელად.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ სანამ სინდიკატების მაღაზიებიდან ფართლის გაცემა იწარმოებს არსებული სისტემით, ფართლის ბაზარზე არანორმალურ მდგომარეობას ყოველთვის ექნება ადგილი. საფეიქრო სინდიკატის მაღაზიებიდან ფართლეულის გაცემა სწარმოებს ზოგჯერ თავისუფლად, უმეტესად კი საანგარიშო წიგნაკების საშუალებით

თბ. აღმასკომის შინა-ვაჭრობის განყოფილება ვაჭრობის კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოსთან ერთად შეუდგა ახალი წესების გამომუშავებას, რომლის მიხედვით იწარმოებს ფართლის გაცემა სინდიკატის მაღაზიებიდან.

ნედლი მასალის მომარაგება

თბილისის მაუდის ფაბრიკისათვის

თბილისის მაუდის ფაბრიკის აგება უკვე მთავრდება. ფაბრიკის მოწყობილობათა დიდი ნაწილი მიღებულია და ამჟამად დაწყებულია საფაბრიკო შენობების შიგნიდან მოწყობა. მომავალი წლის გაზაფხულიდან მუშაობას დაიწყებს ქარხნის ერთი ცეხი—სახელდობრ მატყლის სარეცხი განყოფილება, რომელიც გასწმენდს საქართველოში შეგროვილ მატყლის მთელ რაოდენობას. მომავალი წლის შემოდგომაზე კი ამუშავებულ იქნება ფაბრიკის ყველა ცეხები და დაიწყება ქსოვილების დამზადება. თბილისის მაუდის ფაბრიკა დაამზადებს შევიოტებს და შალეულობის სხვა ძვირფას ქსოვილებს.

სპეციალისტების გამოანგარიშებით, მთელ საქართველოში ყოველწლიურად იკრიბება დაახლოებით 300.000 ფუთი მატყლი. ქართული ჯიშის ცხვრის მატყლიდან მაღალხარისხოვანი შალეულობის დამზადება არ შეიძლება და, საჭირო ხდება ჩვენებურ მატყლში მერინოსის ჯიშის ცხვრის მატყლის გარევა ერთი მესამედის რაოდენობით.

იმ მიზნით, რომ მერინოსის ცხვრის მატყლით უზრუნველყოფილი იქნეს საქართველოს საფეიქრო მრეწველობა, მიწათ-მოქმედების კომისარიატმა თავის 5 წლიან გეგმაში შეიტანა აღნიშნული ჯიშის ცხვრების მოშენების საკითხი. სანამ ჩვენში მერინოსის ჯიშის ცხვარს მოაშენებდენ საკმაო რაოდენობით, საჭირო ხდება მერინოსის მატყლის შემოტანა სხვა ქვეყნებიდან.

დღეს თბილისის მაუდის ფაბრიკის საჭირო ნედლი მასალით უზრუნველყოფის საკითხი დასმულია გასარჩევათ ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმის მორიგ სხდომაზე.

ხელოვნება

მეიერხოლდი და ოქტომბერი ხელოვნებაში

სამშაბათს, 23 ოქტომბერს, პროფსაბჭოს კულტგანყოფილების თაოსნობით მუშათა სასახლის დიდ დარბაზში გაიმართა დისპუტი შემდეგ თემაზე: მეიერხოლდი და ოქტომბერი ხელოვნებაში

ცნობილ რეჟისორ **მეიერხოლდის** ევროპაში გამგზავრებამ აახმაურა საბჭოთა კავშირის მუშათა საზოგადოებრივი აზრი და პრესა. ხელოვნების ზოგიერთი მუშაკები მეიერხოლდის ევროპაში წასვლას მისი თეატრის კრიზისს მიაწერდენ. მათი აზრით, მეიერხოლდმა, როგორც ხელოვანმა რეჟისორმა, ამოსწურა თავისი თავი და შემოქმედებითი ჩიხის წინაშე დადგა. ეს ნიშნავს არა მარტო მის შემოქმედების, არამედ თვით მის მიერ შექმნილი თეატრის აღსასრულს თუ არა, კრიზისს მაინც. ამ დებულების წინააღმდეგ გამოვიდა ამხ. **გიდონი და მთელი წყება ოპონენტებისა (ზ. უდენტი, შ. დუდუჩავა, ოსიპოვი, ხომერიძე** და სხვა.) ამხ. გიდონიმ მეიერხოლდის დიდი შემოქმედებითი ნიჭის, მისი მუდამ ძაძიებელ ბუნების და ნოვატორობის დასამტკიცებლად მიმართა საკმაოდ ვრცელ ისტორიულ ექსკურს. მისი გადმოცემით, მეიერხოლდმა ჯერ კიდევ რეაქციის პერიოდში მოახდინა ძველ თეატრალურ ღირებულებათა გადაფასება და შექმნა საკუთარი თეატრი, რომლის დამახასიათებელი იყო მისტიური ანარქიზმი. მალე ეს თეატრი დაიშალა და მეიერხოლდი შეუდგა ახალი გზების ძიებას. ოქტომბრის რევოლუციამ მეიერხოლდს მოუსწრო ამ ძიების პერიოდში. რევოლუციის სტიქიამ ფართო გასაქანი მისცა მის შემოქმედებას.

დიდი ეკონომიურ-სოციალური გარდატეხა, აფორიაქებული ცხოვრების დაუდგომლობა, მუდმივი მღელვარება-დუღილი შესაფერ ნიადაგს წარმოადგენდა მეიერხოლდისათვის. მართლაც, იგი ქმნის ახალი თეატრის საფუძვლებს. ძველი თეატრის ტრადიციების უარყოფა, დეკორაციების და ბუტაფორიის უკუგდება და მის ნაცვლად: **მოძრაობის ბატონობა** სცენაზე, სისწრაფე, ნივთების ამოძრავება, რიტმი—აი ძირითადი ელემენტები მეიერხოლდის ახალი თეატრისა, რაც ასე ეგუებოდა რევოლუციას, როცა სწრაფ მოქმედებას, ჩქარ მოძრაობას **გადამწყვეტი** მნიშვნელობა აქვს; როცა, შეუძლებელია ხანგრძლივი მზადება წარმოდგენების დასადგმელად, როცა მაყურებელს უხდება წარმოდგენის მოსმენა ბრძოლებსა და ბრძოლებს შუა. მეიერხოლდმა შესძლო რევოლუციის ტემპის შეტანა თავის თეატრში და ამაშია მისი უდიდესი დამსახურება.

შემდეგ, როდესაც სამოქალაქო ომის ქარიშხალი ჩადგა, როცა გაჩაღდა მშვიდობიანი სამეურნეო მშენებლობა; როცა წინანდელ დაუდგომლობა ცხოვრების თანდათანობით განვითარებამ შესცვალა; როცა დაიწყო ახალი ყოფაცხოვრების ჩამოყალიბება,—მეიერხოლდი შეუდგა მუშაობას თავისი თეატრის გარდასაქმნელად ახალ მოთხოვნილებების მიხედვით. თუ მან ამ პერიოდში რამოდენიმეჯერ განიცადა მარცხი, ეს იმდენად მისი ბრალი არ არის, რამდენათაც თვით ჩვენი ცხოვრების, რომელიც ჯერ კიდევ დუღილშია და რომელიც ჯერ კიდევ მწერლობას, კერძოთ დრამატურგიას არ აუსახავს. მეიერხოლდმა ვერ გამონახა თავის თეატრისათვის შესაფერი რეპერტუარი. ამიტომ სცადა მან კლასიკოსებისაკენ დაბრუნება და ზოგ შემთხვევაში ეს ცდა გამარჯვებით დაგვირგვინდა. ეს მიეწერება მის მხატვრულ ხერხებს და დიდ ინტუიციას. კლასიკურ მწერლობაში იგი ეძებდა მას, რასაც დაკარგული არ აქვს ყოველდღიური მნიშვნელობა ჩვენი დროისათვის. თავისებური ხერხებით კლასიკურ პიესებში იგი მხატვრულად გამოყოფდა და ხაზს უსვამდა იმ მომენტებს, რომელთაც ჩვენი დროისათვის აქტუალური მნიშვნელობა აქვს.

მეიერხოლდის თეატრი არის ახალი ფორმების მაძიებელი თეატრი; იგი ექსპერიმენტალური თეატრია. მან ბევრი ახალი რამ შეიტანა თეატრალურ ხელოვნებაში. მის გავლენას ვერ აცდა ვერც ერთი თეატრი. თუ იგი დღესაც კრიზისს განიცდის, ეს არის არა მისი დაავადებით, არამედ ზრდით გამოწვეული კრიზისი.

უდავოა მეიერხოლდმა თეატრალურ ხელოვნებაში გაკაფა ახალი გზა. ამ გზაზე უკვე სდგას მთელი კოლექტივი, რომელსაც შეუძლია წარმატებით განაგრძოს შემოქმედება იმ შემთხვევაშიაც, თუ მეიერხოლდი არ დაბრუნდა. მეიერხოლდის თეატრი უნდა დარჩეს, რომ არ შეწყდეს ბრძოლა ჩვენი თეატრალური ცხოვრების განახლებისათვის.

ასეთი იყო მეიერხოლდის თეატრის დამცველთა აზრი.

ორატორების მეორე ნაწილი უარყოფს მეიერხოლდის თეატრს, როგორც ჩამოყალიბებულ თეატრალურ მიმდინარეობას; როგორც გარკვეული სისტემის, საკუთარ მეთოდების მატარებელ თეატრს. მათი აზრით მეიერხოლდის თეატრი იყო მხოლოდ ექსპერიმენტალური თეატრი, ლაბორატორია, რომელმაც თავის შემოქმედება ამოსწურა ახალი თეატრალურ ფორმების ძიებით და ვერავითარი სისტემა ვერ შექმნა. იგი ემყარება მხოლოდ მეიერხოლდის ნიჭს, რომელსაც ყოველთვის ახასიათებდა მიდრეკილება მისტიურობისაკენ მეიერხოლდი წავიდა,—მისი თეატრიც აღარ არსებობს. იგი იარსებებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი ხელმძღვანელი იქნება ამ თეატრის შემქნელი—მეიერხოლდი ეს იმიტომ, რომ მეიერხოლდს არ დაუტოვებია მემკვიდრეობა, რომელსაც შეუძლია დაეყრდნოს მისი კოლექტივი და განაგრძოს გზა ერთი გარკვეული მიმართულებით.—აი ასეთ დებულებას იცავდა ამხ. **როგოვსკი, ლოგინოვი** და სხვა.

ეს დისპუტი ცოტა არ იყოს დაგვიანებული გამოდგა, რადგან საკითხი იმის შესახებ, იარსებოს თუ არა მეიერხოლდის თეატრმა უკვე გადაწყვეტილია. როგორც ჩვენი გაზეთის მკითხველებმა იციან, საბჭოთა რუსეთის ხელოვნებათა მთავარ სამმართველოს დადგენილებით მეიერხოლდის თეატრს მიეცა დოტაცია და თეატრი მიმდინარე სეზონში განაახლებს თავის მუშაობას.

ვ.

ხელოვნების ქრონიკა

- **ოპერის სეზონი** გაიხსნება 1 ნოემბერს. წარმოდგენილი იქნება „აბესალომ და ეთერი“.
- **მუშათა თეატრის რუსული დრამის** სეზონი გაიხსნება დღეს.
- **რუსთაველის თეატრის** სეზონი გაიხსნება დღეს. წარმოდგენილი იქნება „ანზორი“.
- **სტენდალის ქრონიკები.** გამოვიდა სტენდალის იტალიური ქრონიკები ქართულ ენაზე. თარგმანი **გერონტი ქიქოძის.**

სასამართლო

ქურდები ქეიფობდნენ, უდანაშაულო კაცი კი ისჯებოდა

თბილისის რკინის გზის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორაში 1925 წელს სექტემბერში მოხდა ასეთი ამბავი. დაიკარგა პატარა რკინის სალარო, რომელშიაც იყო 450 მანეთამდე ნაღდი ფული და 800 მანეთის საფოსტო მარკები.

ამ საქმის გამოძიება მოხდა ძალიან ზერელედ. პასუხისგებაში იქნა მიცემულ სალარის გამგე **საზანოვი,** რომელმაც რამდენიმე თვე დაჰყო გამასწორებელ სახლის კამერაში, სათანადო (!) მსჯავრის დადების შემდეგ.

ამ ხნის განმავლობაში თბილისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორაში ფარულად ხდებოდა იმ მარკების გასაღება, რომლებიც რკინის სალაროსთან ერთად გაიტაცა ბოროტმოქმედმა.

დიდი ხნის გასვლის შემდეგ გამოირკვა, რომ ფოსტა-ტელეგრაფის კანტორაში არხეინად მუშაობდნენ ის პირები, რომელთაც გატანილი ჰქონდათ ქურდულად ეს რკინის სალარო.

ხელახალი გამოძიებით დადასტურდა შემდეგი: ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის თანამშრომელს **ირაკლი ბეჟანის ძე ნებიერაშვილს,** რომელსაც ყოველთვის თავისუფლად შეეძლო კანტორის შენობაში შესვლა, უსარგებლნია ამ უფლებით და ერთ კვირა დღეს გაუტანია ის რკინის სალარო, რომლის გულისთვის საზანოვი უდანაშაულოდ იჯდა ციხეში.

ნაღდი ფული 450 მანეთი ნებიერაშვილმა თავის კეთილდღეობას და „ძმა-ბიჭებთან“ ქეიფს მოახმარა: მან ამ ქეიფით და „პურმარილით“ დაიმეგობრა იმავე კანტორის თანამშრომელი (მარკების გამყიდველი) **რომან სოლომონის ძე თუხარელი,** რომელსაც გაანდო ნამუსი და დაავალა ნაქურდალ მარკების გასაღება.

თუხარელი, რომელიც „გამოსარჩენს“ ხედავდა ამ საქმეში, სიამოვნებით დათანხმდა ნებიერაშვილის წინადადებაზე და დაიწყო **ქურდულ მარკების რეალიზაცია.**

შემოსავალს ისინი ძმურად ინაწილებდნენ ერთმანეთს შორის და მშვენივრად ატარებდნენ დროს. თუმცა იცოდნენ, რომ მათ მაგიერ უდანაშაულო წვრილ-ცოლშვილიანი კაცი ისჯებოდა.

მალე, მოეღო ბოლო მათ დროს-ტარებას. ორივე ბოროტმოქმედი დაპატიმრებულ იქნა. საზანოვი დაუყონებლივ განთავისუფლდა.

ნებიერაშვილი და თუხარელი გუშინ გაასამართლა თბილისის სამაზრო სასამართლომ ამხ. **რ. კალანდაძის** თავმჯდომარეობით.

ირაკლი ნებიერაშვილს მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა 2 წლით სასტიკი იზოლიაციით, რომან თუხარელს — 1 წლით და 6 თვით. ორივე მსჯავრდადებულის ქონებას დაადო ყადაღა 1.650 მანეთის ასანაზღაურებლად ფოსტა-ტელეგრაფის კანტორისათვის.

გამფლანგველები

საქ. უზენაეს სასამართლოს საკასაციო საკრებულომ ამხ. **შომახიას** თავმჯდომარეობით გაარჩია **მიხეილ ამირეჯიბის და სილოვან ემუხვარის** საკასაციო საჩივარი სურამის უბნის სახალხო სასამართლოს განაჩენზე.

საქმის შინაარსი ასეთია.

მიხეილ ამირეჯიბი 1927 წ. იანვრიდან ა-წ. მაისამდე მუშაობდა ამიერ-კავკასიის სატრანსპორტო - სამომხმარებლო საზოგადოების ხაშურის სავაჭროს გამგეთ.

გასული წლის სექტემბერში მომხდარმა რევიზიამ ამირეჯიბს აღმოუჩინა გაფლანგული 340 მანეთი. მაგრამ ამირეჯიბმა გამგეობის წევრებს აღუთქვა ამ თანხის სასწრაფოდ დაფარვა და საქმე ამით გათავდა.

ამირეჯიბის ეს დაპირება დაპირებად დარჩა. როცა საქმე გამწვავდა, ამირეჯიბს გვერდში ამოუდგა მისი ხელქვეითი ნოქარი **სილოვან ემუხვარი,** რომელმაც იკისრა ამ თანხის დაფარვაში სოლიდარული პასუხისმგებლობა.

ავად იყო თუ კარგად, ორივემ შეერთებული ძალ-ღონით ეს თანხა დაფარა.

გავიდა დრო. 1928 წლის მაისში ამირეჯიბმა რაღაც მიზეზის გამო თავი დაიჭრა თვით მკვლელობის მიზნით, მაგრამ სიკვდილს გადარჩა.

იმ დღეს, რა დღესაც თვითმკვლელობის განზრახვას ჰქონდა ადგილი, სავაჭრო დაკეტა გამგეობამ და შეუდგა საქონლის აღწერას და ემუხვარისათვის გადაბარებას.

აღწერის დროს სავაჭროში კიდევ აღმოჩნდა გაფლანგული 875 მანეთი.

ამ თანხიდან 130 მანეთი გაფლანგულად დაუმტკიცდა სილოვან ემუხვარს, ხოლო 745 მანეთი მიხეილ ამირეჯიბს. ორივე ბოროტმოქმედი პასუხისგებაში იქნა მიცემული.

სურამის უბნის სახალხო სასამართლომ მიხეილ ამირეჯიბს მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა **1 წლით,** ხოლო სილოვან ემუხვარს **8 თვით.**

უზენაესმა სასამართლომ კანონიერად სცნო სურამის უბნის სასამართლოს განაჩენი დამსჯავრდადებულთა საჩივარი უშედეგოდ დასტოვა.

ვერ.

რკინის გზებზე

450.000 მანეთი საგანმანათლებლო მუშაობისათვის

განათლების ცენტრალურ სამმართველომ მიმდინარე წლის პირველ კვარტალში ა.-კ. რკინის გზელთა შორის საგანმანათლებლო მუშაობის საწარმოებლად გადასდო 444.459 მანეთი. ამ თანხიდან 83.351 მანეთი დაიხარჯება პროფესიონალური განათლების დაწესებულებებზე, 347.249 მან. სოციალური აღზრდის დაწესებულებებზე და 13.859 მან. პოლიტ-განათლების დაწესებულებებზე.

ზედმეტ საათებში მუშაობის წინააღმდეგ

წლიური ანგარიშების შედგენის დროს თითქმის ყოველწლიურად ა.-კ. რკ. გზებზე მიმართავენ ზედმეტ საათებში მუშაობას.

მიმდინარე წელს ზედმეტ საათებში მუშაობის თავიდან ასაცილებლად გზების გამგეობამ წინადადება მისცა ხაზების ადმინისტრაციას, წლიურ ანგარიშების შედგენის დროს გამოიყენონ მხოლოდ არსებული შტატი და არ დაუშვან ზედმეტ საათებში მუშაობა.

შრომის დაცვა

ა.-კ. რკინის გზების 1927 — 28 წლის ხარჯთ - აღრიცხვის მიხედვით გადადებული იყო სპეციალური თანხები ხაზებზე არსებულ ყაზარმების და ნახევარ - ყაზარმების საჭირო ინვენტარით მომარაგებისათვის.

ამჟამად ეს ინვენტარი უკვე შეძენილი და განაწილებულია სალიანდაგო დარგის უბნებს შორის.

სულ განაწილებულია: 562 რკინის საწოლი, 536 ლეიბი, 1072 ზეწარი, 1073 ბალიშის პირი, 536 საბანი, 78 ჩაიდანი, 1910 ალუმინის ჭიქა, ამდენივე ალიუმინის კოვზი და 3320 თეფში.

ამ საქონლის საერთო ღირებულება უდრის 25.000 მანეთს.

ახალი ორთქმავლები

როგორც ა.-კ. რკინის გზების სამმართველოში მიღებულ ცნობიდან ჩანს, გზათა სახალხო კომისარიატს ხარკოვის ორთქმავლების საამშენებლო ქარხნისათვის მიუცია წინადადება ა.-კ. რკინის გზებზე გადმოგზავნოს 12 მძლავრი სერიის ორთქმავალი.

ჭადრაკი

ახალი საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი ბერლინში

11 ოქტომბერს ბერლინში გაიმართა ახალი საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი. ტურნირში მონაწილეობენ: კაპაბლანკა, მარშალი, ნიმცოვიჩი, რეტი, რუბინშტეინი, შპილმანი, ტარრაში და ტარტაკოვერი.

ტურნირს აწყობს გაზეთი „ბერლინერ ტაგებლატ“.

შრომის ბირჟაში

დღეს, 25 ოქტომბერს, თბილისის შრომის ბირჟა სამუშაოზე გზავნის შემდეგ უმუშევრებს:

რკინისგზის მუშათა სექციიდან: გიორგი ტერელაძე, სარა არონშინა, ნიკოლოზ ბიძინაშვილი, სიმონ მაზგიშვილი.

მშენებელ მუშათა სექციიდან: ოგან ტერ-ოგანოვი, ივანე ათაბეგოვი, იოსებ მირზოიანი, გუკას აოუტინოვი.

კვალიფიციურ მუშაკთა სექციიდან: შალვა გერაყანიძე, ვასილ შათირიშვილი, ნიკოლოზ ქავთარაძე, არტემ კაზარიანი, ანტონ რაზმაძე, გიორგი გომელაური, სერგო ურუშაძე, სოკისოვი, ტუტუნჯიანი, კაზაროვი, აბუსერიძე.

მედსექციიდან: ანა ფარიაშვილი, ევტიხი ვადაჭკორია, ბორის სანდლერი, გიორგი ბეროშვილი, შალვა მესხიძე, კონსტ. ენიკოლოპოვი.

შავ მუშათა სექციიდან: მიკირტიჩ ხაჩატუროვი, მელიქიშვილი, ეგიაზაროვი, გიორგი მელიქიშვილი, გალუსტოვი, იოსებ ჯოხაძე, ალექსანდრე პავლუკი, მიხეილ ჯამელაშვილი, მნაცაკან ტერ-სარქისოვი, მამედ ალიევი, ვლადიმერ ფულარიანი, ალექსანდრე მაისურაძე, გიორგი ავაქჯანოვი, კაზარ სარქისიანცი, აკაკი გამცემლიძე. ილია ჩიქვილაძე, უნანიანი, ეფრემ ლურიე, მათეოზ შახიანცი.

რადიო-გადაცემა

ხუთშაბათი, 25 ოქტომბერი

გადაცემა იწარმოებს რკინისგზელთა საგზაო კომიტეტის რადიო-სტუდიიდან.

პარასკევი, 26 ოქტომბერი

პარასკევს, 26 ოქტომბერს, თბილისის 4 კილოვატიან რადიო-სადგურიდან 1070 მეტრიან ტალღაზე გადაცემული იქნება:

საზამთრო მუშაობა სოფლის სამკითხველოებში—მოხსენება ქართულ ენაზე; მეცნიერების და ტეხნიკის მიღწევები—რუსულ ენაზე; საუბარი ბიოლოგიაზე—რუსულ ენაზე; მუსიკალური ანტრაქტი. ტეხნიკური კონსულტაცია; რადიო-გაზეთი თურქულ ენაზე, ოსური გაზეთი; გეოფიზიკურ ობსერვატორიის ცნობები; ა/კ. დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია; კონცერტი სტუდიიდან.

გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხი

ოფიციალური ცხრილი № 3

მეჩვიდმეტე სერიის მეორე ტირაჟისა, რომელიც შესდგა ქ. ვაღარშაპატში (სომხეთი)

სატირაჟო კომისიის 20 ოქტომბრის დილის სხდომაზე გათამაშებულ იქნა 204 ორმოცდაათ მანეთიანი (თითოეული) მოგება, რომლებიც ხვდა მეჩვიდმეტე სერიის შემდეგ ობლიგაციებს:

000.435 022.150 038.327 062.677 083.858
002.008. 023.336 041.763 062.936 087.202
002.894 024.949 045.259 063.415 087.322
003.094 026.055 048.535 064.230 087.923
003.643 028.089 049.631 064.335 090.135
004.279 028.313 050.346 066.463 095.034
004.950 028.375 050.794 067.968 095.936
005.150 028.457 054.028 068.307 096.656
005.712. 029.081 055.147 071.248 097.509
005.991 031.239 056.221 073.872 099.264
007.651 033.406 057.643 075.139 099.979
008.774 033.440 057.855 075.985 100.094
009.600 034.418 058.789 076.081 100.306
012.777 035.278 059.021 078.771 100.335
014.405 035.589 060.596 079.075 100.516
016.474 035.730 061.552 079.323 101.802
018.634 037.368 061.823 081.678 104.829
120.922 139.488 162.599 183.218 198.356
122.133 139.669 164.620 184.327 198.364
122.548 141.922 166.500 184.736 198.941
122.690 146.389 168.461 186.667 199.992

125.708 146.541 170.760 187.036 200.825
126.482 148.785 171.185 187.314 203.345
127.894 149.368 171.261 189.222 204.615
128.926 150.043 172.775 189.687 206.032
129.596 152.160 173.213 190.177 206.871
129.777 153.632 173.672 192.712 208.545
131.266 154.429 176.525 195.654 209.058
131.542 155.826 176.809 195.789 211.217
135.1[illegible]7 157.250 178.082 195.912 215.911
135.733 159.029 178.721 196.094 217.822
135.989 161.722 179.203 196.685 219.370
136.219 161.770 180.300 196.869 224.978
137.194 162.091 183.015 198.000 226.838
105.846 108.821 109.255 110.095 111.210
111.212 111338 113.181 113.462 113.595
113.908 116.025 116.185 117.474 117.533
117.583 120.330 228.083 230.706 232.293
237.559 238.326 238.533 239.396 242.193
242.917 243.173 243.239 245.156 248.109
248.140 248.820 249.664 245.141.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 20

საქ. ს. ს. რ. შრომის სახ. კომისარიატისა

1928 წლის ოქტომბრის 18

1928-29 წ. პირველ ნახევრის განმავლობაში სპეციალისტებისათვის შრომის ხელფასის ფონდების დაწესების შესახებ.

საქ. ს.ს.რ. შრომის სახკომისარიატის მიერ „1927-28 წლის მეორე ნახევრისათვის სპეცგანაკვეთებით მიმღებ პირებისათვის შრომის ხელფასის განსაკუთრებული ფონდების დაწესების შესახებ“ გამოცემული დადგენილების მოქმედების ვადის გასვლასთან დაკავშირებით, საქ. ს.ს.რ. შრომის სახკომისარიატი **ადგენს:**

1. წინადადება მიეცეს რესპუბლიკანურ მნიშვნელობის წარმოება - დაწესებულებების და სახელმწიფო კაპიტალის ჭარბ მონაწილეობით შერეულ აქციონერულ საზოგადოებების სათავეში მდგომ პირთ ა.-წ. ოქტომბრის თვის 25 რიცხვზე არა უგვიანეს, წარმოადგინონ საქ. ს.ს.რ. შრომის სახკომისარიატში 1928-29 სამეურნეო წ. პირველ ნახევრისათვის ხელფასის განსაკუთრებული ფონდებზე განცხადებები ორ ცალად, რომლის ერთი ცალი უწყების მიერ ეგზავნება უშუალოდ სათანადო პროფესიონალურ კავშირს — შესათანხმებლად.

2. წინადადება მიეცეს ადგილობრივ მნიშვნელობის წარმოება - დაწესებულებებს და სახელმწიფო კაპიტალის ჭარბ მონაწილეობით შეერთებულ სააქციონერო საზოგადოებების სათავეში მდგომ პირებს წარმოადგინონ საქ. ს.ს.რ. შრომის სახ. კომისარიატის რწმუნებულებთან ს.ს.რ. აფხაზეთში, ს.ს.რ. აჭარისტანში და სამხრეთ ოსეთის ავტ. ოლქში კუთვნილებისამებრ, განცხადებები ხელფასის განსაკუთრებულ ფონდებზე ა.-წ. ოქტომბრის თვის 25 რიცხვისათვის, რომლის ერთი ცალი უწყების მიერ ეგზავნება სათანადო პ-კავშირს დასკვნისათვის

3. იმ შემთხვევაში, ტქეთუ ამ დადგენილების 1-ლი და მე-2 მუხლებში აღნიშნულ წარმოება - დაწესებულებაში მომუშავე სპეციალისტების პირად შემადგენლობაში 1928—29 სამ. წლის პირველ ნახევრის განმავლობაში განზრახულია ცვლილებების შეტანა იმ კონტინგენტთან შედარებით, რომელიც მიღებული იყო მხედველობაში საქ. ს.ს.რ. შრომის სახკომისარიატის მიერ 1927-28 სამ. წლის მეორე ნახევრის — შრომის ხელფასის განსაკუთრებულ ფონდის დროს, მაშინ ესა თუ ის წარმოება - დაწესებულება ვალდებულია ა.-წ. 25 რიცხვზე არა უგვიანეს წარმოადგინონ განცხადებები 1928-29 ამ. წლის პირველ ნახევრის შრომის ხელფასის განსაკუთრებული ფონდების შესახებ. მასთან ამ განცხადების ერთი ცალი ეგზავნება სათანადო პ-კავშირს დასკვნისათვის, ხოლო მეორე ცალი შრომის სახ. კომისარიატს თანდართულ ფორმის მიხედვით.

აღნიშნული დადგენილების 1-ლ და მე-2 მუხლში მოხსენებული დანარჩენი წარმოება-დაწესებულებანი (იმათ გარდა, რომელნიც განცხადებებს და ცნობებს მე-3 მუხლში აღნიშნულ წესისამებრ წარმოადგენენ) ადგენენ შრომის სახკომისარიატში ა.-წ. ნოემბრის 1-ლ რიცხვზე არა უგვიანეს, მხოლოდ ცნობებს 1927-28 სამ. წლის მეორე ნახევრის შრომის ხელფასის განსაკუთრებულ ფონდის დახარჯვის, განსაკუთრებული ფონდის, ყოველთვიურად თანხათა ხარჯვის და ამ ფონდიდან გასამრჯელოს მიმღებ პირთა რაოდენობის შესახებ.

5. 1927-28 სამ. წლის მეორე ნახევრის განმავლობაში შრომის ხელფასის საგანგებო ფონდების ნაშთები არ უნდა იქნეს გადატანილი 1928-29 წ. პირველ ნახევრის განსაკუთრებულ ფონდების თანხაში.

6. აღნიშნული დადგენილება არ ვრცელდება იმ წარმოება-დაწესებულებებზე, სადაც გატარებულია ხელფასის სახელმწიფო მოწესრიგება, ან კოლექტიურ ხელშეკრულებათა მიხედვით თანამდებობითი განაკვეთების სისტემა ან სპეციალისტებისათვის განსაკუთრებული სატარიფო ცხრილი.

საქ. ს.ს.რ. შრომის სახ. კომ. მოადგილე [illegible].

სატარ. საქ. განყ. გამგე უნგიაძე.

ცნობები

შრომის ხელშეკრულებების შესახებ დადებული . . . . კვარტალი 192 . . და რომლებიც ითვალისწინებენ პერსონალურ განაკვეთებს.

სახელწოდება წარ. დაწეს. ან საქციო საზოგ. . . . .

მისამართი და ტელეფონის № . . . .

. . . .

ხელფასის განსაკუთრებული ფონდის თვიური რაოდენობა . . . .

№ №	სპეციალ. გვარი, სახელი, მამის სახელი	თანამდებობა	რომ. ჯგუფ. მიეკუთვნება	ხელშეკ. ვადა	ხელშეკრ. თვიური განაკ. რაოდენობა		შენიშვნა
					განაკ. საერთო ჯამი	მათ რიცხვში განს. ფონდ. დამატ.	

1. აღნიშნულ უწყებაში შეიტანება ცნობები მხოლოდ იმ ხელშეკრულებებზე, რომლებიც დადებულია, ან შეცვლილია საანგარიშო კვარტალში (და არა ყველა ხელშეკრულებებზე, რომლებიც მოქმედებენ საანგარიშო კვარტალში). მასთან უწყებაში გაითვალისწინება, როგორც პერსონალური შრომის ხელშეკრულებები, რომლებიც დადებული იქნა საგანგებოთ დაწესებულ ფონდის მიხედვით, აგრეთვე დანარჩენი შრომის ხელშეკრულებები, რომლებიც ითვალისწინებენ პერსონალურ ხელფასს და აღნიშნულია საანგარიშო წიგნაკში.

2. სვეტში „ხელშეკრულების ვადები“ აღინიშნება ხელშეკრულების მოქმედების დაწყებითი და საბოლოო ვადა მაგალითად: 1927 წლის ივლისიდან 1928 წლის 1 ივლისამდე იმ პირთა მიმართ, რომელნიც იღებენ პერსონალურ განაკვეთს არა უმეტეს 360 მან. და არა აქვთ პერსონალური შრომის ხელშეკრულებები, აღინიშნება იგივე ვადა, რომელიც გათვალისწინებულია საანგარიშო წიგნაკში (§ 1 დაქირავების პირობა). აღნიშნული პირების დაქირავების დროს განუსაზღვრელ ვადით სვეტში “ხელშეკრულების ვადა“ იწერება სიტყვა „განუსაზღვრელი“.

დადგენილება

საქ. ს. ს. რ. კომისართა საბჭოსი

იმ საგლეხო მეურნეობათა შესახებ, რომლებზედაც არ გავრცელდება „გლეხის მეურნეობაში დამხმარე დაქირავებული შრომის გამოყენების პირობების დროებითი წესები“.

ა.-კ. ს. ფ. ს. რ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წლის მარტის 31-ის დადგენილების (ა.-კ. ს.ფ.ს.რ. კან. კრებ. 1928 წ. № 7, მუხ. 101) თანახმად საქართველოს ს.ს.რ. სახალხო კომისართა საბჭო **ადგენს:**

1. დადგენილ იქნეს, რომ „დროებითი წესები გლეხის მეურნეობაში დამხმარი დაქირავებული შრომის გამოყენების პირობების შესახებ“ ს.ს.რ.კ. კან. კრებ. 1925 წ. № [illegible], მუხ. 183) არ გავრცელდება შემდეგ საგლეხო მეურნეობებზე:

ა) მეურნეობა, რომელიც ერთსა და იმავე დროს გამოიყენებს არა ნაკლებ სამი ამბოკარის (დაქირავებული სოფლის მუშა) ან ამბოკარ-ქალის შრომას მთლად სასოფლო-სამეურნეო სეზონის განმავლობაში;

ბ) მეურნეობა, რომლის ოჯახის წევრებიც იხდიან სარეწავ გადასახადს სამრეწველო საწარმოოს ბრუნვის პროცენტული შეფარდებით, ან რომელნიც ეწევიან ვაჭრობას ან სავაჭრო შუამავლობას, თუნდაც ისინი სარეწავ გადასახადს არ იხდიდნენ;

გ) მეურნეობა, რომლის შემოსავალიც, რაც გამოანგარიშებულ იქნება სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესაწერად, აღემატება 500 მან. წლიწადში დაქირავებული მუშა-ხელის რაოდენობის მიუხედავათ;

დ) მეურნეობა, რომელშიაც დამქირავებელი პირადი შრომით მონაწილეობას არ მიიღებს, გარდა იმ მეურნეობათა, სადაც განსაკუთრებული მიზეზების გამო (სამხედრო სამსახური, ინვალიდობა, ქვრივ-ობლობა და სხვ.) ოჯახის შრომის უნარიანი წევრი არ არის;

ე) საადგილ-მამულო საზოგადოების ან მისი ნაწილის მეურნეობა, რომელიც დაიქირავებს საერთო მწყემს;

ვ) მეურნეობა, რომელსაც აქვს რთული სასოფლო-სამეურნეო მანქანები (ტრაქტორი, სალეწი) ან რომელიც სისტემატიურად გააქირავებს ხოლმე რთულ სასოფლო-სამეურნეო მანქანებს ან და სასოფლო-სამეურნეო სულიერ ინვენტარს;

ზ) კოლექტიური მეურნეობა;

თ) მეწარმე-მოიჯარადრის მეურნეობა.

2. დაევალოს შრომის სახალხო კომისარიატს გამოსცეს მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატთან ერთად ინსტრუქცია ამა დადგენილების ადგილობრივ შეფარდებისათვის.

საქართველოს ს.ს.რ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე
ბ. მგალობლიშვილი.

საქართველოს ს.ს.რ. სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი
პ. მეგრელიშვილი.

1928 წ. ოქტომბრის 16
თბილისი — სასახლე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტის სააღრიცხვო - განმანაწილებელი განყოფილება სთხოვს ქვემოდ ჩამოთვლილ ამხანაგებს, ორი დღის განმავლობაში გამოცხადდნენ თბ. კომიტეტის სააღრიცხვო - განმანაწილებელ განყოფილებაში (ოთახი № 10) ამ. [illegible] ლარიონის ძე კოკჩიევი, ლუკა იოსების ძე ციხისთავი, ბაგრატ გიორგის ძე ბაბუციძე, იოსებ აბრამის ძე მალალაშვილი, შიო სიმონის ძე თეთრაშვილი, ნიკოლოზ იოსების ძე შოშიტაშვილი, ვართო არტემის ძე ახვიანცი, ლევან ღვთისავრის ძე ბუზიკაშვილი, სოლომონ ბუჯიაშვილი, ნიკოლოზ ივანეს ძე რამაზაშვილი, ნიკოლოზ გიორგის ძე ფეტვიაშვილი, შაქრო გიორგის ძე ვარსიმაშვილი, ლევან არტემის ძე კახნიაანცი, გრიგოლ ეგიაზარის ძე ზახარიანი, გაიკ გრიგოლის ძე მოვსესიანი, აიკ აბრამის ძე კაზაროვი, შალვა ივანეს ძე ცერცვაძე.

საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტის სააღრიცხვო - განმანაწილებელი განყოფილება სთხოვს ამხ. **ერასტი ტაბატაძეს, ივანე კარიაულს და ბენედიქტე ლორთქიფანიძეს** გამოცხადდნენ დღეს, დილის 11 საათზე თბ. კომიტეტის სააღრიცხვო - განმანაწილებელ განყოფილებაში (ოთახი № 10) ამხ. **ტყაბლაძესთან.**

დღეს, 25 ოქტომბერს, დღის 12 საათზე ცეკას აგიტპროპგანყოფილებაში შესდგება თათბირი, რომელზედაც უნდა გამოცხადდნენ შემდეგი ამხანაგები: ადამიანი, ვანტიანი, დემეტრაძე, ჩხარტიშვილი, ესაიანი, პოლოსოვი, ხაჭაპურიძე (ა.-კ. კომუნივერსიტეტი).

თბ. სახ. უნ. აგრ. ფაკ. არსებული ა.ლ.კ.კ. ბიურო იტყობინება 1-ლ და მე-2 კურსის კომკავშირელთა საყურადღებოთ, რომ აღრიცხვის უკანასკნელი ვადა დანიშნულია 1-ლ ნოემბრამდე. აღრიცხვაზე უნდა გატარდნენ ახლად შემოსული და ძველი კომკავშირელები. აღრიცხვაზე გატარება ყველა წევრ - კანდიდატისათვის სავალდებულოა. აღრიცხვას აწარმოებს ამხ. შ. გორდაძე.

—:—

თბ. სახ. უნ. აგრ. ფაკ. არსებული ა.ლ.კ.კ. ბიურო იტყობინება მე-3 და მე-4 კურსის კომკავშირელთა საყურადღებოთ, რომ აღრიცხვის უკანასკნელ დღეთ დანიშნულია პირველი ნოემბერი, აღრიცხვაზე უნდა გატარდნენ ყველა წევრ-კანდიდატი. აღრიცხვას აწარმოებს ამხ. შ. გორდაძე.

—:—

სახ. უნივერსიტეტის ამხ. მ. კახიანის სახელობის მუშათა ფაკულტეტის უჯრედების ბიურო კოლექტივი სთხოვს ქვემოდ ჩამოთვლილ ამხანაგებს გამოცხადდნენ ბიუროკოლექტივში ორი დღის განმავლობაში: ბაგდასაროვი არტემ, ყაზუმაშვილი ელადიმერ, ნამგალაური დავით, ფარჯიანი ტასასი, თოფურია ბიქტორ, ხატიაშვილი ალექსი, ქიქიბაძე ვალერიან, ჩახუნაშვილი ივტიხი და შევარდნაძე სოფიო.

—:—

საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტი წინადადებას იძლევა მთლიან პარტიულ დღეს დამუშავებული იქნას: „საქ. კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის მიმართვა თბილისის ორგანიზაციის ყველა წევრებისადმი“ (გამოქვეყნებულია ადგილობრივ გაზეთებში 17 ოქტომბერს). დამატებითი მასალებით გამოყენებულ იქნას: „საქართველოს კომპარტიის (ბ) ცეკას მიმართვა“, „საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას წერილი მოსკოვის ორგანიზაციის ყველა წევრებისადმი“. (გამოქვეყნებულია ადგ. გაზეთებში 20 ოქტომბერს). საკავშირო კომპარტიის ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტის მიმართვა. (23 ოქტომბრის ადგილობრივ გაზეთებში) „სტალინის მოხსენება მოსკოვის კომიტეტის პლენუმზე“ (გამოქვეყნებულია ყველა გაზეთებში 24 ოქტომბერს) და სხვა საგაზეთო მასალები.

თბ. კომიტეტის მდივანი ასრიბეკოვი.

—:—

დღეს, 25 ოქტომბერს, დილის 9 საათზე ცეკას აგიტპროპგანყოფილებაში შესდგება თათბირი კომკავშირის პოლიტგანათლების მუშაობის შესახებ, რომელსაც უნდა დაესწრონ საქ. კ. პ. ა.-კავკასიის სამხარეო კომიტეტის აგიტპროპგანყოფილების, თბილისის კომიტეტის აგიტპროპგანყოფილების და პოლიტგანის, მთავარმმართველობის წარმომადგენლები.

—:—

დღეს, 25 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე, ქალაქის რაიკომის შენობაში (სოლოლაკის ქ. 7) შესდგება ახალი მოწვევის ქალთა დელეგატების და ქალაქის რაიკომის ქალთა ორგანიზაციის გაერთიანებული საორგანიზაციო კრება. ზემოდმოხსენებულ ამხანაგების დასწრება სავალდებულოა დაუგვიანებლივ.

—:—

თანახმად თბილისის კომიტეტის დადგენილების სახ. უნივ. სამკ. ფაკ. კომუჯრედის ბიურო წინადადებას აძლევს ყველა, იმ პარტიის წევრებს და კანდიდატებს, რომლებიც ირიცხებიან სამკურნალო ფაკულტეტზე, გამოცხადდნენ ბიუროკოლექტივში აღრიცხვაზე ასაყვანად ამხ. ხარიბეგასთან ხუთშაბათს 25 ოქტომბერს და პარასკევს 26 ოქტომბერს 1ლ საათიდან 3 საათამდე.

—:—

საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიონული კომიტეტი აცხადებს, რომ ქალაქის რაიონის პარტიის წევრთა და კანდიდატთა **ჯგუფური კრებები** რაიონული კომიტეტის საანგარიშო მოხსენების განსახილველად უნდა მოწვეულ იქნან შემდეგი წესრიგით:

პირველი ჯგუფური კრება ხუთშაბათს, 25 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე, საბჭოთა და სავაჭრო მუშაკების კლუბში ამხ. **მორჩილაძის** მოხსენება ქართულ ენაზე: 1) მე-6 სტამბა, 2) მუშკოოპი, 3) მიწადმოქმედების სახ. კომისარიატი, 4) რუსთაველის თეატრი, 5) ცეკავშირი, 6) განათლების სახალხო კომისარიატი, 7) სახკომსაბჭო, 8) სახელგამი, 9) საქართველოს ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო, 10) შრომის სახალხო კომისარიატი, 11) პირველი სტამბა, 12) საქართველოს ვაჭრობის სახალხო კომისარიატი, 13) სახელმწიფო უნივერსიტეტი, 14) ტელეგრაფი, 15) სახალხო კვების კავშირი, 16) სოფლის კავშირი, 17) მე-5 სტამბა, 18) ამიერ-კავკასიის და საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექცია, 19) პინეკოლოგიური ინსტიტუტი, 20) ლუდის ქარხანა.

მეორე ჯგუფური კრება. ხუთშაბათს, 25 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე მუშათა ახალ კლუბში ამხ. **კუდრიავცევის** მოხსენება რუსულ ენაზე. 1) ამიერ-კავკასიის და საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველო, 2) მუსტრესტი, 3) მაზნოტრესტი, 4) კავკასიის წითელ-დროშოვანი არმიის სტამბა, 5) ლენინის სახელობის თამბაქოს ქარხანა, 6) საკარტონაჟო ფაბრიკა, 7) რეზინოტრესტი, 8) კავკასიის წითელდროშოვანი არმიის ტიპო-ლიტოგრაფია, 9) ამიერ-კავკასიის შრომის სახალხო კომისარიატი, 10) ამიერ-კავკასიის ფინსახკომი, 11) ამიერ-კავკასიის [illegible] კომიტეტი, 12) „ზაკსოუზ“-ი, 13) ავეჯეულობის ფაბრიკა, 14) გზათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველო, 15) „ზარია ვოსტოკა“-ს კონტორა, 16) მე-8 პოლკი 17) „ზარია ვოსტოკა“-ს სტამბა, 18) შენებელნი.

მესამე ჯგუფური კრება. ხუთშაბათს, 25 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე ქალაქის აღმასკომში ამხ. **ციხელაშვილის** მოხსენება ქართულ ენაზე. 1) ცენტრალური პარტსკოლა, 2) თბილისის აღმასკომი, 3) სატელეფონო ქსელი, 4) საქართველოს სახელმწიფო დაზღვევის კანტორა, 5) „საქართველოს ღვინო“, 6) საბინაო კავშირი, 7) სახმედვაჭრობა, 8) სახელმწიფო ბანკი, 9) ქართული მუზეუმი, 10) ლიტოგრაფია, 11) სატყეო ტრესტი, 12) შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი, 13) სამხატვრო აკადემია, 14) სახელმწიფო კონსერვატორია, 15) ჯემო-კვების კავშირი.

მეოთხე ჯგუფური კრება. შაბათს, 27 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე მუშათა — ახალ კლუბში ამხ. **იაგნეტინსკის** მოხსენება რუსულ ენაზე. 1) მეხანძრეთა რაზმი, 2) [illegible] ბანკი, 3) პოლიგრაფტრესტის საფაბრიკო-საქარხნო სკოლა, 4) სახელმწ. ელექტ. ტრესტი, 5) ამიერ-კავკასიის სახელმწიფო დაზღვევის გამგეობა, 6) ამიერ-კავკასიის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო, 7) ამიერ-კავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტი, 8) თემქა, 9) ღილების დამამზადებელი ფაბრიკა, 10) რესპუბლიკის მთავარი საავადმყოფო, 11) „მაშინტრესტი“, 12) სახელმწიფო პოლიტეხნიკური ინსტიტუტი, 13) ამიერ-კავკასიის სახელმწიფო საგეგმო კომისია, 14) სამხედრო სამომხმარებლო საზოგადოება „ბოეც“-ი, 15) ამიერ-კავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველო, 16) განათლების მუშაკთა კავშირი, 17) მე-3 სტამბა, 14) „[illegible]“.

მეხუთე ჯგუფური კრება. შაბათს, 27 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე კლუბ „კატორ“-ში ამხ. **ადამიძის** მოხსენ. ქართულ ენაზე. 1) მუშკოოპის ტრანსპორტი, 2) ფოსტა-ტელეგრაფის ოლქი, 3) შრომის სასახლე, 4) თელასი, 5) ფოსტა, 6) „ზაკავტოპრომტორგ“-ი, 7) სამშენი, 8) სახელმწიფო ოპერა, 9) სოც. უზრუნველყოფის სახ. კომისარიატი, გლეხის სახლი, 10) საქართველოს და ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო ბანკები, 11) საკარტონაჟო ფაბრიკა (ქართული ნაწილი), 12) რადიო, 13) მე-2 სტამბა, 14) ხელოვნების მუშაკთა კავშირი.

მეექვსე ჯგუფური კრება. შაბათს, 27 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე, ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის კლუბში ამხ. **მკრტიჩიანის** მოხსენება სომხურ ენაზე. 1) აგურის ქარხნების უჯრედები, 2) სახლის მუშათა უჯრედი.

რაიონული კომიტეტი წინადადებას იძლევა მიღებულ იქნას ზომები პარტიის წევრთა და კანდიდატთა ჯგუფურ კრებებზე თავის დროზე და უკლებლივ გამოცხადებისათვის. ამ უჯრედებში, რომელთა ეროვნული შემადგენლობა შერეულია, მდივნებს ევალებათ თითონ მოაწესრიგონ ის საკითხი, თუ რომელ კრებას (ქართულ, სომხურ, თუ რუსულ ენაზე) დაესწრონ პარტიის წევრები. საერთოდ კი უნდა დაიცვან ზემოთაღნიშნული გეგმა.

და ოლინკა, ძმა ნიკოლოზი (კოლა) რძალი თამარა, ძმისწულები აგრაფენა, თამარა და ნინა წულუკიძეები აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ, და მეგობრებს საყვარელი ძმის და ბიძის

სამსონ ნიკოლოზის ძე წულუკიძის

უდროვო გარდაცვალებას, გამოსვენება მოხდება პარასკევს 26 ოქტომბერს 3 ნახევარ საათზე [illegible] სასაფლაოზე. 4644

გულდამწვარი დედა ნინო, ცოლი ელისაბედ, შვილები რუსუდან და ბ ბი, დები: ვარვარა, სოფიო შვილებით, და თამარა აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს რომ ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ 23-ში გარდაიცვალა მათი საყვარელი და დაუვიწყარი

იაკობ (ია) იოსების ძე შიშნიაშვილი

სამოქალაქო პანაშვიდი 25-ში საღამოს 5 საათზე, ყოფ. ალექსანდრეს საავადმყოფოში გასვენება 26-ში ს [illegible]ში 6 1740

გიორგი იოსების ძე შიშნიაშვილი ცოლით ალექსანდრათი და შვილებით ნინო, თინათინ, მაგდალინა და ქეთევან, მეუღლით დავით ყიასაშვილით, აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს უსაყვარლესი ძმის, მაზლის და ბიძის

იაკობ (ია) იოსების ძე შიშნიაშვილის

უდროოდ დაკარგვას ნ. 1740

საქ. [illegible] სპეციალისტთა სექციის ბიურო აუწყებს საზოგადოებას, რომ ა/წ 23 ოქტომბერს ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ მე-2 ქალაქის საავადმყოფოში გარდაიცვალა [illegible]

ია შიშნიაშვილი 4651

ექიმ

გიორგი (გოგი) ვართაგავას

უდროოდ დაკარგვას მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას მასთან ერთად კურს დამთავრებული ამხანაგი ექიმები (ზ)

სახ. უნ. უმცრ. მასწავლებელთა კოლეგიუმი აუწყებს საზოგადოებას, რომ ა/წ 21 ოქტომბერს უდროოდ გარდაიცვალა კოლეგიუმის წევრი ექიმი

გიორგი იპოლიტეს ძე ვართაგავა

დაკრძალვა 25 ოქტომბერს, 4 საათზე ვერის სასაფლაოზე. 465

---

21 ოქტომბერს, თბილისში, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ექიმი

გიორგი იპოლიტეს ძე ვართაგავა

ამ თავის ოჯახის უბედურებას აუწყებს ნათესავთ და მეგობართ მშობლები ანა და იპოლიტე ვართაგავა შვილებით თინა და ირაკლით

გამოსვენება დღეს, 25 ოქტომბერს, 4 საათზე ყოფ. განოვის ქ. № 3 დაკრძალვა ვერის ახალ სასაფლაოზე. 4654

დამწუხრებული შვილები: გრიშა, ვარა ნინა და მარო; სიძეები: მიხეილ [illegible]ლი და დათიკო ბარამიძე შვილის შვილები ჟუჟუნა და გურამი და დაი ლიზა მჭედლიშვილისა, შვილები, დისწულები პატიაშვილები, აუწყებენ საზოგადოებას რომ ა/წ. 23 ოქტომბერს გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი

ელენე (პელო) ილურიძისა

გამოსვენება 25 ოქტომბერს, ნაშუადღევის 3 საათზე საკუთარ ბინიდან, კობის ჩიხი № 5 დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 4643

ღრმად მწუხარებით ალავსე შვილი ალექსანდრე აუწყებს ნათესავებს, მეგობრებს, გულითად ამხანაგებს და ნაცნობებს მისთვის ძვირფასი და მუდამ ჟამს დაუვიწყარი მამის

თადა მარკოზის ძე პირტახიას

გარდაცვალებას დასაფლავება შაბ თს, 27 ოქტომბერს, დღის 4 საათ., ს. კოტიანეთში

სახელმწიფო აკადემიური საოპერო თეატრი

ზამთრის სეზონის გახსნა

ხუთშაბ. **1** ნოემბერს	(აბონემენტის გარეშე) **აბესალომ და ეთერი** ეთერი—ვ. მ. მრავალი, აბესალომი—ნ. გ. ქუმსიაშვილი, მურმანი—ვ. ს. ქაშაკაშვილი. დადგმა—კ. ა. მარჯანიშვილის და ა. ვ. ახმეტელის. დირიჟორი—სახ. არტისტი ნ. პ. ფალიაშვილი	შაბათს **3** ნოემბ.	(აბონემენტის გარეშე) მოსკოვის დიდი თეატრის პრემიერის, რესპუბლიკის დამსახ. არტისტის ქ. გ. დერჟინსკაიას მონაწილეობით **პიკის ქალი** ლიზა—ქ. გ. დერჟინსკაია გრაფის ქალი—ნ. გ. რებეზოვა. გერმანი—ა. ლ. დროზდოვი. ტომსკი—ვ. ი. ლუკანინი, ელეცკი—პ. ა. პავლოვსკი. დადგმა ნ. ნ. ბოგოლიუბოვის დირიჟ. მოსკოვის დიდი თეატრის დამსახ. არტისტი ა. ვ. პავლოვ-არბენინი.
პარასკევს **2** ნოემბერს	(აბონემენტის გარეშე) ფატმა მუხტაროვას მონაწილეობ **კარმენი** კარმენ—ფ. მუხტაროვა, მიქაელა—რ. ზ. სპექტორ-ზაბორსკაია, ხოზე—ა. ა. დროზდოვი, ესკამილიო—ა. ი. ინაშვილი. დადგმა—ნ. ნ ბოგოლიუბოვის. დირიჟორი—მოსკოვის დიდი თეატრის რესპუბლიკის დამსახ. არტისტი ა. ვ. პავლოვ-არბენინი.	კვირას **4** ნოემბ.	(აბონემენტის გარეშე) ფატმა მუხტაროვას მონაწილეობ. **აიდა** ამნერის—ფატმა მუხტაროვა, აიდა—ხ. ა. ვარშავსკაია, რადამესი—ვ. მ. გრიგინევიჩი, რამფის—ლ. ნ. ისეცკი, ამონასრო—ა. ი. ინაშვილი. დადგმა ნ. ნ. ბოგოლიუბოვის დირიჟორი—სახ. არტისტი ნ. პ. ფალიაშვილი.

სამშაბათს, 6 ნოემბერს
I-ლ აბონემენტის პირველი წარმოდგენა

დაწვრილები — ცალკე აფიშებში.—წარმოდგენის დასაწ. საღამოს საათ 8 ს. სალაროები ღია ყოველ დღე (გარდა ორშაბათისა) 10-დან ნაშუადღევის 2 საათამდე და საღამ. ს 6 საათიდან. ნ. 1735 2—1

რუსთაველის სახელმწიფო თეატრი ნ. 1739

სეზონის გახსნა ხუთშაბათს, 25 ოქტომბერს,
I აბონემენტის I წარმოდგენა—პრემიერა
„ანზორ“ ალ. შანშიაშვილის. გადმოკეთებული ვ. ს. ივანოვის „ჯავშანი 14—69“-დან
დადგმა ალ. ახმეტელის. მუსიკა ი. გოკიელის.
კონსტრუქ. და ირ. გამრეკელის. დასაწყისი საღ. 8 საათზე.
ვინც აბონემენტის მე-2 ვად სახადს არ შემოიტანს 25 ოქტომბრისათვის, წარმოდგენაზე დაშვებული არ იქნება. დარჩენილი ბილეთები თეატრის სალაროში 11—3 და 6—10.

საბჭოთა კავშირის სახელმწ. ბანკის
ამიერ-კავ. საოლქო კანტორა

აცნობებს საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტებს და ადგილკომებს, რომ **ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხზე კოლექტიურად ხელისმომწერთაგან პირველ შესატან თანხებს ღებულობენ**

სახელმწიფო ბანკის
კანტორის თანამშრომლები **ადგილებზე**

კოლექტივების გამოწვევებით და დაწესებული ქვითარების გაცემით.

სახელმწიფო ბანკის თანამშრომელნი, რომელთაც მინდობილი აქვთ ფულის შეკრება, აღჭურვილნი არიან სათანადო მანდატებით

გამოწვევა შეიძლება ტელეფონით № 19—64 1738

„მუშკოოპი“

ლინოლეუმი ახალი
მიღებულია და იყიდება
მუშკოოპის მაღაზიაში № 120
რუსთაველის გამზირი 23 (ტელეფ. № 17—86)
3—2 ნ. 1733

სასწავლო სეზონისათვის
თვალსაჩინო სასწავლო ხელსაწყოთა ინსტიტუტ

მზად არის მოაწყოს ფიზიკისა, ბუნებისმეტყველებისა და სხვ. კაბინეტები და ლაბორატორიები. არის ყოველნაირი ლაბორატორიული და ქიმ. ჭურჭელი, აპარატურა და რეაქტივები

ფასები დაკლებულია

თბილისი, ავჭალის მოედანი, № 10, გერმანულ სასაფლაოს პირდაპირ. ტელეფონი 16—49. 10—9 ნ. 1620

მათემატიკის მასწავლებელი
1929 ს. წ. ამზადებს
ქართულ და რუსულ ენაზე
უმაღლეს სასწავ., მუშფაკ., სპეცტეხნიკ., სამხედრ. აკად., 9 წლ. ყველა ჯგუფ. (რუსულსა და მათემატიკაში) მოწმობაზე, მისაღებ და განმეორებითი გამოცდებისათვის აგრეთვე 7 წლედისათვის ყველა საგნებში. პლეხანოვის ქ. 25 (შესავალი ჩერნიშევის ქ. № 5) 2—6 საათზე. 6—6 4515

ქ. თბილ. მე-2 უბნის სასამართლოს აღმასრულებელი
ა. გიორგაძე

ამით აცხადებს, რომ ის 29 ოქტომბერს 1928 წ. დღის 4 საათზე სახლში № 58 საბჭოს ქუჩ. პირველი **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის მოქ. ი. [illegible]რეს ძე მჭედლიძის უძრავ ქონებას: ერთ სართულიან სახლს, ორი ოთახით ერთი სამზარეულოთი, აივნით და ეზოთი აშენებული ნაკვეთ მიწაზე, ზომით 14×18 ოთხ. საჟენი შეფასებულს 1500 მან., მოქ. ნიკოლოზ [illegible]შვილის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის მე-4 უბნის სახალხო სასამართლოსაგან 4 მარტის 1928 წ. თარიღით, № 1490 გაცემულ აღსასრულებელ ფურცლისა. საჯ. ვაჭრობა იწარმოებს ს. ს. ს. კოდექსის 301, 310, 311, 312, 313 და 316 მუხლებში გათვალისწინებული წესების დაცვით. 4647

ნ. გ. კანტოროვიჩისა

მიღებულია საზღვარგარეთიდან ახალი საშუალებები თმების სამკურნალოთ და ფერის მჭამელას, მუწუკების, ჭორფლის, ტალის, მეჭეჭის და სხვ. გასაქრობათ. ვაძლევ საქმიო რჩევა-დარიგებას პირის კანის მოვლისა და თვითმასაჟის შესახებ საზღვარ-გარეთის მეთოდების მიხედვით. ფრეილინის ქ. № 1. პაციენტების მიღება 11-დან 3-მდე და საღამოს 6-დან 8 საათამდე. 25—1

მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
სამკურნალო
საწოლებით
ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო კაბინეტი

ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—1

კბილის ექიმი
დ. ს. რიჟინაშვილი

კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა. პლომბები, კბილების **უმტკივნეულოდ** ამოღება, ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა, ავადმყოფთა მიღება: 10—3 საათ. და 5—7 საათ. საღ.—მისამართი: გრიბოედოვის ქუჩა № 34 რუსთაველის გამზირის კუთხე. ტელ. 10—14 25—2

ექიმი
ტერ-ოვაკიმოვი

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. სპეციალურად: **სქესობრივი ფუნქციონალური აშლილობა და სიფილისი.** (ფსიხოთერაპია)

ავადმყოფების მიღება: დილაობით: 11—1 საათ; საღამოობით 5—8 საათ საბჭოთა (ყოფ. ბერძენიშვილის) ქ. № 48, [illegible] (ყოფ. კირკის) ქუჩის კუთხე. 25—1

ექიმი
ი. პ. მჭედლიშვილი

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. **შინაგანი ავადმყოფობა.** სპეციალურად **კუჭის და ნაწლავების** სნეულებათა გამოკვლევა და მათი მკურნალობა. ღებულობს 5—6 ს. სანაპირო ქუჩა (ყოფილი ნაპერეხაია) № 7—ვერის ხიდთან. ტელეფონი № 15—02 ნ.

ექიმი
ი. ი. ბერიშვილი

ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა

დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 ს. ქალებისათვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას“ (ყოფ. „ნოეს“) პირდაპირ ჩოდრიშვილის და პლეხანოვის შესახვევი № 8. ნ. 2. 25—2

ექიმი
პ. ი. ჯალალოვი

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფთა (კანისა და ვენერიული სნეულებანი) მიღება. სიფილისი. შეშხაპუნება „914“. ტრიპერისა და მისი შედეგების მკურნალობა.

მამაკაცთა მიღება: დილით—8—9 ს. საღამოს—6—9 სა თ. ქალები და ბავშვების მიღება: 5—6 საათამდე. მისამართი [illegible] ქუჩა, № 14 ყოფ. დიდი მთავრის ქ., კარლ მარქსის ქუჩის მოედნის მახლობლად. ტელეფონი 1—90. ნ. 1. 25—1

დაჰკარგა: საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტეხნიკური ფაკულტეტის მიერ გაცემული მოწმობა № 1444 და სამხედრო აღრიცხვის ფურცელი, ფორმა № 4 პარ. 9, მე 11 უბნის მიერ გაცემული. შალვა ლეკვეიშვილის სახელზე. ჩ. გ. 4650

დაჰკარგა: თბილისის საბჭოს წიგნაკი № 10 ლევან ბეჟუაშვილის სახელზე ჩ. გ. 4649

დაჰკარგა: ლომბარდის ქვითრები № 041111 და 051014, ჩ. გ. 4646

დაჰკარგა: მუშკოოპის წიგნაკი № 10431 ალექსანდრე გოგიაშვილის სახელზე, ჩ. გ. 4645

დაჰკარგა: კავშირის წიგნაკი და ლომბარდის ქვითარი № 052777 აბრამ აკოფოვის სახელზე, ჩ. გ. 4642

დაჰკარგა: თბილისის ლომბარდის ქვითარი № 043801, ჩ. გ. 4641

დაჰკარგა: მეტრიკული ამოწერილი ლეილა ვლად. [illegible] სახელზე, ჩ. გ. 4655

პოლიგრაფტრესტის მე-6 სტამბა, კამოს ქუჩა № 68.

მთავლიტი № 904.